

**საერთაშორისო სტადიალტების
ასახვა
ოჯახში ქალადობის
საქმეები**

**საქართველოს უზენაესი სასამართლო
კვლევისა და ანალიზის ცენტრი**

**თბილისი
2017**

**APPLICATION OF INTERNATIONAL
STANDARDS
IN DOMESTIC VIOLENCE CASES**

The Supreme Court of Georgia

The Research and Analysis Centre

Tbilisi

2017



კვლევა მომზადდა საქართველოს უზენაესი სასამართლოს
საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ

ავტორები და მთავარი რედაქტორები:

მარია კვაჭაძე

სამართლის დოქტორი, პროფესორი
საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა
და განზოგადების განყოფილების უფროსი

ლია მელაშვილი

სასამართლო პრაქტიკის განზოგადების მონიტორინგის
სამსახურის უფროსი

ავტორები:

ნათია ჯუღაძე

კვლევისა და ანალიზის ცენტრის მთავარი კონსულტანტი

ელენ ღვიაჯილი

კვლევისა და ანალიზის ცენტრის უფროსი კონსულტანტი

კვლევის შედგენაში მონაცილეობდნენ:

გულია მადლიძვილი

ლევან სესიაშვილი

სტილისტი

თეა მაისურაძე

გრაფიკული რედაქტორი

თორნიკე ჭიჭიაძე

ტექნიკური რედაქტორი და ყდის დიზაინი

მარია მაღალაშვილი



The Research was conducted by Research and Analysis Centre
The International Court Practice Study and Generalization Unit
The Supreme Court of Georgia

AUTHORS AND CHIEF EDITORS:

The Head of International Court Practice Study and Generalization Unit
Prof. Dr. Marina Kvachadze

The Head of the Court Practice and Generalization
Monitoring Department
Lia Melashvili

AUTHORS:

Chief Consultant of Research and Analysis Centre
Natia Jugeli

Senior Consultant of Research and Analysis Centre
Elene Gvinjilia

IN THE RESEARCH PARTICIPATED:

Guliko Mchedlishvili

Levan Sesiashvili

STYLE EDITOR

Tea Maisuradze

GRAPHICS EDITOR

Tornike Chichinadze

TECHNICAL EDITOR AND DESIGN

Marika Maghalashvili

APPLICATION OF INTERNATIONAL STANDARDS IN DOMESTIC VIOLENCE CASES

(Brief review)

Domestic violence is one of the most serious and widespread forms of violence in the world, covering all sectors of society, regardless of class, racial, cultural, religious or socio-economic factors. The problem of domestic violence has become especially relevant in Georgia. Current researches of national and international organizations point to widespread experiences of violence against women across the country. In particular, according to the new National Study¹ on Violence against Women in Georgia, one in seven women reported having experienced physical, sexual and/or emotional violence by husband or partner.

Georgia took an important step towards elimination of domestic violence and violence against women and in response to the recommendations, given by various organizations on May 4, 2017 it ratified the Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against women and Domestic Violence (Istanbul Convention). A major added value of the Convention for the International legal framework is that it is the first treaty to provide a legally-binding definition of violence against women as a violation of human rights and a form of discrimination against women, and to integrate the due diligence standard by defining it as the obligation of states “to prevent, investigate, punish and provide reparation for acts of violence perpetrated by non-state actors” (Article 5, paragraph 1). It is noteworthy that the treaty, for the purpose of the effective implementation of the convention, calls upon the Contracting States to collect disaggregated relevant statistical data at regular intervals on cases of all forms of violence covered by the scope of the document and support research in this field in order to study the causes and effects of incidences and conviction rates.

For the most part, the criminal justice system has a powerful role in preventing domestic violence against women and responding to it effectively. It sets the standard for unacceptable conduct and sends a strong message to society that such violence will not be tolerated. When the Criminal Justice system responds effectively to acts of gender-based violence-including domestic Violence, it can greatly contribute to transformative change in mentalities, attitudes, as well as social and cultural practices underpinning the existence of this phenomenon. Therefore, the Analytical Department of the Supreme Court of Georgia gave high priority to conducting research on domestic violence cases in the context of international standards.

The report on the basis of trends identified as a result of the findings, aims to analyse how the first instance courts of Georgia are applying national legislation in conjunction with the other relevant international acts when dealing the cases on domestic violence. For the purpose of in-depth review, the Analytical Department studied all the judgments submitted from the Courts in response to the official letter of the request. In particular, the subject of the research was 1236 judgments (in addition, three decisions concerning involuntary placement and involuntary treatment of offenders with mental health problems) rendered by the first instance Courts in 2016-2017 years based on the Articles 11¹-126¹ of the Criminal Code of Georgia. Due to the high volume of the cases, the

¹ National Study on Violence Against Women 2017 (Summary Report) released jointly by UN Women, GEOSTAT and the EU

research does not cover domestic violence offences which involved the article 126¹ of the Criminal Code of Georgia jointly with other articles of the Code.

To give a clearer image of the judicial practice with respect to cases of domestic violence and violence against women the research involves the following topics: the general statistical analysis of the situation; the forms of violence identified in the cases; applied preventive measures, including sentences imposed on offenders and acquittal rates; the role and practice of treatment programmes aimed at teaching perpetrators of domestic violence to adopt non-violent behavior in interpersonal relationships; the courts view on gender-sensitive cases and their approach in the cases where the victim of violence represents a vulnerable group (juveniles, pregnant women, disabled persons and elderly people).

In the research particular emphasis is placed on the application of the relevant international standards at the national level. For this purpose, the document illustrates good examples as well as examples not relevant to international standards by quoting appropriate excerpts from judgments.

The study findings indicate that the rate of the domestic violence cases examined by the courts has an increased tendency, which might be results of effective awareness campaigns on domestic violence and its protection mechanisms. The highest rates of cases are reported in Tbilisi (256 cases) and Kutaisi (164 cases), which are likely to be caused by unequal distribution of population in large cities. However, it is noteworthy that the most of domestic violence cases examined by the courts were in Eastern part of Georgia (for example, in Gurjaani and Rustavi).

The statistical data indicate that domestic violence disproportionately involves women (approximately 1071 women victims). However, in many cases the victims were vulnerable persons: children, disabled persons and elderly people whose unequal situation facilitates implementation of violence. In particular, the total number of juvenile victims was 136 and up to 614 children became witnesses of domestic violence. The study shows that, in 2017 the rate of domestic crime committed against a minor was almost doubled. Positive assessment deserves the fact that some courts (for example, Tbilisi City Court, Sachkhere District Court and Ambrolauri District courts) thoroughly examine the best interest of juvenile victim or witness in accordance with International Standards. As for the forms of violence, physical violence is identified in the majority of the cases and the rate of reported psychological and economic violence is very low. It should be noted that the following forms of violence: negligence and coercion, were not identified in any of the cases studied.

The positive trend is observed in judicial practice in relation to gender-based violence cases. Namely, the number of cases where alleged discrimination motive was examined was almost tripled in 2017 (2016 year – 2 cases and in 2017 year -11 cases), however, the court recognized gender-based discrimination motive as an aggravating circumstance only in 8 cases. Apart from this, in some cases circumstances pointing to discrimination motive were apparent but the prosecution and judges carried out their analysis without considering such motives. Therefore, the identification of the gender-based discrimination motive remains a challenge for the judiciary.

The statistical data indicates that the number of plea bargains on domestic violence cases was decreased (from 42% to 28%). The highest rate of motions of the prosecutors requ-

esting the court to approve plea bargains was identified in Eastern part of Georgia. As for applied preventive measures, the research revealed that in the majority of cases the court ordered bail (507 convicts out of 1244). However, judicial practice is improved in relation to imposition of imprisonment and in 2017 the order of this type of preventive measure was increased by 19 %. It should be noted, that some courts (for example, Gurjaani District Court and Kutaisi City Court) prefer to apply less severe preventive measures such as agreement on not to leave the country and due conduct.

The study revealed that in majority of the cases the courts imposed conditional sentences and community service. However, in 2017 the rate of applied fixed term imprisonment was increased (by 6%), which might be resulted from the increased number of persons charged with domestic violence offence. In addition, the research findings indicate that courts in general take into account the history of previous incidences of violence, including applied preventive measures (the existence of restraining and protection orders), but in many cases do not consider it as an aggravating circumstance.

Due to the statistical data, the number of judgments of acquittal was increased significantly in 2017 (26 defendant was acquitted in 2017, while in 2016 only 6 persons), in majority of these cases the witnesses as well as victims enjoyed the right guaranteed by the Article 49.1 (d) of the Criminal Code of Georgia (right to avoid giving a testimony that discloses the commission of an offence himself/herself or his/her close relatives).

It is noteworthy to mention, that in comparison with the previous year in 2017, the number of mandatory teaching courses, (directed at changing violent behavior and conduct) imposed as an obligation, was doubled. However, for ensuring victim safety and defendants' rehabilitative needs, the judicial practice needs to be improved.

The positive trend is observed in relation to the application of relevant international acts and Case-Law of the European Court of Human Rights. In particular, the number of cases, in which the reference was given to international standards was increased by 16%. The study shows that certain first instance courts (for example, Gori District court, Tbilisi City Court and Rustavi City Court) are actively applying Council of Europe Convention on Preventing and Combating Violence against Women and Domestic Violence (Istanbul Convention). In general, Courts are attempting to analyze factual circumstances and legal aspects of given cases in the light of the Case-Law of Strasbourg Court. However, research findings indicate that international standards are used as a supplement to the national legislation, therefore its role on the outcome of the cases is relatively insignificant.

The research, on the basis of various international guidelines, includes the relevant recommendations for addressing the trends identified during the study process. The main purpose of the recommendations is to strengthen criminal justice response to such category of crimes, by improving legal proceedings on cases of domestic violence and gender-sensitive approach. Therefore, we consider that the research will be of particular interest not only for people working in the Judiciary, but for the professors, students and other persons interested in human rights issues.

აპრევიატურა

სსკ	სისხლის სამართლის კოდექსი
სსსკ	სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი
სს	სისხლის სამართალი
სტამბოლის კონვენცია	ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია
CEDAW	ქალთა დისკრიმინაციის აღმოფხვრის შესახებ კონვენცია
COE	ევროპის საბჭო
ECHR	ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენცია
ECtHR	ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო
UN	გაერთიანებული ერების ორგანიზაცია
UNICEF	გაეროს ბავშვთა ფონდი

სარჩევი

აპრევიატურა	8
შესავალი	10
ოჯახში ქალაზობის შესახებ საქმეებზე სასამართლო პრატიკის მიმღებლება	15
ქალაზობის ფორმები	18
სასჯელები	24
1. საერთაშორისო მიზგოვნები ოჯახში ქალაზობის შესახებ საქმეებზე სასჯელთა შეფარდებისას	24
2. ოჯახში ქალაზობისთვის პრატიკებული აირების მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელის სახეები	28
2.1 ოჯახში ქალაზობა ჩადენილი მოწყველადი პირების მიმართ (საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126 ¹ -ე მუხლის მაკვალიფიცირებელი ნიშნები)	36
2.2 დისკრიმინაციული მოტივის გამოკვლევა ოჯახში ქალაზობის შესახებ საქმეებზე	44
2.3 საკროცესო შეთანხმება	55
2.4 სასამართლო პრატიკა იურიდიკური მიზანის სამდენობლივ სამკურნალო პროგრამებში სავალდებულო წესით ჩართვის თაობაზე	59
3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრატიკა	64
გამამართლებრივი განაჩენები	67
ოჯახში ქალაზობის შესახებ საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვის პრატიკა	74
დასკვნა	100
რეკომენდაციები	103

შესავალი

ოჯახში ძალადობა მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული ძალადობის ფორმაა, რომელიც მოიცავს საზოგადოების ყველა ფენას, განურჩევლად კლასობრივი, რასობრივი, კულტურული, რელიგიური თუ სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებისა.

თემის აქტუალობა განაპირობა საქართველოში გახშირებულმა ოჯახში ძალადობის შემთხვევებმა, მათ შორის, ქალთა და სხვა მოწყვლად პირთა წინააღმდეგ ძალადობის საგანგამოდ მზარდმა სტატისტიკამ. საერთაშორისო თუ ეროვნული ორგანიზაციების მიერ ჩატარებული კვლევების თანახმად ნათელია, რომ ქვეყანაში ქალთა მიმართ ძალადობა გავრცელებული ფენომენია, კერძოდ, 2016-2017 წლებში ოჯახური დანაშაულის ნიშნით 28 ქალი იყო მოკლული², ხოლო ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული კვლევის³ მიხედვით, საქართველოში შვიდიდან ერთ ქალს გამოუცდია ფიზიკური, სექსუალური ან/და ემოციური ძალადობა მეუღლის/პარტნიორის მხრიდან.

საქართველომ ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციების⁴ მიერ შემუშავებული რეკომენდაციების გათვალისწინებით მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღმოფხვრის მიმართულებით და 2017 წლის 4 მაისს რატიფიცირება მოახდინა ევროპის საბჭოს კონვენციის „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ („სტამბოლის კონვენციის“).⁵ აღნიშნული საერთაშორისო დოკუმენტი, ყველაზე მრავლისმომცველია ამ სფეროში და მიზნად ისახავს ნულოვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი კატეგორიის დანაშაულებთან მიმართებით. აქედან გამომდინარე, საქართველოს კანონმდებლობის კონვენციით დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობაში მოსაყვანად განხორციელდა მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. თუმცა სახალხო დამცველის ანგარიშის თანახმად, „2017 წელს ოჯახში ძალადობისა და ქალთა მიმართ ძალადობის საკითხებთან დაკავშირებული პოზიტიური ცვლილებების მიუხედავად, კვლავ გამოწვევას წარმოადგენს პრევენციის ეფექტიანი ღონისძიებების გატარება. ამასთან, ძალადობის შემთხვევათა გამოვლენის გაზრდილი მაჩვენებლის ფონზე, გამოწვევად რჩება სახელმწიფოს მხრიდან ძალადობის მსხვერპლთა/დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების ღონისძიებების სრულყოფა და მისი მორგება მათ განსხვავებულ საჭიროებებზე“.⁶

აღსანიშნავია, რომ „სტამბოლის კონვენცია“ ხელშემკვრელ სახელმწიფოებს მოუნიდებს⁷ კონვენციის ეფექტური იმპლემენტაციის მიზნით, რეგულარულად შეაგროვონ შესაბამისი დეტალური სტატისტიკური მონაცემები ამ სფეროში შემავალ ყველა

² საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის მდგომარეობის შესახებ, გვ.145.

³ ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017 (ანგარიშის ძირითადი მიგნებების მიმოხილვა). ეროვნული კვლევა განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევით.

⁴ [იხ.:https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350412;](https://matsne.gov.ge/ka/document/view/3350412)

http://tbinternet.ohchr.org/_layouts/treatybodyexternal/Download.aspx?symbolno=CEDAW%2fC%2fGEO%2fCO%2f4-5&Lang=en

[http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebii7.pdf;](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebii7.pdf)

<http://www.ombudsman.ge/ge/reports/specialuri-angarishebi/qalta-mimart-dzaladobis-dzaladobis-mizezebis-she-saxeb-gaeros-specialuri-momxseneblis-angarishi-qartul-enaze.page>.

⁵ „სტამბოლის კონვენციის“ ძალაში შესვლის თარიღი: 2017 წლის 1-ლი სექტემბერი.

⁶ იხ. <http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf> გვ.141.

⁷ „სტამბოლის კონვენციის“ მე-11 მუხლი.

ფორმის ძალადობის შემთხვევასთან დაკავშირებით⁸ და მხარი დაუჭირონ შესაბამისი კვლევების განხორციელებას, რომლითაც შესწავლილი და გაანალიზებული იქნება ამგვარი ტიპის დანაშაულთა გამომწვევი ძირითადი მიზეზები და შედეგები, შემთხვევათა რაოდენობა და გამამტყუნებელი განაჩენის წილობრივი მაჩვენებელი.

ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობასთან ბრძოლის პროცესში სასამართლო სისტემას განსაკუთრებულად საპასუხისმგებლო როლი აკისრია, შესაბამისად, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკურმა განყოფილებამ პრიორიტეტულ საკითხად გამოყო განეხორციელებინა სიღრმისეული კვლევა ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის თაობაზე საერთაშორისო სტანდარტების ჭრილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, წინამდებარე კვლევის მიზანს წარმოადგენს ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვის შეფასება. კვლევაში აღწერილი და გაანალიზებულია, როგორ იყენებენ საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოები ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე მოქმედ კანონმდებლობას სხვა რელევანტურ საერთაშორისო აქტებთან ერთობლიობაში. ამ მიზნით შესწავლილ იქნა ქვეყნის მასშტაბით პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოწოდებული სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში სსკ-ს) 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე 2016-2017 წლებში დადგენილი 1236 განაჩენი და 3 განჩინება.

კვლევის სრულყოფილად ჩატარებისა და სათანადო რეკომენდაციების მომზადების მიზნით, საკვლევი ინფორმაციის შეგროვება მოხდა სხვადასხვა რეგიონის პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან წერილობითი მიმართვის საფუძველზე. სასამართლოებს ეთხოვათ, კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, მოეწოდებინათ (მათ შორის, მათ იურისდიქციის დაქვემდებარებული მაგისტრატი სასამართლოებიდან) სისხლის სამართლის ყველა ის საქმე, რომელშიც ბრალდებულის ქმედება დაკვალიფიცირებულ იქნა სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლით. აქვე დათქმის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ საკვლევი მასალის ფართო მოცულობიდან გამომდინარე, კვლევის ფარგლებში არ შერჩეულა ისეთი საქმეები, სადაც ფიგურირებდა სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული სსკ-ს სხვა მუხლებთან ერთობლიობაში.

მოპოვებულ და შესწავლილ იქნა 24 რაიონული (საქალაქო) სასამართლოს 1236 საქმე, მათ შორის, 2016 წელს დადგენილი 495, ხოლო 2017 წელს – 741 განაჩენი. დამატებით, სასამართლოს 3 განჩინება – სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების გაუქმებისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების შესახებ.

საკვლევი თემის ანალიზი განხორციელდა 15 ინდიკატორის მეშვეობით, კერძოდ:

1. საქმის განმხილველი სასამართლო;
2. საქმის ნომერი;
3. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხლი;
4. მოძალადე;

⁸ აღნიშნული ვალდებულება გვხვდება სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივ აქტშიც: გაეროს კონვენცია ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ, კონვენციის ფაკულტატური ოქმი და ზოგადი რეკომენდაციები, ზოგადი რეკომენდაცია №19 (ქალთა მიმართ ძალადობა), გვ.20.

5. მსხვერპლი;
6. დაზარალებული/მოწმე არასრულწლოვანი;
7. ნათესაური კავშირი ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის;
8. ძალადობის სახე;
9. დანაშაულის მოტივი;
10. საერთაშორისო სამართლებრივი აქტები და სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული სამართალი;
11. სასჯელი;
12. საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი;
13. შეფარდებული აღკვეთის ღონისძიების სახე;
14. გამამართლებელი განაჩენის საფუძველი;
15. **შენიშვნა:** ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოებები; სავალდებულო რეაბილიტაცია.

სასამართლოს მიერ განხილული ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეები კვლევაში წარმოდგენილია დინამიკაში. შესაბამისად, შედარებითი ანალიზის, აღწერილობითი და სისტემური მეთოდების გამოყენებით შესაძლებელი გახდა გაგვეანალიზებინა სხვა-დასხვა წლების სასამართლო განაჩენები.

ნაშრომში უხვად არის გამოყენებული ქართულენოვანი და უცხოენოვანი კვლევები, ასევე აღნიშნულ თემასთან დაკავშირებული საერთაშორისო ორგანიზაციების შეფა-სებები.

ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის წარმოსაჩენად კვლევა მოიცავს შემდეგ თემებს: ოჯახში ძალადობის შემთხვევების ზოგად სტატისტიკურ ანალიზს, გამოვლენილი ძალადობის ფორმებს, ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ შეფარდებულ სასჯელებს, მათ შორის, გამამართლებელი განაჩენების ანალიზს, მოძალადეთა სამკურნალო პროგრამებში სავალდებულო წესით ჩართვის პრაქტიკას, აგრეთვე, რამდენად ითვალისწინებს სასამართლო ქალთა მიმართ ძალადობის საქმეებში გენდერულ ხედვას და როგორი მიდგომებით ხასიათდება სასამართლო მოწყვლადი პირების (არასრულწლოვანთა, ორსულ ქალთა ან უმწეო მდგომარეობაში მყოფ პირთა) მიმართ განხორციელებულ ძალადობაზე.

კვლევაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა რელევანტური საერთაშორისო აქტების გამოყენების პრაქტიკას. ეროვნული სასამართლოების მიერ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების მაგალითების თვალსაჩინოებისათვის განაჩენებიდან ციტირებულია შესაბამისი ამონარიდები და შეფასებულია რამდენად ხდება ციტირებული მასალის საქმის კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგება.

იდენტიფიცირებული გამოწვევების კვალდაკვალ სხვადასხვა საერთაშორისო სახელმძღვანელო დოკუმენტებზე დაყრდნობით, შემოთავაზებულია რეკომენდაციები ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე სამართალწარმოების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით.

ძირითადი მიგნებები:

- კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ ყოველწლიურად იზრდება ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების სასამართლოს მიერ განხილვის მაჩვენებელი;
- სასამართლო საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ მსხვერპლის როლში, ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობის განხორციელებას;
- განაჩენთა უმრავლეს შემთხვევაში იდენტიფიცირებულია ფიზიკური ძალადობა, ყველაზე ნაკლებად გვხვდება ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის გამოვლენის ფაქტები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ საქმეებში არსად ფიგურირებდა ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცა უგულებელყოფა და იძულება;
- სასამართლო საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა ჩადენილია ურთიერთშელაპარაკებისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის დროს, შემდგომ ადგილზეა ეჭვიანობის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით შემცირებულია სსკ-ს 126¹ (მათ შორის სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლებით დაკვალიფიცირებულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმებების გაფორმებისა და შემდგომში სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების რაოდენობრივი მაჩვენებელი;
- პირველი ინსტანციის სასამართლოები ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე ყველაზე ხშირად აღკვეთის ღონისძიების სახედ იყენებენ გირაოს. სტატისტიკური მონაცემები ასევე ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ პირებს ხშირად ეფარდებათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა;
- საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ სასამართლოები ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ სასჯელის სახედ ყველაზე ხშირად იყენებენ პირობით თავისუფლების აღკვეთასა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას;
- სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წელს ბრალდებულთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობრივი მაჩვენებელიც;
- საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით სასამართლო პრაქტიკაში გაუმჯობესებულია ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დანიშვნის რადენობრივი მაჩვენებელი;
- სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, გამოვლინდა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდის პოზიტიური ტენდენცია. კვლევამ ასევე აჩვენა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეთა განხილვისას საერთაშორისო აქტებს ან/და

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართალს იყენებენ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთობლიობაში, შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების გავლენა სასამართლოს განაჩენებზე ძალზედ უმნიშვნელოა. როგორც წესი, სასამართლოები ციტირებას ახდენენ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკიდან, უმეტესწილად ცდილობენ მიუსადაგონ ისინი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის შემდეგაც სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტითა და საერთაშორისო აქტით დადგენილი სტანდარტები მსგავსია და სასამართლო ამ ორი აქტის საფუძველზე იღებს განაჩენს.

ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის მიმღებილვა

საქართველოს მასშტაბით არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ მოწოდებული საკულევი მასალის სტატისტიკური ანალიზის მიხედვით ირკვევა, რომ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით მკვეთრად გაზრდილია ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების განხილვის მაჩვენებელი. კერძოდ, 2016-2017 წლებში სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე გამოტანილია 1236 განაჩენი, აქედან 2016 წელს – 495, ხოლო 2017 წელს – 741 განაჩენი. ამ მხრივ, შედარებით მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს განხილული აქვს სულ 256 საქმე, სტატისტიკური მონაცემებით შემდეგ ადგილზეა გურჯაანის რაიონული სასამართლო (სულ 94 საქმე). რაც შეეხება, ქვეყნის დასავლეთ რეგიონს, საქმეთა განხილვის ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (სულ 164 საქმე), შემდეგ ადგილზე კი ბათუმის საქალაქო სასამართლოა (სულ 59 საქმე).

სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენის ტერიტორიული განფენილობა



	სულ	2016	2017
თბილისის საქალაქო	256	74	182
ქუთაისის საქალაქო	164	63	101
რუსთავის საქალაქო	85	26	59
ბათუმის საქალაქო	59	40	19
ფოთის საქალაქო	13	2	11
გორის რაიონული	61	28	33
ოზურგეთის რაიონული	43	9	34
ზეგდიდის რაიონული	39	22	17
სამცრედის რაიონული	38	11	27
სენაკის რაიონული	9	5	4
ზესტაფონის რაიონული	41	26	15
ხელვაჩაურის რაიონული	61	27	34
მცხეთის რაიონული	36	25	11
გურჯაანის რაიონული	94	51	43
სიღნალის რაიონული	41	10	31
ცაგერი	7	4	3
საჩხერის რაიონული	17	9	8
ამბროლაურის რაიონული	8	1	7
ახალქალაქის რაიონული	22	9	13
ბოლნისის რაიონული	33	14	19
ახალციხის რაიონული	41	18	23
ხაშურის რაიონული	28	4	24
თელავის რაიონული	39	17	22
თეთრიწყაროს რაიონული	1	0	1

2016-2017 წლებში რაიონული/საქალაქო (მათ შორის, მაგისტრატი) სასამართლოების მიერ გამოტანილ 1236 განაჩენში 1244 პირს ბრალი ედებოდა სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. კერძოდ, ოჯახში ძალადობისთვის 2016 წელს 500 პირი იყო ბრალდებული. ერთ საქმეზე შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა ბრალდებულის გარდაცვალების გამო, ხოლო 6 ბრალდებულის მიმართ სასამართლომ მიიღო გამამართლებელი განაჩენი. 2017 წელს ბრალდებულთა საერთო რაოდენობა 744 იყო, მათ შორის, გამამართლებელი განაჩენი დადგა 26 პირის მიმართ.

ნათესაური კავშირი

ოჯახში ძალადობა თავისი ხასიათით დაკავშირებულია გენდერულ ძალადობასთან, ამგვარი ძალადობის მსხვერპლს უმეტეს შემთხვევაში ქალები წარმოადგენენ.⁹ აღნიშნულს მოწმობს კვლევის ფარგლებში გაანალიზებული განაჩენები ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე. 2016-2017 წლებში სასამართლოების მიერ სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე დადგენილი განაჩენებით ირკვევა, რომ საქართველოში არსებული მდგომარეობა ძირითადად ქალთა მიმართ ძალადობაზე მიუთითებს (1071 ქალი იყო დაზარალებული). კერძოდ, 2016 წელს მოძალადე მამაკაცთა რაოდენობამ შეადგინა 94% (მოძალადე ქალი – 6%), ხოლო 2017 წელს მოძალადე კაცი იყო 96% (მოძალადე ქალი – 4%).

მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ ყველაზე ხშირად მოძალადე ქმარია. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის საქმეებში დაფიქსირდა 2 არასრულნლოვანი მოძალადე (ბიჭი).

წინამდებარე ცხრილში მოცემულია მსხვერპლისა და მოძალადის ნათესაური კავშირის ამსახველი მონაცემები, რომელიც ნათლად წარმოაჩენს ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებში მოძალადის სქესს. დათქმის სახით შეიძლება აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საქმეში მოძალადე კაცის ნათესაური კავშირი მსხვერპლთან იყო სხვადასხვაგვარი. მაგალითად, რამდენიმე მსხვერპლის არსებობისას ძალადობის განმახორციელებელი ერთი და იგივე პირი იყო როგორც მამა, ასევე ქმარი.


ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირის ნათესაური კავშირი მსხვერპლთან:	2016 წელი	2017 წელი
ქმარი (მათ შორის, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი)	289	465
ცოლი	3	1
ყოფილი ქმარი	40	47
მამა/მამობილი	43	91
დედა/დედობილი	11	8
შვილი/ნაშვილები (მამრობითი სქესის წარმომადგენელი)	61	94
შვილი/ნაშვილები (მდედრობითი სქესის წარმომადგენელი)	3	3
მამამთილი	4	3
დედამთილი	-	7
სიმამრი	5	1
სიდედრი	2	1
ძმა	20	22
და	2	3
ბებია	3	2
ბაბუა	-	5
შვილიშვილი (კაცი)	3	8
შვილიშვილი (ქალი)	-	-
სიძე	18	20
ბიძა	1	4
მოძალადე (მამრობითი სქესის წარმომადგენელი)	12	7
მოძალადე (მდედრობითი სქესის წარმომადგენელი)	9	10

⁹ ob. http://endviolence.un.org/pdf/factsheets/unite_the_situation.pdf.

წინამდებარე მონაცემები ნათლად წარმოაჩენს, რომ საქართველოში ქალთა მიმართ ძალადობის დღის საკმაოდ მაღალია. თუ გავითვალისწინებთ ოჯახში ძალადობის შემთხვევებზე სასამართლოს მიერ საქმეთა განხილვის მზარდ მაჩვენებელს, სწორედ გენდერული თანასწორობის მიმართულებით გასატარებელი ღონისძიებების გაძლიერება, მათ შორის, რისკების იდენტიფიცირება და სიღრმისეული ანალიზი წარმოადგენს ამგვარი კატეგორიის დანაშაულთა მკვეთრად შემცირებისა და აღკვეთის ხელშემწყობ წინაპირობას.

ပုဂ္ဂိုလ်အနေဖြင့် ဒုက္ခရာများ

ოჯახში ძალადობა, როგორც წესი, არის „სისტემატიური, განგრძობადი და ესკალი-რებადი“.¹⁰ იგი ნარმოადგენს „ძალადობის ციკლს“, რომელიც შეიძლება დაიყოს სამ ფაზად: „დაძაბულობის დაწყების ფაზა“, „ძალადობის ფაზა“ და „თაფლობისთვის ფა-ზა“, რა დროსაც მოძალადე ცდილობს მოინანიოს თავისი საქციელი და შეურიგდეს მსხვერპლს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, ოჯახში ძალადობა არ არის ერთჯერადი ქმედება – ეს არის პროცესი, რომელიც შედგება ძალადობის განმეორებადი ციკლი-საგან და დამყარებულია მოძალადისა და მსხვერპლის ურთიერთობაზე. ძალადობის სუბიექტები, როგორც წესი, ერთმანეთზე არიან დამოკიდებულნი, ამიტომ, უმეტეს შემთხვევაში, ოჯახი მაღავს ამ ფაქტს. მოძალადე მიიჩნევს, რომ მისი ქმედება ეფექ-ტურია მსხვერპლთან ურთიერთობის „გასარკვევად“, რადგან სხვა არაძალადობრი-ვი ქმედებები მეტ ძალის ხმევას მოითხოვს.¹¹



¹⁰ T McCormick - Convicting Domestic Violence Abusers when the Victim Remains Silent (1998) 13 BYU Journal of Public Law 428 at p.431.

¹¹ Handbook on effective prosecution responses to violence against women and girls, United Nations Office on Drugs and Crime, p.37.

ოჯახში ძალადობა არის ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის დამყარების სურვილი. მოძალადე განზრახ მიმართავს ძალადობას, მსხვერპლზე გავლენის მოპოვების მიზნით. უმეტეს შემთხვევაში, ფიზიკურ ძალადობას წინ უძლვის მსხვერპლის დამცირება და დაშინება. ძალადობის შედეგად მოპოვებული კონტროლი კი გამოიხატება მსხვერპლის თავისუფალი ნების გამოვლინების შეზღუდვაში, იზოლაციასა და მანიპულირებაში.¹²

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია („სტამბოლის კონვენცია“) უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი დოკუმენტია¹³ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ სფეროში. კონვენციის მიზნებისთვის „ოჯახში ძალადობა გულისხმობს ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტის, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ, ან ამჟამინდელ მეულლებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა“.¹⁴ როგორც უკვე აღვნიშნეთ, ოჯახში ძალადობა იშვიათად წარმოადგენს ერთჯერად ინციდენტს, იგი კუმულაციური და ურთიერთდაკავშირებულია ფიზიკურ, ფსიქოლოგიურ, სექსუალურ, ემოციურ ან ფინანსურ შეურაცხყოფასთან, რომელსაც განსაკუთრებულად მავნე ზემოქმედება აქვს მსხვერპლსა და მის გარშემო ყოფილ პირებზე.¹⁵

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლი, რომელიც არის ოჯახში ძალადობის სპეციალური მუხლი, აერთიანებს ორ ქმედებას, რომელთაგან თითოეული ცალ-ცალკე იძლევა დანაშაულის შემადგენლობას: 1. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ფიზიკური ძალადობა; 2. ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა. კერძოდ, ამ მუხლით კვალიფიცირდება ოჯახის ერთი წევრის მხრიდან მეორის მიმართ ფსიქოლოგიური ძალადობა: შეურაცხყოფა, შანტაჟი ან დამცირება, რასაც აუცილებლად სისტემატურ ხასიათი უნდა ჰქონდეს და ინვევდეს დაზარალებულის ტანჯვას ანუ მორალურ ზიანს. თუმცა, თუ სახეზე ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ სისტემატური ფიზიკური ძალადობა (მაგალითად, ცემის ორზე მეტი შემთხვევა), პირის ქმედება სცილდება სსკ-ს 126¹-ე მუხლის ფარგლებს.¹⁶ კვლევის წინამდებარე თავში პრაქტიკული მაგალითების მოხმობით, პირველ რიგში, გამოვყოფთ ძალადობის იმ ფორმებს, რომლებიც იყო იდენტიფიცირებული 2016-2017 წლების სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე გამოტანილ განაჩენებში, აგრეთვე განმარტების სახით მიმოვინილავთ ძალადობის სხვა ფორმებსაც, რომლებიც არ გამოვლენილა შესწავლილ საქმეებში.

ფიზიკური ძალადობა – ცემა, წამება, ჯანმრთელობის დაზიანება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ინვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას; ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობა, რაც ინვევს ოჯახის წევრის ჯანმრთელობის დაზიანებას ან სიკ-

¹² Preventing and combating domestic violence against women. A learning resource for training law-enforcement and justice officers (CoE), 2016.

¹³ წინამდებარე „სტამბოლის კონვენცია“ ძალაში შევიდა 2014 წლის 1-ლ აგვისტოს. საქართველომ აღნიშნულ კონვენციის ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს, ხოლო მისი რატიფიცირება მოახდინა 2017 წლის 5 აპრილის №543-III დადგენილებით (ძალაშია 2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან).

¹⁴ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

¹⁵ Overarching Principles - Domestic Abuse Definitive Guideline, Sentencing Council, UK, 2018, p.3.

¹⁶ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისთვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ (ეროვნული ნაწილი), 2016, გვ.29.

ვდილს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე¹⁷ ბრალდებულს ბრალად წარედგინა დაზარალებულისათვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიუენება, რაც გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის სექტემბრის შუა რიცხვებში, დაახლოებით 20:00 საათიდან 21:00 საათამდე პერიოდში, ვ.ა. ალკოჰოლური თრობის ქვეშ იმყოფებოდა თბილისში. მას სურდა ყოფილ მეუღლესთან – ე.ქ-სთან შერიგება, ამ უკანასკნელისაგან კი მიიღო უარი, რის შედეგადაც ვ.ა. გახდა აგრძესიული და ყოფილ მეუღლეს მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა, კერძოდ, ყელზე ხელების მოჭერით ცდილობდა მის გაგუდვას, რის შედეგადაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. ბრალდებულმა ძალადობრივი ქმედება მომდევნო პერიოდში კვლავ განახორციელა. ალკოჰოლური თრობის ქვეშ მყოფმა მეუღლისგან შერიგებაზე უარის მიღების გამო, არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით, დაზარალებულს ხელი დაარტყა სახის არეში და მოქაჩა თმა, რის შედეგადაც დაზარალებულმა ე.ქ-მ განიცადა ფიზიკური ტკივილი.

სასამართლომ, მხარეთა უშუალო მონაწილეობით განიხილა საქმე და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სახეზეა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა (დაზარალებულის, ბრალდებულისა და მოწმეთა ჩვენებები; ვ.ა-ს დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმი; სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნები; საგამოძიებო ექსპერიტის ოქმები და სხვა) ერთობლიობა ვ.ა-ს დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისთვის. სასამართლომ მოძალადეს საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლის ვადით.

ფსიქოლოგიური ძალადობა – შეურაცხყოფა, შანტაჟი, დამცირება, მუქარა ან სხვა ისეთი მოქმედება, რომელიც ადამიანის პატივისა და ღირსების შელახვას იწვევს. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე¹⁸ ბრალდებულს ბრალად წარედგინა დაზარალებულის სისტემატური სიტყვიერი შეურაცხყოფა, რაც იწვევდა მსხვერპლის სულიერ ტანჯვას. კერძოდ, გ.ტ. დედაზე, დაახლოებით სამი წლის განმავლობაში, სისტემატურად ახორციელებდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას, ლახავდა მის პატივსა და ღირსებას. 2016 წლის 15 აპრილს ბრალდებულმა კვლავ განახორციელა დედის დამცირება, კერძოდ, მიუვარდა სამუშაო ადგილზე, მოქალაქეთა თანდასწრებით მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და სცადა იქვე მოთავსებული ტელევიზორის დაზიანება. გ.ტ-ს მხრიდან დაზარალებულის სისტემატური შეურაცხყოფის თავიდან ასაცილებლად გამოცემული იყო შემაკავებელი ორდერი, რის მიხედვითაც, მოძალადეს ეკრძალებოდა მსხვერპლთან, მის სამუშაო და საცხოვრებელ ადგილთან მიახლოება.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დადების თაობაზე და გ.ტ-ს სასჯელად შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით, რაც სსკ-ს 63-ე მუხლის საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და სსკ-ს 64-ე მუხლის თანახმად, გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 1 (ერთი) წელი.

ეკონომიკური ძალადობა – ქმედება, რომელიც იწვევს საკვებით, საცხოვრებელი და ნორმალური განვითარების სხვა პირობებით უზრუნველყოფის, საკუთრებისა და შრომის უფლებების განხორციელების, აგრეთვე, თანასაკუთრებაში არსებული ქონებით სარგებლობისა და კუთვნილი წილის განკარგვის უფლებით შეზღუდვას. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე¹⁹ ბრალდებულს, რომელიც იყო წარსულში ნასამართლევი იმავე დანაშაულისთვის, ბრალად წარედგინა დედის მიმართ სისტემატური ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა. კერძოდ, ძალადობრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: გ.ტ.

¹⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 14 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/4693-17.

¹⁸ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის განაჩენი, საქმე №1-217-16.

¹⁹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 თებერვლის განაჩენი, საქმე №1-710-16.

სისტემატურად შეურაცხყოფდა და დამამცირებელ ქმედებებს ახორციელებდა დედის მისამართით. 2016 წლის 3 ივნისს მის მიმართ გამოიცა შემაკავებელი ორდერი. აღნიშნულის მიუხედავად, ბრალდებულმა განაგრძო დედის სისტემატური შეურაცხყოფა, მისი პატივისა და ღირსების შეღახვა სხვა ადამიანების, მათ შორის, მსხვერპლის არასრულ-წლოვანი შვილიშვილების თანდასწრებით. იგი კვირაში ერთხელ მიდიოდა დედის სამუშაო ადგილზე და სთხოვდა მას ფულს, დაზარალებულის მხრიდან უარის მიღების შემდეგ კი იწყებდა მის სიტყვიერ შეურაცხყოფას უწესო ფორმით, არ ერიდებოდა გარშემომყოფ უცხო ადამიანებს. ამგვარი ქმედებით მსხვერპლი განიცდიდა ფსიქოლოგიურ ზეწოლას და ტანჯვას, რადგან უმრავლეს შემთხვევაში იძულებული იყო მიეცა ფული და დაეხურა მაღაზია, რომ სხვა ხალხის თანდასწრებით ბრალდებულს აღარ მიემართა უწმატური სიტყვებით, აღნიშნულით კი მას ექმნებოდა ეკონომიკური პრობლები. ბრალდებული ბოლო პერიოდში უფრო აგრესიული გახდა დედის მიმართ და 2016 წლის 13 ნოემბერს დილის საათებში, ნასვამ მდგომარეობაში მყოფმა მიაკითხა მას სამსახურში, რა დროსაც მიმართა შეურაცხმყოფელი სიტყვებით და მოსთხოვა ფული. დაზარალებულს შერცხვა მაღაზიაში მყოფი ხალხის და თავიდან მოშორების მიზნით მისცა 10 ლარი, მოძალადის წასვლის შემდეგ კი დაკეტა მაღაზია და წავიდა სახლში, რომ ბრალდებული კვლავ არ მისულიყო მასთან სამსახურში და არ მიეყენებინა სიტყვიერი შეურაცხყოფა. 2016 წლის 14 ნოემბერს მოძალადებ კვლავ მიაკითხა დედას მაღაზიაში და მოსთხოვა ფული. მსხვერპლმა აღარ მისცა თანხა და ტაქსით გაუშვა პრობაციის ბიუროში (ბრალდებული იმყოფებოდა პირობითი მსჯავრის ქვეშ), თვითონ კი დაკეტა თავისი მაღაზია და წავიდა სახლში. აღნიშნულის გამო გ.ტ. გაბრაზდა და ტაქსის მძღოლის ტელეფონით მისივე თანდასწრებით დედას მიმართა უცენზურო სიტყვებით, შემდეგ დაბრუნდა მაღაზიასთან და მაღაზიის კარის დაზიანების მუქარით დედის მისამართით დაიწყო გინება. მისი ქმედებით გ.ტ. თავს გრძნობდა დამცირებულად, მისი პატივი და ღირსება განუწყვეტლივ იღახებოდა და იწვევდა სულიერ ტანჯვას.

მოცემულ საქმეზე სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებული მტკიცებულებათა ერთობლიობით გონივრულ ეჭვს მიღმა დაგინდებოდა, რომ გ. ტ-მ ნამდვილად ჩაიდინა დანაშაული. სასამართლომ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე და ბრალდებულს სასჯელის სახედ და ზომად ამ კონკრეტული დანაშაულისთვის შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 1 (ერთი) წლისა და 6 (ექვსი) თვის ვადით, საიდანაც საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, 1 (ერთი) წელი განესაზღვრა სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო 6 (ექვსი) თვე, საქართველოს სსკ-ის 63-ე მუხლის თანახმად, ჩაეთვალა პირობითად.

სექსუალური დალადობა – სქესობრივი კავშირი დალადობით, დალადობის მუქარით ან მსხვერპლის უმნეობის გამოყენებით; სქესობრივი კავშირი ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედება ან გარყვნილი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეზე²⁰ გ.ბ-ს ბრალად წარედგინა მეუღლისთვის სიტყვიერი, ფიზიკური (სექსუალური ხასიათის) შეურაცხყოფის მიყენება. ძალადობრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2017 წლის 12 აგვისტოს დაზარალებული იმყოფებოდა საცხოვრებელ სახლში, რა დროსაც მივიდა მისი მეუღლე მასთან და სთხოვა დაემყარებინა სექსუალური ურთიერთობა. მსხვერპლმა სთხოვა თავი დაეცემოდა, თუმცა აღნიშნულის მიუხედავად, მოძალადე ცდილობდა ძალით დაემყარებინა მასთან სექსუალური კავშირი. დაზარალებული შეეცადა მისთვის წინააღმდეგობის გაწევას, რა დროსაც გ.ბ-მ მას მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა, განახორციელა სექსუალური დალადობა და ასევე რამდენიმეჯერ დაარტყა მუშტი გვერდის არეში, რითაც მსხვერპლმა განიცადა

²⁰ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/196-17.

ძლიერი ფიზიკური ტკივილი.


სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეში არსებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნის, აგრეთვე სხვა მტკიცებულებათა ერთობლიობით, გონივრულ ეჭვს მიღმა დასტურდებოდა, რომ მ.ბ-მ ჩაიდინა დანაშაული. სასამართლომ სასჯელის სახედ და ზომად პრალდებულს შეუფარდა თავისუფლების აღკვეთა 8 (რვა) თვის ვადით, საიდანაც საქართველოს სკ-ის 50-ე მუხლის თანახმად, 4 (ოთხი) თვე დაენიშნა სასჯელადსრულების დაწესებულებაში მოხდით, ხოლო დარჩენილი 4 (ოთხი) თვე საქართველოს 63-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად განესაზღვრა 1 (ერთი) წელი.

იძულება – ადამიანის ფიზიკური ან ფსიქოლოგიური იძულება, შეასრულოს ან არ შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება, ან რომლისგან თავის შეკვება მისი უფლებაა, ან საკუთარ თავზე განიცადოს თავისი ნება-სურვილის საწინააღმდეგო ზემოქმედება.²¹

უგულებელყოფა – მშობლის ან/და კანონიერი წარმომადგენლის მიერ ბავშვის ფიზიკური, ფსიქოლოგიური საჭიროების დაუკმაყოფილებლობა, საბაზისო განათლების უფლების შეზღუდვა, საფრთხისაგან დაუცველობა, დაბადების რეგისტრაციის, სამედიცინო და სხვა მომსახურებით სარგებლობისათვის აუცილებელი მოქმედებების განუხორციელებლობა მაშინ, როდესაც მშობელს ან/და კანონიერ წარმომადგენელს აქვს სათანადო ინფორმაცია, შესაძლებლობა და ხელიც მიუწვდება შესაბამის მომსახურებაზე.²²

წინამდებარე სექტორულ დიაგრამებში დიფერენცირებულად არის წარმოდგენილი ძალადობის ფორმები 2016-2017 წლებში გამოტანილი განაჩენების მიხედვით. საგულისხმოა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში ძალადობის მხოლოდ ერთი ფორმა არ ყოფილა მითითებული. მაგალითად, რამდენიმე საქმეში ფიგურირებდა როგორც ფიზიკური, ასევე ფსიქოლოგიური ძალადობა ან ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობა. აღსანიშნავია, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილ განაჩენებში არსად არ ყოფილა იდენტიფიცირებული ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა უგულებელყოფა და იძულება.

ძალადობის ფორმები 2016 წლის განაჩენების მიხედვით



²¹ „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გ“ ქვეპუნქტი.

²² <http://myrights.gov.ge/ka/%E1%83%A9%E1%83%94%E1%83%9B% E1%83%98-%E1%83%A3% E1%83%A4% E1%83%9A% E1%83%94% E1%83%91% E1%83%94% E1%83%91% E1%83%98/faq/668-dzaladobis-ra-formebi-arcebobs>.

2016 წელს სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე დადგენილი 495 განაჩენიდან უმრავლეს შემთხვევაში, 373 საქმეში გვხვდება ფიზიკური ძალადობა, ფსიქოლოგიური (სიტყვიერი შეურაცხყოფა) და ფიზიკური ძალადობა – 120 საქმეში, ხოლო ფსიქოლოგიური – 2 განაჩენში. ძალადობის სხვა ფორმები, როგორებიცაა ეკონომიკური ძალადობა, იძულება ან/და უგულებელყოფა არც ერთ განაჩენში ყოფილა იდენტიფიცირებული.

ძალადობის ფორმები 2017 წლის განაჩენების მიხედვით



2017 წელს სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე გამოტანილი 741 განაჩენიდან ფიზიკური ძალადობა იდენტიფიცირებულია 553 საქმეში, ძალადობის ორი სხვადასხვა ფორმა ერთად: ფსიქოლოგიური (სიტყვიერი შეურაცხყოფა) და ფიზიკური – 182 განაჩენში, ხოლო ფსიქოლოგიური (სიტყვიერი შეურაცხყოფა) და ეკონომიკური – 1 საქმეში. მხოლოდ ფსიქოლოგიური ძალადობა მითითებული იყო 3 შემთხვევაში, ხოლო სექსუალური ხასიათის ძალადობა – 2 საქმეში. წინა წელთან შედარებით 2017 წლის მონაცემებში ფიზიკური ძალადობის გარდა, უმნიშვნელოდ არის გაზრდილი ძალადობის სხვა ფორმების იდენტიფიცირების მაჩვენებელი. თუმცა კვლავ არ ფიქსირდება მონაცემები იძულების ან/და უგულებელყოფის შემთხვევებზე.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით ირკვევა, რომ ოჯახური დანაშაულების ფაქტებზე დაზარალებულთაგან დაახლოებით 7% იყო მოძალადის მხრიდან სისტემატური შეურაცხყოფის მსხვერპლი. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ ახალი ეროვნული კვლევის²³ თანახმად, მეუღლის/პარტნიორის მხრიდან ფსიქოლოგიური ძალადობა და იძულება ძალადობის ყველაზე გავრცელებული და გაცხადებული ფორმებია. ამ მხრივ სასამართლოს სტატისტიკური მონაცემები განსხვავებულია და განაჩენების მიხედვით ძალადობის სხვა ფორმებთან შედარებით ყველაზე ხშირად იდენტიფიცირებულია ფიზიკური ძალადობის ფაქტები.²⁴

ძალადობის ფორმების სწორი იდენტიფიცირება განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მსხვერპლის დაცვის ღონისძიებების ჯეროვანი დაგეგმვისა და შემდგომი რისკების პრევენციის თვალსაზრისით. მაგალითად, დადგენილია, რომ განგრძობად ფსიქოლოგიურ ძალადობას აუცილებლად მოჰყვება ფიზიკური ძალადობა, თუ მისი პრევენციისკენ მიმართული ღონისძიებები დროული არ იქნება.²⁵ შესაბამისად, ძალადობის ფორმისა და სიმძიმის მხედველობაში მიღება აუცილებელია მოძალადისთვის ადეკვატური სასჯელის შეფარდების კუთხით.

²³ გაეროს ქალთა ორგანიზაციის, საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურისა და ევროკავშირის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარებული კვლევა – ქალთა მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა საქართველოში 2017.

²⁴ *ibid.* <http://www.ombudsman.ge/uploads/other/5/5139.pdf> გვ.143.

²⁵ Tina de Benedictis, Ph.D., Jaelline Jaffe, Ph.D., and Jeanne Segal, Ph.D. Domestic violence and abuse: Types, signs, symptoms, causes, and effects. Retrieved January 13, 2017, from <http://www.aaets.org/article144.htm>.

სასჯელები

1. საერთაშორისო მიზანმიზი რეზიუმე ქალადობის შესახებ საქმეებზე სასჯელთა შეფარდებისას

სასჯელის შეფარდება ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების გადაწყვეტის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. ის წარმოადგენს პროცესის ყველა წინმდევი ნაბიჯის კულტურული და ყველაზე მკაფიო გზას იმის საჩვენებლად, რომ საზოგადოების თვის მიუღებელია ძალადობა და დამნაშავის დაუსჯელობა.²⁶ სასჯელის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ძალადობის აღკვეთა, მსხვერპლის დაცვა, დამნაშავის პასუხისმგებაში მიცემა და პრევენცია. შესაბამისად, სასამართლოს დამოკიდებულება ძალადობის დასაგმობად უნდა გამოიხატოს დამნაშავისათვის ადეკვატური სასჯელის შეფარდებაში.²⁷ ამ მხრივ მოსამართლეს უმთავრესი როლი აკისრია, რადგან სასჯელი, რომელსაც ის აკისრებს მოძალადეს, ასახავს საზოგადოების ტოლერანტულ ან არატოლერანტულ დამოკიდებულებას ძალადობის მიმართ.

„სტამბოლის კონვენცია“²⁸ მოუწოდებს ხელშემკვრელ სახელწიფოებს გაატარონ ყველა საჭირო საკანონმდებლო თუ სხვა ზომები იმისათვის, რომ ქალთა წინააღმდეგ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის დანაშაულები იყოს დასჯადი „ეფექტური, თანაზომიერი და გადამაფიქრებელი“ სანქციის მეშვეობით, მათი სიმძიმიდან გამომდინარე. კონვენცია განსაზღვრავს დამამდიმებელი გარემოებების ჩამონათვალს, რომელიც მხედველობაში უნდა მიიღოს სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას:

- დანაშაული ჩადენილი იყო ყოფილი ან ამჟამინდელი მეუღლის ან პარტნიორის მიმართ, როგორც ეს აღიარებულია შიდა კანონმდებლობით, ოჯახის წევრის მიერ, მსხვერპლთან ერთად მცხოვრები პირის მიერ ან პირის მიერ, რომელმაც ბოროტად გამოიყენა თავისი ძალაუფლება,
- დანაშაული ან მასთან დაკავშირებული დანაშაულები ჩადენილ იქნა არაერთხელ;
- დანაშაული ჩადენილი იყო პირის მიმართ, რომელიც გარკვეული გარემოებების გამო მოწყვლადია;
- დანაშაული ჩადენილი იყო ბავშვის მიმართ ან ბავშვის თანდასწრებით;
- დანაშაული ჩადენილი იყო ორი ან მეტი ადამიანის მიერ, რომლებიც მოქმედებდნენ ერთობლივად;
- დანაშაულს წინ უსწრებდა ან თან სდევდა უკიდურესად მაღალი დონის ძალადობა;
- დანაშაული ჩადენილი იყო იარაღის ან იარაღის მუქარის გამოყენებით;
- დანაშაულმა მძიმე ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტრავმა მიაყენა მსხვერპლს;
- დამნაშავე ადრეც ყოფილა ნასამართლევი მსგავსი ხასიათის დანაშაულისთვის.

²⁶ იხ. <https://rm.coe.int/16805970c1> p.51.

²⁷ Preventing and combating domestic violence against women (A learning resource for training law-enforcement and justice officers), CoE, (2016) p.60.

²⁸ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 46-ე მუხლი.

დამატებით, ბრიტანეთის სასჯელის განსაზღვრის საბჭოს²⁹ (Sentencing Council) მიერ შემუშავებული ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სახელმძღვანელო პრინციპები³⁰ ითვალისწინებს ყველა იმ დამამდიმებელ თუ შემამსუბურებელ გარემოებებს, რომლებიც მხედველობაში უნდა მიიღოს მოსამართლემ სასჯელის შეფარდებისას. აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სასამართლოს მიერ დადგენილი განაჩენი უნდა გამომდინარეობდეს დანაშაულის სიმძიმდან და არა მსხვერპლის გაცხადებული ნებიდან გამომდინარე, რადგან:

- ✓ სასამართლოს განაჩენი გამოაქვს სახელმწიფოს (საზოგადოების) სახელით;
- ✓ მსხვერპლს არ ეკისრება პასუხისმგებლობა სასჯელისთვის;
- ✓ მსხვერპლის გაცხადებული ნება შეიძლება განპირობებული იყოს მოძალადის მხრიდან დაშინებით ან სხვაგვარი შიშით;
- ✓ ამგვარი შიშების რისკი კიდევ უფრო გაიზრდება, თუ ზოგადად მიიჩნევა, რომ მსხვერპლის ნება გავლენას ახდენს სასჯელზე.

ზემოაღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სასამართლომ ოჯახში ძალადობის კონტექსტში ჩადენილი დანაშაულის შემამსუბურებელ გარემოებად, გარდა გამონაკლისი შემთხვევებისა, არ უნდა განიხილოს მსხვერპლის მხრიდან პროვოკაცია. ამასთან, დამნაშავემ ან მსხვერპლმა შეიძლება მიმართოს სასამართლოს ბავშვთა ინტერესებიდან გამომდინარე, ნაკლებად მკაცრი სასჯელის შეფარდების თხოვნით. თუმცა, აღნიშნული სახელმძღვანელო პრინციპების თანახმად, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, როგორც ურთიერთობის გაწყვეტის გავლენა ბავშვებზე, ასევე ძალადობის განმეორებით შესაძლო ჩეგავლენა მათზე.

ბრიტანეთის სასჯელის განსაზღვრის საბჭომ გამოყო შემდეგი დამამძიმებელი ფაქტორები, რომლებიც სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს:

- ნდობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენება;
- დანაშაულის ჩადენა მოწყვლადი პირის მიმართ (ოჯახში ძალადობის ყველა მსხვერპლი პოტენციურად დაუცველია ძალადობის ბუნებიდან გამომდინარე. თუმცა ოჯახში ძალადობის ზოგიერთი მსხვერპლი შეიძლება იყოს სხვებზე მეტად დაუცველი. მოწყვლადობა შესაძლებელია არ იყოს დაუყოვნებლივ თვალსაჩინო);
- მოძალადის მიერ გადადგმული შესაბამისი ნაბიჯები მსხვერპლის წინააღმდეგ ძალადობის ფაქტის გაცხადების შესაზღუდად/აღსაკვეთად;
- მოძალადის მცდელობა მსხვერპლმა არ ისარგებლოს შესაბამისი დახმარებით;
- მსხვერპლის იძულებით მდგომარეობაში ჩაყენება, რომ დატოვოს საცხოვრებელი სახლი ან როდესაც საჭიროა მოძალადემ დატოვოს საცხოვრებელი სახლი მსხვერპლის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად;

²⁹ სასჯელის განმსაზღვრელი საბჭო წარმოადგენს დამოუკიდებელ ორგანოს, რომელიც ფუნქციონირებს ინგლისისა და უელსის ოუსტიციის სამინისტროს ფარგლებში. საბჭოს მიზანს წარმოადგენს სასჯელთა განსაზღვრის ერთგვაროვანი პრაქტიკის დანერგვის ხელშეწყობა შესაბამისი სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავების გზით.

³⁰ იხ. <https://www.sentencingcouncil.org.uk/publications/item/overarching-principles-domestic-abuse-definitive-guideline/>.

- ძალადობის ფაქტის ზემოქმედება ბავშვებზე (ოჯახში ძალადობამ, ბავშვებზე შესაძლოა როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი გავლენა მოახდინოს);
- ბავშვთან კონტაქტის გამოყენებით დანაშაულის პროცესირება;
- დამნაშავის მიერ ოჯახში ძალადობის კონტექსტში ძალადობის ან მუქარის ჩადენის დადასტურებული არაერთი ფაქტი;
- სასამართლო ბრძანების დაუმორჩილებლობის არაერთი შემთხვევა (მაგალითად, დამცავი ან შემაკავებელი ორდერის დარღვევა).

მოცემული სახელმძღვანელო პრინციპები განსაზღვრავს ოჯახში ძალადობის შესახებ საქმის განხილვისას სასამართლოს მიერ გასათვალისწინებელ შემდეგ ფაქტორებს:

- კარგი რეპუტაცია – სასჯელის შეფარდების ზოგადი პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს მოძალადის კარგი რეპუტაცია. თუმცა საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოების თვალში სწორედ დადებითი რეპუტაციით სარგებლობა შეიძლება იყოს ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ძალადობის გამოვლენის დამაპრკოლებელი ერთ-ერთი ფაქტორი. შესაბამისად, ოჯახში ძალადობის კონტექსტში ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით, დამნაშავის კარგი რეპუტაცია ზოგადად არ უნდა იყოს გათვალისწინებული, როდესაც დასტურდება მისი მხრიდან ძალადობრივი ქმედების განხორციელების ფაქტი;
- მოძალადე გაცნობიერებულად ღიად გამოხატავს ძალადობრივი დამოკიდებულების შეცვლის სურვილს და აღნიშნული დასტურდება შესაბამისი დახმარების ნებაყოფლობით მიღებით.

ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ კანონმდებლობის გაეროს სახელმძღვანელოში³¹ მოცემულია რეკომენდაცია მოძალადისთვის ჯარიმის დაკისრების მაქსიმალურ შეზღუდვასთან დაკავშირებით. კერძოდ, დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ჯარიმის გადახდა პოტენციურად ტვირთად აწვება მსხვერპლს და არ უნდა იქნეს მიჩნეული დამნაშავის დასჯის ადეკვატურ ზომად. ზოგიერთ ქვეყანაში კი, მათ შორის ესპანეთში, ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე არ არის გათვალისწინებული ჯარიმის დაკისრების შესაძლებლობა. ამ საკითხთან დაკავშირებით „ქალთა წინააღმდეგ ოჯახში ძალადობის აღკვეთისა და პრევენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს სახელმძღვანელოში განმარტებულია, რომ ჯარიმის დაკისრებისას სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს ის ფინანსური პრობლემები, რომლებიც შესაძლებელია წარმოეშვას მსხვერპლსა და მის არასრულწლოვან შვილებს, როდესაც დამნაშავე არის ოჯახის ერთადერთი მარჩენალი.³²

სხვადასხვა ქვეყნის საპროცესო სამართალი ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მხრიდან დანაშაულის აღიარებას მიიჩნევს შემამსუბუქებელ გარემოებად. თუმცა ზემოაღნიშნულ სახელმძღვანელოში მოცემული რეკომენდაციის თანახმად, სასამართლომ მოძალადის მხრიდან ქმედების აღიარება და მონაწილეობა ავტომატუ-

³¹ იხ. <http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf> p.52.

³² Preventing and combating domestic violence against women (A learning resource for training law-enforcement and justice officers), CoE, (2016) p.61.

რად არ უნდა განიხილოს შემამსუბუქებელ ფაქტორად, ასეთ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ბრალდებულის წარსული ან/და ძალადობრივი დამოკიდებულების განგრძობადი ხასიათი.³³

აღსანიშნავია, რომ გენდერულად სენსიტიური მართლმსაჯულების ხელშეწყობისა და ამგვარი კატეგორიის დანაშაულების სწრაფი განხილვის მიზნით, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად, ესპანეთში, ბრაზილიაში, ურუგვაიში, ვენესუელაში, ინგლისსა და ამერიკის რამდენიმე შტატში ფუნქციონირებს სპეციალიზებული სასამართლოები.³⁴ ამგვარი სასამართლოების ფუნქციონირების წარმატებული პრაქტიკა განპირობებულია მართლმსაჯულების პროცესის მწარმოებელი პირების სპეციალური გადამზადებით კონკრეტულად ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ საქმეების განხილვის თავისებურებებიდან გამომდინარე.

³³ იხ. <https://rm.coe.int/16805970c1> p.61.


³⁴ UN Handbook for Legislation on Violence against Women, 2010, p.20.

2. ოჯახში ძალადობისთვის პრალდებული პირების მიმართ პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ შეფარდებული სასჯელის სახელი

სასჯელი არის სახელმწიფოს იძულების განსაკუთრებული ღონისძიება, რომელიც საქართველოს სახელით მხოლოდ სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით შეიძლება შეფარდოს დანამაულის ჩამდენ პირს. სისხლის სამართლის საგარანტიო ფუნქციას სასჯელთან მიმართებაში აქვს კონსტიტუციური რანგი: „*nulla poena sine lege*“ (არ არსებობს სასჯელი კანონის გარეშე) და „*nulla poena sine culpa*“ (არ არსებობს სასჯელი ბრალის გარეშე).³⁵

დანაშაულის ყველა კონკრეტულ შემადგენლობას აქვს კანონმდებლის მიერ განსაზღვრული კონკრეტული სანქციის ფარგლები. სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის პირველი ნაწილი სასჯელის სახით ითვალისწინებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას 80-დან 150 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას 1 წლამდე, ხოლო მეორე ნაწილი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას 200-დან 400 საათამდე ან თავისუფლების აღკვეთას 1-დან 3 წლამდე ვადით.

2016-2017 წლებში, ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირების³⁶ მიმართ ყველაზე – 669 შემთხვევაში სასჯელის სახით გამოყენებულ იქნა პირობით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 302 შემთხვევაში ძირითად სასჯელად – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა:³⁷




2016-2017 წლებში ვადიანი თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულ იქნა 162 შემთხვევაში. გარდა აღნიშნული მონაცემისა, ვადიანი თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას, სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე, პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 78 მსჯავრდებულს განუსაზღვრა სასჯელის ნაწილის მოხდა სასჯელალსრულების დაწესებულებაში, ხოლო დანარჩენი ნაწილი ჩაუთვალა პირობით მსჯავრად:³⁸

³⁵ მერაბ ტურავა – სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილის მიმოხილვა (მეცხრე გამოცემა), 2013, გვ.353.


³⁶ კვლევის ფარგლებში შესწავლილი 1236 განაჩენიდან მსჯავრდებული იყო 1211 პირი.

³⁷ მათ შორის 2016 წელს განაჩენთა ერთობლიობის დროს ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებულ 7 პირს დაედო პირობითი მსჯავრი, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა 10 მსჯავრდებულს; 2017 წელს განაჩენთა ერთობლიობის დროს ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებულ 13 პირს დაედო პირობითი მსჯავრი, ხოლო საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა განესაზღვრა 4 მსჯავრდებულს.

³⁸ მათ შორის, 2016 წელს განაჩენთა ერთობლიობის დროს ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებულ 17 პირს მიესაჯა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განესაზღვრა სასჯელი 2 მსჯავრდებულს; 2017 წელს განაჩენთა ერთობლიობის დროს ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებულ 43 პირს მიესაჯა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, ხოლო სსკ-ის 50-ე მუხლის მე-5 ნაწილის საფუძველზე განესაზღვრა სასჯელი 6 მსჯავრდებულს.



2016-2017 წლებში სასამართლოს მიერ გამოყენებული დამატებითი სასჯელების მაჩვენებელი შემდეგნაირად გამოიყურება:³⁹



სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა. მოსამართლე სასჯელის დანიშვნის დროს ითვალისწინებს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არამედ დამნაშავის პიროვნებას და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში განსაზღვრავს ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ და დამამძიმებელ გარემოებებს. მაგალითად, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებულის ნასამართლობა მიიჩნია დამამძიმებელ გარემოებად და ასევე განმარტა, რომ „სასჯელის მიზნების შესრულებისათვის საჭიროა სასჯელის ეფექტური ღონისძიების გამოყენება, იმდენად, რამდენადაც გ.ტ.-ს მიმართ გამოცემული და დამტკიცებულია არაერთი შემაკავებელი ორდერი. ასევე, გ.ტ. გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2015 წლის 4 დეკემბრის განაჩენით ნასამართლევია ცემისათვის. მის მიმართ სასჯელის სახით გამოყენებულ იქნა ჯარიმა. ამავე სასამართლოს 2016 წლის 20 სექტემბრის განაჩენით გ.ტ. ნასამართლევია ჯანმრთელობის განზრას მსუბუქი დაზიანებისთვის, რამაც მისი ხანძოებულე მოშლა გამოიწვია. აღნიშნული ქმედებისთვის გ.ტ.-ს სასჯელის სახით დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა, რაც შეეცვალა პირობით მსჯავრად. შესაბამისად, იგი მიდრეკილია ძალადობრივი ქმედებების ჩადენისაკენ და მის მიმართ გამოყენებულმა შელავათებმა ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დანაშაულის ჩამდენი პირის რესოციალიზაცია ვერ უზრუნველყო.⁴⁰ აღნიშნულ საქმეზე სასამართლომ დასძინა, რომ ბრალდებულის ქმედება „შეიცავს დანაშაულის რეციდივის ნიშნებს. ადრე განზრახი დანაშაულისთვის ნასამართლევი გ.ტ.-ს მიერ ჩადენილია ახალი განზრახი დანაშაული. ამიტომ სასამართლო სასჯელის დანიშვნისას ხელმძღვანელობს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 58-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომლის მიხედვით, „დანაშაულის რეციდივის დროს ვადი-

³⁹ მათ შორის, 2016 წელს განაჩენთა ერთობლიობის დროს ოფიციალური მსჯავრდებულ 1 პირს განესაზღვრა დამატებითი სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა, ხოლო 2017 წელს – 3 მსჯავრდებულს.

⁴⁰ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/177-17.

ან თავისუფლების აღკვეთის დანიშვნისას მოსახდელი სასჯელის ვადა სულ მცირე 1 წლით უნდა აღმატებოდეს ჩადენილი დანაშაულისათვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული სასჯელის მინიმალურ ვადას“.⁴¹

გარდა აღნიშნულისა, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ის გარემოება, რომ პრალდებულმა დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის გამოსაცდელი ვადის მოქმედების პერიოდში და საპოლოოდ გ.ტ.-ს სასჯელის სახედ განუსაზღვრა ვადიანი თავისუფლების აღკვეთა.

შესწავლილმა განაჩენებმა აჩვენა, რომ იშვიათად, თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოები, ოჯახში ძალადობისთვის პრალდებული პირების პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნევენ დანაშაულის ჩადენას მთვრალ მდგომარეობაში.⁴²

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებზე გაამახვილა ყურადღება რუსთავის საქალაქო სასამართლომ განსახილველ საქმეში.⁴³ პირს პრალი ედებოდა მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში, რომლის შემსწრეც იყვნენ მათი არასრულნლოვანი შვილები. მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ განმარტა, რომ „ითვალისწინებს დაზარალებულის პოზიციას, რომელსაც პრეტენზია არ აქვს პრალდებულის მიმართ, ასევე ითვალისწინებს მის პირად და ეკონომიკურ პირობებს, პრალდებული ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, ჰყავთ შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე შვილი, რომელსაც მუდმივად ესაჭიროება მომვლელის დახმარება და მიაჩნია, რომ მ.კ-ს რესოციალიზაციისათვის, სამართლიანობის პრინციპიდან გამოდინარე, ასევე ზოგადი და კერძო პრეტენციის მიზნებისათვის უნდა დაენიშნოს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მეორე „ბ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული სასჯელი – თავისუფლების აღკვეთა 2 (ორი) წლის ვადით, ხოლო იმის გათვალისწინებით, რომ იგი არ არის ნასამართლევი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, დაზარალებულს არ გააჩნია პრეტენზია, მის მიერ ჩადენილია ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, მისი ოჯახური მდგომარეობიდან გამომდინარე, სასჯელის მიზნების მისაღწევად არ არის აუცილებელი მისი საზოგადოებისაგან იზოლაცია – თავისუფლების აღკვეთის სახით დანიშნული სასჯელი უნდა ჩაეთვალოს პირობითად“.⁴⁴

პრაქტიკაში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც სასამართლოები სასჯელის დანიშვნის დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევენ მოძალადის მხრიდან დაზარალებულის მიმართ განხორციელებულ სისტემატური ხასიათის ძალადობრივ ქმედებებს. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განსაზღვრულ საქმეში⁴⁵ პირს პრალი ედებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. კერძოდ, თანაცხოვრების პერიოდში შ.დ „სისტემატურად ამცირებდა და აყენებდა სიტყვიერ შეურაცხყოფას მეუღლეს, ლანძღავდა უშვერი სიტყვებით, ასევე მუდმივად აყენებდა მას ფიზიკურ შეურაცხყოფას“. სასამართლომ განმარტა, რომ „შ.დ-ს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებაა ის, რომ იგი აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დაზაშაულს, ხოლო პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოება მას არ გააჩნია“. ეს მაშინ, როდესაც სასამართლომ თვითონ აღნიშნა,

⁴¹ იქვე.

⁴² მაგალითად, სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 2 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/159-17.

⁴³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 1 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/487-17.

⁴⁴ იქვე.

⁴⁵ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 10 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/542-17.

რომ ჩადენილი იყო განზრახი ძალადობრივი დანაშაული და როგორც საქმის მასალებით დადგინდა ბრალდებული 10 წლის განმავლობაში არაერთხელ ძალადობდა დაზარალებულზე, ამასთან შ.დ მუდმივად იღებდა აღკოპოლურ სასმელს, რომლის ზემოქმედების შედეგადაც იგი ხდებოდა აგრესიული. აღნიშნულ საქმეში, ბრალდებულს ძირითადი სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 8 თვის ვადით, რაც ჩაეთვალა პირობითად და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

უნდა ითქვას, რომ ბრალის ცნების უპირატესობაზე აგებული სისხლის სამართლის მიხედვით, მოსამართლე სუბიექტურად და პერსონალურად კიცხავს დანაშაულებრივი ქმედების ამსრულებელს მის მიერ ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო ქმედების გამო. ამასთან, სასამართლო სასჯელსა და დანაშაულს შორის პროპორციულობის განსაზღვრისას, გარდა ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების მაკვალიფიცირებელი და შემამსუბუქებელი გარემოებებისა, ხელმძღვანელობს დამნაშავის პიროვნული მახასიათებლებით. ბრალდებულის პიროვნული მახასიათებლების შეფასებისას, პირველ რიგში გასათვალისწინებელია მისი კრიმინალური წარსული (ნასამართლობა), არის თუ არა მიღრეკილი ძალადობრივი ქმედებებისკენ და ა.შ.

მნიშვნელოვანია სასამართლოებმა გამოიკვლიონ სისხლის სამართლის საქმეში ფი-
გურიობდა თუ არა შემაკავებელი და დამცავი ორდერები. არსებობის შემთხვევაში
კი სასურველია მოხდეს მათი გათვალისწინება სასჯელის განსაზღვრის დროს.⁴⁶ ალ-
ნიშნული საკითხის მხედველობაში მიღება აუცილებელია, რადგან ერთი პირის მიერ
ძალადობრივი აქტის განმეორება მომეტებულ რისკებს უკავშირდება. მაგალითად,
თბილისის საქალაქო სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე⁴⁷ აღნიშნა, რომ „სასჯელის შემ-
სუბუქების კუთხით, სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ბრალდებულის აღიარებას,
თუმცა მხოლოდ ეს გარემოება ვერ გადაწინის სს საქმეში არსებულ რიგ დამამძიმე-
ბელ გარემოებებს, კერძოდ: ბრალდებულის პიროვნებასა და მის მიღრეკილებას ძა-
ლადობისაკენ. მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებებით უტყუარად დას-
ტურდება, რომ გ.ჩ.-ს მხრიდან მეუღლის მიმართ ძალადობას ჰქონდა სისტემატური
ხასიათი და შემაკავებელი ორდერები ვერ გახდა მისი სათანადო ქცევის გარანტი“.⁴⁸
შესწავლიმა განაჩენებმა ცხადყო, რომ როგორც წესი, პირველი ინსტანციის სასა-
მართლოები ყურადღებას ამახვილებენ სს საქმეში არსებულ შემაკავებელ და დამ-
ცავ ორდერებზე, თუმცა რიგ შემთხვევებში ბრალდებულის პასუხისმგებლობის და-
მამძიმებელ გარემოებად მათ არ მიიჩნევინ.⁴⁹

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად: „არაერთგზისი დანაშაული ნიშნავს წინათ ნასამართლევი პირის მიერ ამ კოდექსის იმავე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას“.⁵⁰ შესწავლილმა და გაანალიზებულმა განაჩენებმა აჩვენა, რომ 2016-2017 წლებში სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით დაკვალითებირდა 59 საქმე.

მართალია, უმეტეს შემთხვევაში, არაერთგზის ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ პირს განესაზღვრა სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთა, თუმცა საყურადღებოა, რომ რიგ შემთხვევებში სისხლის სამართლის საქმიუბში არსებული მაღა-

⁴⁶ ob. <http://www.un.org/womenwatch/daw/vaw/handbook/Handbook%20for%20legislation%20on%20violence%20against%20women.pdf> p.51.

⁴⁷ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/3588-17.

48

⁴⁹ ମାଧ୍ୟାଳୀତାର, ଶାଖିକ୍ରୂଡ଼ୀର ରାଜନ୍ୟଲାଭ ସାଥାରାତଳାର 2017 ମୁଣ୍ଡର ବିଭାଗ ନାମେ ନାହିଁ, ଶାଖା ନମ୍ବର 1/196-17.

⁵⁰ საქართველოს სისიხლის სამართლის კოდექსის მე-15 მუხლის 1-ლი ნაწილი.

ლი საფრთხეებისა და დაზარალებულის მიმართ არაერთხელ განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, სასამართლოები მოძალადის საზოგადოებისაგან იზოლირებას არ ახდენენ. მაგალითად, გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე⁵¹, რომელშიც პირს ბრალი ედებოდა ბების მიმართ არაერთგზის ჩადენილ ძალადობაში. კონკრეტული სისხლის სამართლის საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიმართ შერაცხული ბრალის მიხედვით, გ.ო-ს მიერ ჩადენილი დანაშაული მოიცავდა ორ ეპიზოდს. კერძოდ, პირველ შემთხვევაში ბრალდებულმა „თავის საცხოვრებელ პინაში, სახეში ხელის გარტყმითა და მარჯვენა მტევაზე კბენით, ჯანმრთელობის მსუბუქი დაზიანება მიაყენა პებიას“, ხოლო მეორე შემთხვევაში, ბრალდებულმა დაზარალებულს თავის არეში ჩაარტყა იატაკის საწმენდი ჯოხი. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად მიიჩნია მის მიერ „დანაშაულის ჩადენის შემდეგ გამოხატული ქცევები, მისი აღიარება და თანამშრომლობა გამოძიების ორგანოებთან, სასამართლო სხდომაზე გულწრფელი მონაბიერება“. აღნიშნულ საქმეში ბრალდებულს სასჯელის სახედ განესაზღვრა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა. არაერთგზისობის შემთხვევებში, სასურველია სასამართლოებმა ბრალდებულის მხრიდან გამოძიებასთან თანამშრომლობა, მის მიერ ბრალის აღიარება და მონანიება ავტომატურად არ მიიჩნიონ პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად.⁵²

კვლევის ფარგლებში შესაძლებლობა მოგვეცა გავცნობოდით ოჯახში ძალადობის შესახებ რამდენიმე საქმეზე სამართალწარმოების განვითარებას სამივე ინსტანციის დონეზე. მაგალითად, ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე, რომელშიც პირს ბრალი ედებოდა არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მეუღლისა და მამის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. კერძოდ, ბრალდებულმა მეუღლეს სახლში ყოფნისას მათი არასრულწლოვანი შვილის თანდასწრებით შუბლის არეში ესროლა ჭიქა და სახეში გაარტყა ხელი. იმავე ღამეს, ბრალდებულმა არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, მამას ფეხებში მუშტების რამდენჯერმე დარტყმით მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა. აღსანიშნავია, რომ სს საქმეში იყო შემაკავებელი ორდერი. ოზურგეთის რაიონულმა სასამართლომ ბრალდებული – ს.მ დამნაშავედ ცნო სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის და სასჯელის დასაბუთებისას განმარტა, რომ „ს.მ-მ ჩაიდინა ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, იგი აღიარებს, ინანიებს დანაშაულის ჩადენას და თანამშრომლობს გამოძიებასთან, ჰყავს ორი მცირებულოვანი შვილი, სასამართლოს მიაჩნია, რომ ს.მ-ს მიმართ გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის განსაზღვრული მსუბუქი სახის სასჯელი – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის სახით, თუმცა მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ მან ახალი განზრახი დანაშაული ჩაიდინა პირობითი მსჯავრის მოქმედების პერიოდში, რის გამოც ს.მ-ს საბოლოო სასჯელი უნდა დაენიშნოს სისხლის სამართლის კოდექსის 59-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, განაჩენთა ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნის წესის გათვალისწინებით“.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განაჩენი უცვლელად დატოვა.⁵⁴

⁵¹ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 25 მაისის განაჩენი, საქმე №1/118-16.

⁵² [ob.<https://rm.coe.int/16805970c1p.61>](https://rm.coe.int/16805970c1p.61).

⁵³ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენი, საქმე №1-336-16.

⁵⁴ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 20 აპრილის განაჩენი.

კასაციაში⁵⁵ გასაჩივრებული განაჩენით, ოზურგეთის რაიონული პროკურატურის პროკურორი ითხოვდა მსჯავრდებულისათვის უფრო მკაცრი სასჯელის დანიშვნას თავისუფლების აღკვეთის სახით იმ მოტივით, რომ ს.მ ნასამართლევია განზრახი მძიმე დანაშაულისათვის (ქურდობა ბინაში უკანონო შეღწევით) და მიუხედავად მის მიმართ გამოჩენილი ლმობიერებისა, რაც გამოიხატა მისთვის პირობითი სასჯელის განსაზღვრაში, მან არასრულნლოვანი შევილების თანდასწრებით იძალადა მეუღლესა და მამაზე. საკასაციო პალატამ მიზანშეწონილად არ მიიჩნია ს.მ-სთვის პენიტენციურ დანესებულებაში მოსახდელი სასჯელის განსაზღვრა, შემდეგ გარემოებათა გამო: 1) მსჯავრდებულმა პირველივე დაკითხვისას აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება და ითანამშრომლა გამოძიებასთან; 2) ფიზიკური ძალადობა მამისა და მეუღლის მიმართ იყო პირველი შემთხვევა და მანამდე მსჯავრდებულს ოჯახის წევრებზე, კერძოდ – მშობლებზე, შევილებსა და მეუღლეზე ძალადობა არ განუხორციელებია; 3) დაზარალებულებს არანაირი პრეტენზია არ აქვთ ს.მ-სთან და თანახმა არიან, რომ მასზე გავრცელდეს კანონით გათვალისწინებული შეღავათები; 4) მსჯავრდებულს მსჯავრი დაედო ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის ჩადენაში. მართალია, იგი წარსულში ნასამართლევია და ამ დანაშაულის ჩადენის დროს იყო პირობით მსჯავრდებული, მაგრამ მის მიერ წარსულში ჩადენილი ქმედება (ქურდობა) არ არის ძალადობრივი ხასიათის. შესაბამისად, პალატამ განმარტა, რომ სასჯელის სახის შერჩევისას გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მსჯავრდებული მიდრეკილი არ არის ჩაიდინოს ერთი და იმავე სიმძიმისა და კატეგორიის დანაშაული, რომლის არსებობაც მნიშვნელოვნად შეამცირებდა სასჯელის ერთ-ერთი მიზნის – ახალი დანაშაულის პრევენციის შანსებს; 5) პალატამ ასევე ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულს განაჩენთა ერთობლიობით საბოლოო სასჯელის სახედ და ზომად განესაზღვრა 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა – 400 საათით. ს.მ-ს დღეის მდგომარეობით საპატიმრო სასჯელი – 1 წელი მოხდილი აქვს სრულად და იხდის არასაპატიმრო სასჯელს. პენიტენციური დანესებულებიდან გათავისუფლების შემდეგ ს.მ-ს რაიმე ანტისოციალურ ან დანაშაულებრივ ქცევაზე ან/და საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომისთვის თავის არიდების შესახებ ინფორმაცია სასამართლოში არ ყოფილა წარმოდგენილი, რის გამოც, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არასაპატიმრო სასჯელის შეცვლა საპატიმრო სასჯელით და მისი კვლავ პენიტენციურ დანესებულებაში მოთავსება ხელს შეუშლის მისი რესოციალურაციის პროცესს, რაც ასევე სასჯელის მიზანს წარმოადგენს; 6) რაც შეეხება დანაშაულის ჩადენას არასრულნლოვანი შევილების თანდასწრებით, პალატამ გაიზიარა ბრალდების მხარის სულისკვეთება, რომ არასრულნლოვანი ბავშვების თანდასწრებით ს.მ-სთვის შერაცხული ქმედების (ოჯახში ძალადობის) ჩადენა მომეტებულად გასაკიცხია, მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული წარმოადგენს სსკ-ს 126¹-ე მუხლის მაკვალიფიცირებელ გარემოებას, სასჯელის განსაზღვრისას საკასაციო პალატამ იგი მხედველობაში აღარ მიიღო.

აღნიშნული გადაწყვეტილება მით უფრო საინტერესოა, რამდენადაც საქმის განმხილველ მოსამართლებს შორის არსებობდა განსხვავებული აზრი.

კოლეგებისგან განსხვავებით, საქმის განმხილველი ერთ-ერთი მოსამართლე მიიჩნევდა, რომ მსჯავრდებულისათვის სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის შეფერდება იყო ზედმეტად ლმობიერი სასჯელი და მის მიმართ სასჯელის სახედ უნდა გამოყენებულიყო ვადიანი თავისუფლების აღკვეთა. მოსამართლე თავის არგუმენტაციას აფუძნებდა შემდეგ გარემოებებს: 1) მსჯავრდებული ადრეც

⁵⁵ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2017 წლის 13 დეკემბრის გადაწყვეტილება, საქმე №367აპ.-17.

ძალადობდა ოჯახის წევრებზე, კერძოდ მეუღლეზე, რასაც ადასტურებს ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილება შემაკავებელი ორდერის დამტკიცების თაობაზე. შემაკავებელი ორდერით, რომელიც გაიცა ერთი თვის ვადით, მოძალადეს დაევალა მოშორებოდა მსხვერპლის საცხოვრებელ სახლს. ასევე აეკრძალა მეუღლესთან, მის სამსახურსა და იმ ადგილებთან მიახლოება, სადაც დაზარალებული იმყოფებოდა; 2) სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა მსჯავრდებულის მეზობლის, მოწმე კ.მ-ს დაკითხვის ოქმი, სადაც იგი აღნიშნავდა, რომ მსჯავრდებული ხშირად სვამდა და მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ოჯახის წევრების მიმართ ხდებოდა აგრესიული. ასევე მას ხშირად გაუგონია მისი ოჯახიდან ს.მ-ს ყვირილისა და გინების ხმა; 3) მსჯავრდებულმა ოჯახში ძალადობა ჩაიდინა გამოსაცდელი ვადის მსვლელობის პერიოდში. მოსამართლემ აღნიშნა, რომ პიროვნების დახასიათების დროს, პირველ რიგში, გასათვალისწინებელია მისი კრიმინალური წარსული, არის თუ არა პირი ნასამართლევი. ნასამართლობისა და მით უმეტეს, პირობით დანიშნული გამოსაცდელი ვადის მსვლელობისას განზრახი დანამაულის ჩადენა წარმოადგენს ისეთ სამართლებრივ მდგომარეობას, რომელიც ერთობ ამცირებს დამნაშავის მიმართ მსუბუქი სასჯელის გამოყენების შანსს. მოცემულ შემთხვევაში პირობითმა მსჯავრმა ვერ უზრუნველყო სასჯელის იმ მიზნის მიღწევა, რომელიც გულისხმობს ახალი დანამაულის თავიდან აცილებას და დამნაშავის რესოციალიზაციას; 4) მოსამართლემ მსჯავრდებულის მიერ ჩადენილი ქმედების გარემოებები ზედმინევნით გაანალიზა და აღნიშნა, რომ მოწმეთა ჩვენებების თანახმად, მსჯავრდებულმა ჯერ საკუთარი ქალიშვილის თანდასწრებით ფიზიკურად იძლადა მეუღლეზე, კერძოდ, შეუბლის არეში ესროლა ჭიქა და სახეში დაარტყა მთელი ძალით მოქნეული ხელი, შემდგომ ძალის გამოყენებით გააღო მშობლების საძინებელი ოთახის კარი, რომელიც შეგნიდან იყო ჩაკეტილი თოკით, შევარდა ოთახში, სადაც ეძინათ მსჯავრდებულის მამას, დედას და მსჯავრდებულის არასრულნლოვან შვილს. ის ყვიროდა და სიტყვიერად ემუქრებოდა სიცოცხლის მოსპობით მამასა და საკუთარ მეუღლეს, რომელიც ცდილობდა დაწესებულინა მსჯავრდებული. ამის შემდეგ კი მან მამას, რომელიც ცდილობდა საწოლიდან წამოდგომას, სხეულზე, კერძოდ, ფეხების არეში მუშტებით მიაყენა რამდენიმე დარტყმა. „ამგვარი ქმედების ჩადენამ არასრულწლოვანთა თანდასწრებით შესაძლოა, სავალალო ზემოქმედება იქონიოს მათ ფსიქიკასა და შემდგომ განვითარებაზე, ვინაიდან ოჯახში ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე, უნგრევს მათ სტაპილურობისა და უსაფრთხოების განცდას. როგორც სისხლის სამართლის საქმეში არსებული დაბადების მოწმობების ასლებიდან ირკვევა, მსჯავრდებულის შვილები იყვნენ 3 და 4 წლისანი, როდესაც შეესწრენ ს.მ-ს მიერ ოჯახის ორი წევრის მიმართ ჩადენილ ძალადობას. ს.მ-მ არ გაითვალისწინა მის ქმედებას რა უარყოფითი გავლენის მოხდენა შეეძლო თავის შვილებზე. მით უმეტეს, რომ აღნიშნულ ასაკში ბავშვის ფსიქიკა ადრეული ჩამოყალიბების სტადიაზეა და გამოირჩევა განსაკუთრებული მგრძნობელობით“. მსჯავრდებულმა ჯერ თავისი ქალიშვილის წინაშე ფიზიკურად იძლადა მეუღლეზე, ხოლო შემდგომ – საკუთარ მამაზე ორივე არასრულნლოვანი შვილის თანდასწრებით, რაც მოსამართლის აზრით, ცალსახად წარმოადგენს ჩადენილი ქმედების მახასიათებელ ისეთ გარემოებას, რომელიც მის საშიშროებას მნიშვნელოვნად ზრდის; 5) რაც შეეხება საქმეში არსებულ შემამსუბუქებელ გარემოებებს – მსჯავრდებულის მიერ გამოძიებასთან თანამშრომლობასა და მის მიერ ბრალის აღიარებას, ასევე სანოტარო აქტს, რომლითაც დამოწმებულია დაზარალებულების განცხადება, რომლითაც ისინი აფიქსირებენ, რომ არ გააჩნიათ პრეტენზიები მსჯავრდებულის მიმართ და ითხოვენ კანონით გათვალისწინებული მაქსიმალური შეღავათების გავრცელებას, „მითითებული გარემოებები შეიძლებოდა გამხდარიყო მხოლოდ ჩადენილი დანაშაულისათვის საქართველოს სსკ-ის 126¹-ე მუხლის მეორე ნაწილის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახის – თავისუფლების

აღკვეთის ფარგლებში მსჯავრდებულისათვის შეღავათის გაწევის და არა მის მიმართ უფრო მსუბუქი სახის სასჯელის – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის გამოყენების საფუძველი.

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე უმეტეს შემთხვევაში გამამტყუნებელი განაჩენი დგება, თუმცა რიგ შემთხვევებში პრობლემურ საკითხს ნარმოადგენს ლმობიერი სანქციების გამოყენება, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც სასამართლო, ნასამართლობის მქონე პირს, რომელმაც პირობითი მსჯავრის პერიოდში ჩაიდინა ოჯახის წევრის მიმართ ძალადობა, უფარდებს 126¹-ე მუხლით გათვალისწინებული მსუბუქი სახის სასჯელს – საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. აუცილებელია, ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების განხილვისას მოსამართლებმა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, დაწვრილებით გამოიკვლიონ ქმედებიდან მომდინარე საფრთხეები და ქმედების ჩადენის წინაპირობები.

კვლევამ ცხადყო, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოებმა 2016-2017 წლებში, ოჯახში ძალადობისთვის მსჯავრდებული პირების მიმართ სასჯელის დანიშვნის დროს ყველაზე მეტ შემთხვევაში გამოიყენა პირობითი მსჯავრი და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

2016 წელთან შედარებით 2017 წელს ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე ბრალდებულთა საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად გაიზარდა სასჯელის სახით – ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდების მაჩვენებელიც. თუმცა აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო სასჯელის დანიშვნის დროს სათანადო ყურადღებას არ აქცევს მოძალადის მხრიდან დაზარალებულის მიმართ განხორციელებულ სისტემატური ხასიათის ძალადობრივ ქმედებებს და მაღალი საფრთხეებისა და დაზარალებულის მიმართ არაერთხელ განხორციელებული ძალადობის მიუხედავად, მოსამართლეები მოძალადის საზოგადოებისაგან იზოლირებას არ ახდენენ.

სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად,⁵⁶ სასჯელის მიზანია სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია. იმისათვის, რომ კონკრეტული სასჯელის არსებობა გამართლებული იყოს სამართლებრივ სახელმწიფოში, ის თავად სასჯელის მიზნების მიღწევის ადეკვატური საშუალება უნდა იყოს.⁵⁷ სასჯელის პროპორციულობის პრინციპი სამართლებრივი სახელმწიფოს იდეიდან მომდინარეობს და სწორედ კონკრეტული დანაშაულის თანაზომიერი სასჯელის გამოყენებითაა რეალიზებადი სამართლიანობის აღდგენა. შესაბამისად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სისხლის სამართლის კოდექსის ნორმით გათვალისწინებული სანქციის სწორად შერჩევას.

რეკომენდაციები:

- განმეორებითი ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და მსხვერპლის უსაფრთხოების მიზნით, სასურველია სასამართლოებმა სიღრმისეულად შეისწავლონ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები, მათ შორის, სისხლის სამართლის საქმეში არსებული შემაკავებელი და დამცავი ორდერები;

⁵⁶ სისხლის სამართლის კოდექსის 39-ე მუხლი.

⁵⁷ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება, №1/4/592, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 40.

- ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესახებ საქმეებზე სამართალწარმოების სწრაფად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით, სასურველია ამგვარი კატეგორიის დანაშაულები განიხილოს სპეციალიზებულმა მოსამართლემ (როგორც ეს ხდება არასრულწლოვანთა მართლმსაჯულების შემთხვევაში), რომელსაც ექნება შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობისა და საერთაშორისო სტანდარტების სპეციალური ცოდნა.⁵⁸

2.1 ოჯახში ძალადობა ჩაღენილი მოცულები პირების მიმართ (საძართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მაკვალიფიცირებელი ნიშნები)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლით ისჯება ოჯახის ერთი წევრის მიერ მეორის მიმართ ძალადობა, სისტემატური შესრაცხვოფა, შანტაჟი ან დამცირება, რაც იწვევს ფიზიკურ ტკივილს ან ტანჯვას აღნიშნული მუხლი ითვალისწინებს ისეთ დამამძიმებელ გარემოებებს, როგორიცაა „იგივე ქმედება ჩადენილი: а) წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფის, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირის ან ორსულის მიმართ; ბ) არასრულწლოვნის თანდასწრებით მისივე ოჯახის წევრის მიმართ; გ) ორი ან მეტი პირის მიმართ; დ) ჯგუფურად; ე) არაერთგზის“.⁵⁹

ძალადობის უმთავრესი მიზეზია პირის სურვილი, დომინირებდეს და კონტროლი განახორციელოს მასზე დამოკიდებულ (ან მის მიერ ასეთად მიჩნეულ) ადამიანებზე. ძალადობრივი გამოვლინებების რისკი გვხვდება სხვადასხვა გარემოში, მათ შორის იმ პირთა მიმართ, რომელიც მოძალადესთან მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციურად ან/და სხვა ფაქტორით განპირობებულ უთანასწორო მდგომარეობაში. მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში გვევლინებიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობას. კვლევის ფარგლებში შესწავლილი 1236 განაჩენდა გამოვლინდა შემდეგი:



⁵⁸ UN Handbook for Legislation on Violence against Women, 2010, p.19.

⁵⁹ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

UNICEF-ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა, რომ საქართველოში ბავშვებზე ძალადობა ფართოდ არის გავრცელებული. საქართველოს მოსახლეობის 60 პროცენტი ფიქრობს, რომ ბავშვის აღზრდისას ძალადობრივი მეთოდების გამოყენება უფრო შედეგიანია, ვიდრე არაძალადობრივი მეთოდები.⁶⁰

ოჯახში ძალადობის პრევენციის უმნიშვნელოვანეს ასპექტს წარმოადგენს ბავშვის ფიზიკური დასჯის დაგმობა. საჭიროა მშობლების ინფორმირება და ცოდნის ხარისხის ამაღლება იმის შესახებ, რომ ბავშვის ფიზიკური დასჯით შეუძლებელია ბავშვის სრულფასოვანი განვითარება და აღმზრდელობითი მიზნების მიღწევა.


ზემოთ აღნიშნული თემის საილუსტრაციოდ მოყვანილია თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე,⁶¹ რომლის მასალებიდანაც ირკვევა, რომ ბრალდებულმა იმის გამო, რომ მისმა შვიდი წლის შვილმა დაუკითხავად საფულიდან ამოიღო ერთი ლარი, ფეხების, ხელებისა და ქამრის დარტყმით მიაყენა მას ფიზიკური შეურაცხყოფა, რითაც ბავშვმა განიცადა ძლიერი ფიზიკური ტკივილი. სასამართლომ განმარტა, რომ „გასაკვირი არ არის, რომ ასეთ დროს მამას შესაძლოა, ჰქონოდა უარყოფითი რეაქცია, მაგრამ მას უნდა მიეღო შესაბამისი და ადეკვატური ზომები, რათა ბავშვს არ ჩამოყალიბებოდა მავნე მიდრეკილებები და ჩვევები, თუმცა იმგვარი რეაქცია, რაც მოცემულ შემთხვევაში გამოხატა ბრალდებულმა, გაუმართლებელია და მოკლებულია ყოველგვარ გონივრულ არგუმენტს“. შემაშფოთებელია 7 წლის ბავშვის მიერ აღწერილი ძალადობის ფაქტი: „მე ვიჯერი დივანზე, რა დროსაც მუშტი დამარტყა მარცხენა თვალის არეში, რაზეც წავიქეცი და გადმოვვარდი დივანიდან და დავიწყე ტირილი, რადგან ძალიან მეტკინა მამაჩემის ძლიერად დარტყმული. ამის შემდგომ მან მოიხსნა ქამარი და ერთხელ დამარტყა სახის არეში, თან მეძახდა შე ქურდოო და თან ქამარს მირტყამდა ფეხებსა და ხელებზე, რაც მე ძალიან მტკიოდა და ვტიროდი... ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემმა მოიხსნა ისევ ქამარი და მარცხენა ფეხის არეში დამარტყა რამდენვერმე, რაც ძალიან მეტკინა და დავიწყე ტირილი... მოგვიანებით, როცა მამა დაპრუნდა სახლში, მე ვიყავი აივანზე, მე შემეძინდა მამის და შევედი სახლში და წამოვწერი საწოლზე, სადაც მაღევე მოვიდა მამაჩემი და წიხლი ჩამარტყა სახის არეში რამდენვერმე, რაზეც ძალიან მეტკინა თავი და ყველაფერს ორად ვხედავდი, რაზეც დავიწყე ტირილი“. ამავე გამოკითხვის ოქმიდან ირკვევა, რომ ბავშვის მიმართ ძალადობა მამის მხრიდან ატარებდა სისტემურ ხასიათს: „ადრე მამაჩემს ხშირად ვუცემივარ, უმიზეზოდაც კი. მე ძალიან მეშინია მამაჩემის და არ მსურს მისი ნახვა, რადგან მან ძალიან მცემა და მომაყენა დაზიანებები, ასევე ცემა დედაჩემი და მასთან ცხოვრება აღარ მინდა“. სამწუხარო რეალობაა, როცა ამ ყველაფრის ფონზე მცირენლოვანის დედა, რომელიც თავის მხრივ დაზარალებულია აღნიშნულ საქმეში, სასამართლო პროცესზე გამოხატავს თავის პოზიციას და აცხადებს, რომ მეუღლეს „ურიგდება და სთხოვს სასამართლოს არ განუსაზღვროს ბრალდებულს საპატიმრო სასჯელი, რადგან აპირებს მასთან თანაცხოვრების გაგრძელებას, ხოლო მოსამართლის კითხვაზე, თუ რამ განაპირობა მისი ამგვარი პოზიცია, ხ.ჩ.-მ განმარტა, რომ ქმრის გარეშე გაუჭირდება ბავშვების რჩენა“. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ბავშვის დედისთვის ასეთი „უჩვეულო და უპასუხისმგებლო პოზიციის მიუხედავად, სახელმწიფოს ვალდებულება იმოქმედოს ბავშვის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარედა მართალია, ბრალდებული აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, თუმცა განხორციელებული ძალადობის დაუნდობელი და სისტემატური ხასიათის გათვალისწინებით, ასევე ძალადობის იმ მასშტაბურობის გათვალისწინებით, რომელიც აღწერილია სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნაში და ბრალდებულის მხრიდან მომდინარე რისკებისა და საფრთხეების მხედველობაში მიღებით, მის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის (საზო-

⁶⁰ იხ. http://unicef.ge/uploads/Unicef_VAC_GEO_Final3_02_09.pdf.

⁶¹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/3455-17.

გადოებისათვის სასარგებლო შრომის) გამოყენება სრულიად მიზანშეუწონელია“.⁶²

აღსანიშნავია, რომ ხშირად უფროსები ბავშვებისგან მოითხოვენ უსიტყვი მორჩილებას. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში⁶³ ვკითხულობთ, რომ ბრალდებული მის არასრულნლოვან შვილს დამღამობით აღვიძებდა და ბილნი სიტყვებით აიძულებდა მომსახურებოდა და მისი ყველა სურვილი უსიტყვოდ შეესრულებინა, წინააღმდეგ შემთხვევაში ფიზიკური ძალადობით ემუქრებოდა. ასევე ფოთის საქალაქო სასამართლომ განიხილა საქმე,⁶⁴ რომელშიც პირს ბრალი ედებოდა არასრულნლოვანი ქალიშვილის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. ბრალდებული შვილს სისტემატურად აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხოფას და უკრძალავდა სახლიდან გასვლას. მოწმის სახით დაკითხულმა ბრალდებულის ვაჟმა განმარტა, რომ სამსახურში ყოფნის დროს „დაურეკა მისმა დამ და უთხრა, რომ მ.წ.-მ (დაზარალებულმა) სცადა თვითმკვლელობა, ვინაიდან მამა არ უშვებდა სკოლაში“.⁶⁵ მოწმემ ასევე განმარტა, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის არსებული კონფლიქტი ხშირად შეეხებოდა ჩაცმის სტილს: „მ.წ.-ს გამომწვევად ეცვა, რაც მამას არ მოსწონდა“. განსახილველ შემთხვევაში სასამართლომ განმარტა, რომ „მკაცრად უნდა გაიმიჯნოს არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და ოჯახური ძალადობა“. მოცემულ შემთხვევაში „ბრალდებულის მხრიდან უხეშად გადაიღახა არასრულწლოვანი შვილის მიმართ მშობლის უფლება-მოვალეობანი და გადაიზარდა ძალადობაში, რასაც სისტემატური ხასიათი მიეცა, ბრალდებულმა ვერ გააცნობიერა საკუთარი შვილის ასაკი, მასთან ურთიერთობის ფორმა და მისი ქმედების მიზანი და მოტივი გახდა ძალადობით არასრულწლოვანი შვილის მორჩილებაში ყოფნა, ხოლო დანაშაული ჩადენილ იქნა საკმაოდ მძიმე ფორმით, რაც გამოიხატა, არასრულწლოვნის ქამრით ცემაში“. სასამართლომ ასევე მიუთითა იმ გარემოებაზეც, რომ დაზარალებული არ არის შერიგებული ბრალდებულთან „ამ უკანასკნელს საამისოდ არანაირი ნაბიჯი არ გადაუდგამს, უფრო მეტიც, ბრალდებულს არც სამომავლოდ აქვს დასახული საკუთარ არასრულწლოვან შვილთან ურთიერთობის ნორმალიზაცია“. შემდგომი პრევენციის მიზნით, სასამართლომ მიზანშენონილად მიიჩნია ბრალდებულის მიმართ სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენება, რითაც თავიდან იქნება აცილებული ძალადობის შემდგომი ფაქტები და უზრუნველყოფილი იქნება ბრალდებულის შემდგომი ნორმალური ქცევა:



⁶² იქვე.


⁶³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 2 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/664-16.

⁶⁴ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 24 აგვისტოს განაჩენი, საქმე №1/167-2017.

⁶⁵ მოწმის აზრით, თვითმკვლელობის მცდელობა შესაშინებლად მოფიქრებული და დადგმული სპექტაკლი იყო.

გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილული ერთ-ერთი საქმე⁶⁶ მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მოსამართლემ ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნია სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით, ძალადობის ჩადენა არასრულწლოვანი ქალიშვილის მიმართ. სასამართლომ განმარტა, რომ დაზარალებული მისივე მამის უმოწყალო ძალადობის მსხვერპლი გახდა. „ბრალდებული რამდენიმე წუთის განმავლობაში, ხელის და ფეხის დარტყმებით სცემდა არასრულწლოვან ქალიშვილს, რომელსაც ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების გამო, არ ჰქონდა უნარი, შეეკავებინა მოძალადე მამის მართლსაწინააღმდეგო ქცევა“.⁶⁷

კვლევის ფარგლებში გაანალიზებულმა განაჩენებმა⁶⁸ ცხადყო, რომ არასრულწლოვანზე მოძალადე, უმეტეს შემთხვევაში, მამაა (მამობილია) – 78 %



სამ საქმეში დაზარალებული – მოძალადის ცოლი არასრულწლოვანი იყო. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო⁶⁹ გამამტყუნებელი განაჩენი გამოუტანა პირს, რომელსაც ბრალი ედებოდა ოჯახში ძალადობაში, კერძოდ, ბრალდებულმა 17 წლის არასრულწლოვან მეუღლეს ესროლა ქვა სახეში, რის შემდეგაც დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში არსებობდა რიგი დამამდიმებელი გარემოებები, მაგალითად, ბრალდებულის პიროვნება და მისი მიდრეკილება ძალადობისკენ: „მხარეთა მიერ უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებებით უტყუარად დასტურდება, რომ ბრალდებულის მხრიდან მეუღლის მიმართ ძალადობას ჰქონდა სისტემატური ხასიათი და შემაკავებელი ორდერები ვერ გახდა მისი სათანადო ქცევის გარანტი“. მოსამართლემ სასჯელის განსაზღვრისას განმარტა, რომ „გადამწყვეტ მნიშვნელობას ვერ მიანიჭებს დაზარალებულის პოზიციას, რომელიც ითხოვს მეუღლის მიმართ არასაპატიმრო სასჯელის გამოყენებას“. სასამართლომ ფარ-

⁶⁶ გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განაჩენი, საქმე №1/176-17.

⁶⁷ იქვე.

⁶⁸ ოჯახში ძალადობა ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ (სსკ-ის 1261-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქ/პუნქტი); 2016-2017 წლებში შესწავლილ იქნა 136 განაჩენი.

⁶⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 6 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/3588-17.

თოდ იმსჯელა აღნიშნულ საკითხე, კერძოდ, „პრაქტიკის ანალიზით ირკვევა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები სახელმწიფოს დახმარებას არ სთხოვენ, სანამ მდგომარეობა უკიდურესად არ გართულდება და სამართალდამცავების ჩარევა მათვის სიცოცხლის გადარჩენისა და ჯანმრთელობის დაზიანებისაგან დაცვის ერთადერთი გზა არ აღმოჩნდება. ამ კონდიციამდე მისვლას კი ხშირად ხელს უწყობს ნათესავებისა და ოჯახის წევრების გარემო, რომლებიც ზეწოლას ახდენენ მსხვერპლის თავისუფალ ნებაზე. ხშირად მსხვერპლის თავისუფალი ნება პარალიზებულია მრავალი ფაქტორით, კერძოდ, სიყვარულით განპირობებული მიმტევებლობით, ნათესავების ზეწოლის, საზოგადოების რეაგირებისა თუ მოძალადის შიშის, შვილების ან საცხოვრებელის დაკარგვის საფრთხის გამო, ვერ ახერხებენ საკუთარი პოზიციის ბოლომდე დაფიქსირებას, რასაც მოგვიანებით ნანობენ და შედეგებსაც საკუთარ ჯანმრთელობაზე იღებენ, ზოგ შემთხვევაში კი მიდიან ლეტალურ შედეგებამდე. მსხვერპლის და მისი შვილების უსაფრთხოებას ექმნება განმეორებითი და შესაძლოა, ინტენსივობით უფრო მაღალი ხარისხის საფრთხე“. ⁷⁰

განსაკუთრებით მძიმე შედეგები გააჩნია ოჯახში ძალადობას ბავშვის ფსიქიკასა და ნორმალურ განვითარებაზე იმ შემთხვევაშიც, როდესაც ძალადობის ობიექტი უშუალოდ ბავშვი არ არის, თუმცა იგი მოწმე ხდება ძალადობრივი გამოვლინებების.⁷¹ მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლომ განმარტა,⁷² რომ „არასრულწლოვნის თანდასწრებით ოჯახში ძალადობა, როგორი ფორმითაც არ უნდა ვლინდებოდეს, მის ემოციურ და ფსიქიკურ მდგომარეობაზე სავალალო ზეგავლენას ახდენს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ძალადობის უშუალო მსხვერპლს არ წარმადგენს, ძალადობის მოწმედ ყოფნა, განსაკუთრებით ისეთ მნიშვნელოვან ადამიანებს შორის, როგორიც მშობლებია, უარყოფითად აისახება მის კეთილდღეობაზე და მოწყვლადს ხდის აგრძიული ქცევების ათვისებისა და შემდგომში გამოვლინების მიმართ“. ⁷³

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია“⁷⁴ სახელმწიფოებს ავალდებულებს ოჯახში ძალადობის ან ქალთა მიმართ ძალადობის მოწმე ბავშვის დაცვის მიზნით შესაბამისი ზომების მიღებას. აღნიშნული კონვენციის საფუძველზე „ქალთა მიმართ ძალადობის ან/და ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტს დაემატა ჩანაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ „მსხვერპლად მიიჩნევა აგრეთვე ბავშვი, რომელიც ძალადობის მოწმეა“.

კვლევის ფარგლებში გამოვლინდა, რომ 2016-2017 წლებში ოჯახში ძალადობის ფაქტს შეესწრო დაახლოებით 614 ბავშვი:


⁷⁰ იქვე.

⁷¹ იხ. http://gov.ge/files/405_45784_336176_%E1%83%A1%83%E1%83%A2%83%E1%83%90%E1%83%A2%83%E1%83%94%E1%83%92%E1%83%98%E1%83%90.pdf.

⁷² რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი, საქმე N1-466-17.

⁷³ იქვე.

⁷⁴ „ქალთა მიმართ ძალადობისა ან/და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილი.



თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიის განჩინებაში ნათქვა-
მია, რომ „ოჯახური ძალადობა, რაც ტრადიციულად მიიჩნეოდა ოჯახის „შიდა საქ-
მედ“, გასცდა ამ ვიწრო გაგებას და იგი დღეის მდგომარეობით მიჩნეულია ისეთ დანა-
შაულად, რომელიც საფრთხეს უქმნის არა მარტო ცოლ-ქმრის ურთიერთობას, არა-
მედ მცირებულოვანი შვილების ნორმალურ ფსიქიურ გარემოში განვითარებას“.⁷⁵ ძა-
ლადობის მსხვერპლ ბავშვებს, ისევე როგორც ოჯახში ძალადობის შემსწრე ბავშვებს
ხშირად აღნიშნებათ როგორც ქცევითი, ასევე ფიზიკური, ემოციური და სოციალუ-
რი პრობლემები.⁷⁶ გორის რაიონულ სასამართლოში,⁷⁷ ბრალდებულის მონაწილეო-
ბის გარეშე ჩატარებულ დაბურულ სასამართლო სხდომაზე, ფსიქოლოგის, არასრულ-
წლოვნის ადვოკატისა და მისი კანონიერი წარმომადგენლის მონაწილეობით, მოწმის
სახით დაკითხვისას არასრულწლოვანმა – მ.ო-მ განმარტა, რომ „როდესაც მისი მამა
– გ.მ სახლში მოდიოდა, ხშირად ეჩხუბებოდა დედას – ნ.ო-ს. 2016 წლის 10 იანვარს,
ლამით მის მშობლებს კვლავ მოუკიდათ კონფლიქტი. მთვრალ მდგომარეობაში მყო-
ფი გ.მ ნ.ო-ს ეჩხუბებოდა, ამტვრევდა ყველაფერს, რა დროსაც მან ნ.ო-ს დაარტყა და
წააქცია. არასრულწლოვნის განმარტებით, ამ დროს მას შეეშინდა, ცდილობდა მშობ-
ლების გაშველებას, თუმცა თვითონაც წაიქცა. შემდეგ იგი დედასთან ერთად სახლი-
დან გამოვიდა. ქუჩაში გ.მ-მა ნ.ო-ს ფეხი დაარტყა, რის შემდეგაც დედამ აღნიშნულის
შესახებ შეატყობინა პოლიციას. პოლიციელები მოვიდნენ, დაათვალიერეს სახლი და
მ.ო. დედასთან ერთად პოლიციის განყოფილებაში გადაიყვანეს. ამის შემდეგ ისინი მო-
ათავსეს თავშესაფარში, სადაც დღემდე ცხოვრობენ“. აღნიშნულთან დაკავშირებით
სასამართლომ განმარტა, რომ „ბრალდებულის ძალადობის ქმედებას შედეგად მოჰ-
ყვა არა მარტო ნ.ო-ს სხეულის დაზიანება, მისი ფიზიკური და მორალური შეურაცხყო-
ფა, არამედ დაირღვა დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნის – მ.ო-ს სოცია-
ლურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოსა და თავისუფალ და ღირსეულ პირობებში
ფიზიკური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფ-
ლება (გაეროს გენერალური ასამბლეის 1959 წლის №1386 რეზოლუცია (პრინციპი 2),
რომელიც ცნობილია „ბავშვის უფლებათა დეკლარაციის“ სახელით)“.

ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე მნიშნულოვანია, რომ დანაშაულის კვალი-
ფიკაცია რეალურად შეესაბამებოდეს ჩადენილი ქმედების სიმძიმეს.

კვლევის ფარგლებში შეგხვდა ისეთი შემთხვევა, როდესაც მოსამართლემ ოჯახში
ძალადობისთვის ბრალდებული პირის ქმედება სსკ-ის 126⁷⁵-ე მუხლის მე-2 ნაწილის
„ბ“ ქვეპუნქტიდან გადააკვალიფირა ამავე მუხლის 1-ლ ნაწილზე, შემდეგი არგუ-
მენტაციით: სასამართლოში წარდგენილი მტკიცებულებებით უტყუარად არ დადას-
ტურდა ბრალდებულის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების – არასრულწლოვანი შვი-

⁷⁵ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2017 წლის 18 იანვრის განჩინება 18/79-17.

⁷⁶ იხ. <http://sapari.ge/archives/4283>.

⁷⁷ გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 ივნისის განაჩენი, საქმე №1/61-16.

ლების თანდასწყებით ოჯახში ძალადობის ჩადენა, კერძოდ: „აღნიშნული მაკვალი-ფიცირებელი გარემოების მიზანია არასრულწლოვანთა დაცვა, რამდენადაც ოჯახში ძალადობა მათ ფსიქიკაზე მძიმედ აისახება და შესაბამისად, ისინიც მორალურად ძლი-ერ ზარალდებიან. ცხადია, ძალადობის შემთხვევაში მხოლოდ არასრულწლოვანის ობიექტურად შემთხვევის ადგილზე ყოფნა არ მეტყველებს მაკვალიფიცირებელი გა-რემოების არსებობაზე. აუცილებელია თავისი ასაკის, განვითარების დონის ან ჯან-მრთელობის მდგომარეობის გათვალიწინებით არასრულწლოვანი აცნობიერებდეს და აღიქვამდეს მომხდარს ან ვერ აღიქვამდეს ჯეროვნად, მაგრამ მის ფსიქიკაზე ოჯახში ძალადობა უარყოფითად უნდა აისახოს. ძალადობა შეიძლება განხორციელდეს ახალ-შობილის ან სულით ავადმყოფი (ასაკის და დაავადების გამოშეურაცხაობა) არასრულ-წლოვნის თანდასწრებითაც, მაგრამ ცხადია, ასეთ დროს მაკვალიფიცირებელი გარე-მოების გამოყენება ქმედების მხოლოდ ობიექტურად შერაცხვაა, რაც დაუშვებელია ზოგადსამართლებრივი პრინციპებიდან გამომდინარე. ისევე როგორც ახლო ნათესა-ვის თანდასწრებით განსაკუთრებული სისასტიკით მკვლელობის დროს დამნაშავე და დანაშაულის შემსწრე პირიც უნდა სათანადოდ აცნობიერებდეს მომხდარს, ოჯახში ძალადობის დროსაც არასრულწლოვანმა მეტნაკლებად მაინც უნდა აღიქვას მომხდა-რი. ზემოაღნიშნული მსჯელობით სასამართლო არ გამორიცხავს, რომ თუნდაც 2 ან 3 წლის არასრულწლოვნის თანდასწრებით ძალადობა შეიძლება შეფასდეს ოჯახში ძა-ლადობის დამამდიმებელ გარემოებად, მაგრამ მხოლოდ მაშინ, თუ წარმოდგენილი მტკიცებულებებით გაირკვევა არასრულწლოვნის აღქმის უნარი, მომხდარის მასზე უარყოფითად ასახვის ხარისხი, რაც ამ შემთხვევაში არაფრით ირკვევა. ამდენად სასა-მართლო ვერ შეაფასებს მომხდარ ძალადობას, როგორც არასრულწლოვანთა თან-დასწრებით მომხდარს, როგორც მხოლოდ ობიექტურ რეალობას და საკმარისს და-მამდიმებელი გარემოებების დასადასტურებლად“.⁷⁸ საბოლოოდ, სასამართლომ დამ-ნაშავეს განუსაზღვრა სასჯელის სახედ საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომა.

და ბოლოს, არასრულწლოვნებთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ ძალადობის მსხვერპლი ან მოწმე ბავშვის დაკითხვის თუ გამოკითხვის პროცესში არაერთი ისე-თი სიძნელე იჩენს თავს, რომლებიც შესაძლოა, დამკითხველს/ გამომკითხველს მხედ-ველობიდან გამორჩეს. ეს კი უარყოფითად აისახება როგორც ბავშვის მიერ მოწოდე-ბული ინფორმაციის სისრულესა და სანდონობაზე, ისე თვითონ ბავშვის მდგომარეო-ბაზე. მაგალითად, უჩვეულო, უცხო გარემო⁷⁹ უკვე ტრავმირებული ბავშვის ემოცი-ურ მგრძნობელობას მნიშვნელოვნად ზრდის, რაც გავლენას მოახდენს მის მიერ გად-მოცემული ინფორმაციის სიზუსტეზე. ამის გარდა, მტკიცენეულ თემაზე საუბრისას, არაკორექტულად დასმული კითხვები საფრთხეს შეუქმნის მიღებული ინფორმაციის სანდონობას. არასწორად ჩატარებული დაკითხვის შემთხვევაში, ბავშვს ტრავმული გამოცდილება განუახლდება და ის კიდევ ერთხელ იგრძნობს თავს მსხვერპლად. აუ-ცილებელია, ყოველთვის გვახსოვდეს, რომ ბავშვები, რომლებიც დაკითხვისას ნაკ-ლებად ჰყვებიან გადატანილი ძალადობის შესახებ, საჭიროებენ დამატებით მხარდა-ჭერას და არა – იძულებას.⁸⁰

სსკ-ს 126¹-ე მუხლის ერთ-ერთ მაკვალიფიცირებელ ნიშანს წარმოადგენს დანაშაუ-ლის ჩადენა ნინაშნარი შეცნობით უმნეო მდგომარეობაში მყოფი პირის მიმართ. მას-ში იგულისხმება ავადმყოფის, ღრმად მოხუცისა და სხვათა მიმართ ჩადენილი ოჯახ-ში ძალადობა, რომელთაც თავისი ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური მდგომარეობის გა-

⁷⁸ გორის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 17 მარტის განაჩენი.

⁷⁹ აღსანიშნავია, რომ საქართველოს უზენაეს სასამართლოში არის არასრულწლოვანთა საქმეების განხილვის სასამართლო დარბაზი და ასევე არასრულწლოვან მოწმეთა დაკითხვის ოთახი.

⁸⁰ იხ. <http://phf.org.ge/ka/resources/dazaralebuli-da-mowme-bavshvis-dakitxva/>.

მო არ შეუძლიათ თავის დაცვა. მაგალითად, ხაშურის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში⁸¹, „ბრალდებულმა დედამისის მიმართ, რომელსაც არ შეეძლო საწოლიდან წამოდომა, ჩაიდინა ძალადობა, კერძოდ, საწოლში მწოლიარე დაზარალებულს, რომელსაც ასაკისა და ვანმრთელობის მდგომარეობიდან გამომდინარე, გადატანილი იპერაციის შემდგომი სისუსტის გამო არ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა, ხელის დარტყმით სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა“.
ოჯახში ძალადობის აღნიშნული პუნქტით კვალიფიკირებული უმნეო მდგომარეობაში ყოფნა და მის მიერ წინააღმდეგობის განევის შეუძლებლობა.

ბრალდებულის დამამძიმებელ გარემოებად ასევე ითვლება ოჯახში ძალადობის ჩადენა წინასწარი შეცნობით ორსულის მიმართ. ამგვარი სახის ძალადობა მოწმობს პირის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიმროებაზე. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ „სსკ-ის 126¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კვალიფიკირებული დროს ერთდროულად უნდა არსებობდეს ორი პირობა – ბრალდებულის მიერ წინასწარი შეცნობა, რომ იგი ძალადობას ახორციელებს ორსულის მიმართ და მსხვერპლის ორსულობა“.⁸² განსახილველ საქმეში, მოსამართლემ პირი გაამართლა სწორედ იმ საფუძვლით, რომ სასამართლო სხდომაზე გინეკოლოგის მიერ გაცემული ცნობით დადასტურდა, რომ დაზარალებული, რომელიც არის ბრალდებულის მეუღლე არ არის და არც ყოფილა ორსულად ძალადობის ჩადენის დროს: „ბრალდებულს მეუღლემ – მ.პ-მ უთხრა, რომ იყო ფეხმძიმედ და მასაც ეგონა, რომ მეუღლე ფეხმძიმედ იყო, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში მ.პ არ ყოფილა ფეხმძიმედ. აღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდებულს არ უნდა შეერაცხოს ობიექტურად არ არსებული ფაქტობრივი გარემოება“.⁸³

კვლევამ ცხადყო, რომ ძალადობის მსხვერპლი შეიძლება გახდეს ნებისმიერი ადამიანი. თუმცა ცხადია, არსებობენ სხვადასხვა რისკ-ჯგუფები, მაგალითად, როგორებიც არიან ქალები, ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები და მოხუცები. აღნიშნული პირები მოძალადესთან მიმართებაში იმყოფებიან სიტუაციურად ანდა სხვა ფაქტორით განპირობებულ უთანასწორო მდგომარეობაში, რაც აადვილებს მათზე ძალადობის განხორციელებას.

აღნიშნულმა ქვეთავმაც დაგვანახა, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ვლინდება ყველა ასაკისა და სოციალური წარმომავლობის ქალის წინააღმდეგ. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან გამოვლინდა, რომ მსხვერპლთა უმრავლესობა ქალები და გოგონები არიან.

სამწუხაროდ, საქართველოში ხშირია ბავშვებზე ძალადობის ფაქტები. ასაკისა და ფიზიკური შესაძლებლობების გამო, მათ არ აქვთ უნარი შეაკავონ მოძალადის მართლსაწინააღმდეგო ქცევა. ოჯახში ძალადობისას იტანჯებიან არა მხოლოდ ძალადობის უშუალო მსხვერპლი ბავშვები, არამედ ისინიც, რომლებიც ძალადობის მოწმეები ხდებიან. როგორც უკვე აღინიშნა, ძალადობის მეშვეობით მოძალადე ესწრაფვის მსხვერპლზე ძალაუფლებისა და კონტროლის შესაძლებლობის მოპოვებას. მაგალითად, ხშირად უფროსები ბავშვებისგან მოითხოვენ უსიტყვო მორჩილებას და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში მიმართავენ ძალადობის სხვადასხვა ფორმას.

⁸¹ ხაშურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 11 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1-89-17.

⁸² გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 მაისის განაჩენი, საქმე №1/102-16.

⁸³ იქვე.

როდესაც საქმე ეხება არასრულნლოვანს, ეს იქნება მსხვერპლი თუ მოწმე, სასამართლომ ბავშვის საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით უნდა მიიღოს გადაწყვეტილება, მით უფრო მაშინ, როდესაც ალიარებულია, რომ ოჯახში ძალადობა ნეგატიურ გავლენას ახდენს ბავშვებზე, უნგრევს მათ სტაბილურობისა და უსაფრთხოების განცდას.

და ბოლოს, სასამართლო ვალდებულია სათანადო გულისხმიერებით მოეკიდოს მსხვერპლის მიერ განცდილ ტანჯვას. ოჯახში ძალადობის ჩადენა წინასწარი შეცნობით ორსული ქალის, არასრულნლოვნის, უმწეო მდგომარეობაში მყოფი პირის ან შეზღუდული შესაძლებლობის პირის მიმართ მიიჩნევა სსკ-ის 126¹-ე მუხლის მაკვალიფიცერებელ გარემოებებად და შესაბამისად, ამგვარი სახის ძალადობა მოწმობს ბრალდებულის გაზრდილ საზოგადოებრივ საშიშროებაზე, რაც ქმნის მკაცრი სასჯელის გამოყენების საფუძველს.

2.2 დისპრიმინაციული მოტივის გამოკვლევა ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე

ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქმეებზე დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა დანაშაულის სწორი კვალიფიკაციისა და ქმედების სიმძიმის შესაბამისი სასჯელის განსაზღვრის აუცილებელ წინაპირობას წარმოადგენს. დანაშაულის მოტივად გენდერული ნიშნის განსაზღვრის მიზნით მნიშვნელოვანია შეფასდეს, ქმედებაში იყვეთება თუ არა გენდერული დისკრიმინაცია, ქალის ქცევის კონტროლი, მის მიმართ მესაკუთრული დამოკიდებულება ან სხვა სახის გენდერული ძალადობა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს ქალის გენდერულ როლზე არსებული სტერეოტიპული შეხედულებითა და პატრიარქალური დამოკიდებულებით. მაგალითად, ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ოჯახში ძალადობის შესახებ საქმის განხილვისას, ცოლ-ქმარს შორის კონფლიქტური დამოკიდებულების მოტივად მიიჩნია გენდერული შეუწყნარებლობა, რაც გამოიხატებოდა „ბრალდებულის მიერ დაზარალებულის გავლენის ქვეშ მოქცევაში, ქცევის კონტროლში, მეგობრებსა და ნათესავებთან ურთიერთობის, ასევე ტელეფონით სარგებლობის აკრძალვაში“.⁸⁴

იმისათვის, რომ მოხდეს საქმეში გენდერული მოტივის გამოკვეთა, სასამართლოს უნდა ქონდეს ნათელი ხედვა – რა უნდა იქნეს მიჩნეული გენდერულ მოტივად. გენდერი არის სოციალური სქესი, განსხვავება ქალსა და კაცს შორის, რომელიც განპირობებულია არა ბიოლოგიური, არამედ სოციალური მოცემულობით, ამა თუ იმ საზოგადოებაში კაცისა და ქალის როლის თავისებურებებით.⁸⁵ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის (შემდეგში „სტამბოლის კონვენციის“) მიზნებისთვის „გენდერული“ გულისხმობს სოციალურად დაკავშირებულ როლებს, ქცევას, საქმიანობას და მახასიათებლებს, რომლებსაც მოცემული საზოგადოება ქალისა და მამაკაცისთვის შესაფერისად მიიჩნევს. „ქალთა მიმართ ძალადობა გენდერული ნიშნით“ გულისხმობს ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობას იმის გამო, რომ ის ქალია ან რომელიც არათანაზომიერად უარყოფით ზემოქმედებას ახდენს ქალებზე.⁸⁶

⁸⁴ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/163-2017.

⁸⁵ Gender Stereotyping as a Human rights Violation, OHCHR Commissioned Report, October 2013, p.9.

⁸⁶ [ob.<https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678>](https://matsne.gov.ge/ka/document/view/3789678).

იმისთვის, რათა გაირკვეს ხომ არ იყო დანაშაული ჩადენილი გენდერული დისკრიმინაციის მოტივით, უნდა დადგინდეს მოძალადის დანაშაულებრივი ქმედება განპირობებულია თუ არა გენდერული სტერეოტიპების გავლენით.⁸⁷ გენდერული სტერეოტიპია ქალისა და მამაკაცის მსგავსი ქცევის რადიკალურად განსხვავებული შეფასება და მათი მსგავსი ქცევის არათანაზომიერად გაკიცხვა. გენდერული სტერეოტიპები შეიძლება დაიყოს შემდეგ კატეგორიებად:⁸⁸

- სქესობრივი სტერეოტიპები – ზოგადი შეხედულება ქალისა და მამაკაცის ფიზიკური, მათ შორის ბიოლოგიური, ემოციური მახასიათებლებისა და შემეცნებითი შესაძლებლობების შესახებ (მაგ: ქალები ხშირად იტყუებიან);
- სექსუალური ხასიათის სტერეოტიპები – ზოგადი შეხედულება ქალისა და მამაკაცის სექსუალურ თავისებურებებთან დაკავშირებით;
- სქესის ნიშნით როლების სტერეოტიპები – შეხედულება მამაკაცისა და ქალის როლებთან დაკავშირებით (მაგ: ქალებმა უნდა იზრუნონ ბავშვებზე და მამაკაცები არიან ოჯახის მეთაური).

სტერეოტიპული შეხედულებები გამოიხატება ძირითადად ამგვარ შეფასებებში: განკორწინების შემდეგ ქალს მოეთხოვება დაკავდეს მხოლოდ ბავშვების მოვლით და აღზრდით და არ აქვს პირადი ცხოვრების თავისუფლად წარმართვის უფლება; განკორწინებულ ცოლს მოეთხოვება „პატიოსნად“ ცხოვრება მისი ყოფილი ქმრის სახელის გატეხვის გამო, მის მიერ სექსუალური პარტნიორის ყოლა ითვლება „გზიდან აცდენად“, „აღვირახსნილ ცხოვრებად“. გენდერული სტერეოტიპების გავლენით, მამაკაცი, რომელიც ფინანსურად უზრუნველყოფს მეუღლეს ამ საფუძვლით მიიჩნევს მას საკუთრებად, რაც გამოიხატება იმაში, რომ ქალს უფლება არ აქვს მეუღლის ნებართვის ან თანხმობის გარეშე გავიდეს სახლიდან, კონტაქტი დაამყაროს თავის ნათესავებთან, თავისუფლად აირჩიოს მეგობრები, თავისუფლად მიიღოს განათლება, დაეუფლოს გარკვეულ პროფესიას, დაიწყოს მუშაობა და ა.შ. ანუ ქალს წართმეული აქვს უფლება თავად მიიღოს გადაწყვეტილება იმ საკითხებზე, რომლებიც მის პირად ცხოვრებას ეხება. სწორედ ამგვარი გენდერული სტერეოტიპებით განპირობებული ძალადობრივი ქცევა უნდა იქნეს მიჩნეული გენდერული ნიშნით შეუწყნარებლური მოტივით ჩადენილ დანაშაულად.⁸⁹

ამდენად, ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფაქტზე უნდა დადგინდეს, დანაშაულის მოტივი ხომ არ იყო ქალის გააქტიურებული როლის ან ტრადიციების საწინააღმდეგო ქცევისადმი მოძალადის აგრესიული დამოკიდებულება. ხსენებული მოტივის გამოკვეთის მიზნით ყურადღება უნდა გამახვილდეს დამნაშავის მიერ გამოთქმულ შეურაცხმყოფელ გამონათქვამებზე, რომელიც დაზარალებულის რეპუტაციას ეჭვქვეშ

⁸⁷ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი - მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში, 2015-2016, გვ.41.

⁸⁸ Training manual for judges and Prosecutors on Ensuring Women's Access to Justice, partnership for Good Governance, September, 2017, p.23.

⁸⁹ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი - მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში, 2015-2016, გვ.42.

აყენებს, აუგად იხსენიებს მის სქესს, ყურადღებას ამახვილებს მის ფუნქციებსა და ტრადიციულ როლზე საზოგადოებასა და ოჯახში და ა.შ.⁹⁰ მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში⁹¹ ბრალდებული დაზარალებულს „გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივით ამცირებდა, უუბნებოდა, რომ რადგან ის მისი მეუღლე იყო, ეს ვალდებულს ხდიდა მისი ყველა სურვილი ნებისმიერ დროს შეერულებინა. ბრალდებული დაზარალებულს ექცევდა, როგორც მოსამსახურეს, რომელსაც მის საწინააღმდეგოდ არაფერი არ უნდა ეთქვა“.⁹²

სახელმწიფოს ვალდებულება – უზრუნველყოს გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღმოფხვრა, გხვდება არაერთ საერთაშორისო სამართლებრივ აქტში, კერძოდ:

- გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კონვენციის მე-5 მუხლი⁹³ კონკრეტულად განსაზღვრავს, რომ მონაწილე სახელმწიფოებმა სათანადო ღონისძიებების გატარებით უნდა: ა) შეცვალონ მამაკაცთა და ქალთა ქცევის სოციალური და კულტურული მოდელები იმ ცრუნწმენების აღმოფხვრისა და იმ ადათ-წესების დასხვა პრაქტიკის გაუქმების მიზნით, რომლებსაც საფუძვლად უდევს ერთ-ერთი სქესის არასრულფასოვნების, ან უპირატესობის, ან მამაკაცთა და ქალთა სტერეოტიპულობის იდეა; ბ) უზრუნველყონ, რომ ოჯახური აღზრდა შეიცავდეს დედობის, როგორც სოციალური ფუნქციის სწორ გაგებას და მამაკაცთა და ქალთა საერთო პასუხისმგებლობის აღიარებას თავიანთი შვილების აღზრდისა და განვითარებისათვის იმ პირობით, რომ ყველა შემთხვევაში უმთავრესია ბავშვთა ინტერესები.
- გაეროს ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ კომიტეტი 2017 წლის 14 ივლისის №35 ზოგად კომენტარში⁹⁴ აღნიშნავს, რომ მართლმსაჯულების ორგანოებმა თავი უნდა შეიკავონ დისკრიმინაციული ხასიათის ქმედებებისგან ან ქალთა წინააღმდეგ გენდერული ნიშნით ძალადობის პრაქტიკისგან, გამოიყენონ სისხლის სამართლის შესაბამისი დებულებები ამგვარი ძალადობის დასასჯელად, უზრუნველყონ, რომ გენდერული ნიშნით ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით სამართლებრივი პროცედურები წარიმართოს სამართლიანად და მიუკერძოებლად, სამართლებრივი ნორმების გენდერული სტერეოტიპებისა და დისკრიმინაციული განმარტებების გარეშე, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.⁹⁵ კომიტეტის რეკომენდაციით (პარა.44) ქალებს უნდა ჰქონდეთ სასამართლოსა და ტრიბუნალებისადმი ეფექტური ხელმისაწვდომობა, შესაბამისმა ორგანოებმა უნდა მოახდინონ გენდერული ნიშნით დისკრიმინაციულ საქმეებზე ადეკვატური რეაგირება, მათ შორის, სავარაუდო დამნაშავის სასამართლოში წარდგენის მიზნით, დანაშაულის გამოძიება, სადაც სამართლებრივი პროცედურები უნდა განხორციელ-

⁹⁰ პრაქტიკული სახელმძღვანელო მოსამართლებისა და პროკურორებისათვის მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის საგარანტიოდ, ევროკავშირისა და ევროპის საბჭოს ერთობლივი პროექტი - მართლმსაჯულებისადმი ქალთა ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთ ქვეყანაში, 2015-2016 წელი, გვ42.

⁹¹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/413-17.

⁹² იქვე.

⁹³ [ob.<http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf>](http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/aqtebi9.pdf).

⁹⁴ [ob.\[http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf\]\(http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf\)](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf).

⁹⁵ Karen Tayag Vertido v. the Philippines, 2010, par. 8.9 (b); R. P. B. v. the Philippines (case No. 34/2011), par. 8.3; general recommendation No. 33, par. 18 (e), 26 and 29.

დეს სამართლიანად, მიუკერძოებლად, დაჩქარებულ ვადებში, სათანადო სასკელის შეფარდებით.⁹⁶ ზოგადი რეკომენდაციის (პარა.45) მიხედვით, გენდერული ნიშნით ჩადენილ ძალადობასთან დაკავშირებულ საქმეებზე იმპერატიულად არ უნდა ვრცელდებოდეს დავის განხილვის ალტერნატიული საშუალებები (მაგ: მედიაცია). ამგვარი პროცედურების გამოყენების შესაძლებლობა უნდა იყოს მკაფიოდ რეგულირებული და ნებადართული მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ არსებობს სპეციალიზებული გუნდის შეფასება, რომელიც უზრუნველყოფს დაზარალებულის/მსხვერპლის ინფორმირებულ და ნებაყოფლობით თანხმობას, როდესაც დაზარალებულის/მსხვერპლის ან მისი ოჯახის სხვა წევრების უსაფრთხოების მიზნით აღარ არსებობს სამომავლო რისკები. მნიშვნელოვანია, რომ დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების გამოყენებამ ბარიერი არ უნდა შეუქმნას ქალებს სასამართლოსადმი ხელმისაწვდომობის კუთხით და არ უნდა შეუწყოს ხელი მათ მეორეულ ვიქტიმიზაციას მართლმსაჯულების სისტემაში.⁹⁷

- „სტამბოლის კონვენციის“ ერთ-ერთი მიზანია ხელი შეუწყოს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას და ქალებსა და მამაკაცებს შორის რეალური თანასწორუფლებიანობის ჩამოყალიბებას, მათ შორის, ქალებისთვის მეტი შესაძლებლობების მიცემის გზით.⁹⁸ კონვენცია აქცენტს აკეთებს სახელმწიფოს ვალდებულებაზე უზრუნველყოს გენდერულ სტერეოტიპებზე დაფუძნებული პრაქტიკის აღმოფხვრა. კერძოდ, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა გაატარონ ყველა საჭირო ზომა ქალისა და მამაკაცის ქცევის სოციალურ და კულტურულ მოდელებში ცვლილებების დასანერგად იმ მიზნით, რომ აღმოიფხვრას ის ცრურნმენტი, ადათ-წესები, ტრადიციები და ყველა სხვა პრაქტიკა, რომლებიც ეფუძნება ქალთა არასრულფასოვნების იდეას ან ქალისა და მამაკაცის როლის სტერეოტიპულ ნარმოდგენებს.⁹⁹ ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენცია კრძალავს დავების მოგვარებასთან დაკავშირებულ სავალდებულო ალტერნატიულ პროცესებს, მათ შორის, შუამავლობასა და მორიგებას (კონვენციის მოქმედების სფეროში შემავალი ყველა ფორმის ძალადობასთან მიმართებით). ასევე, წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ჯარიმის გადახდის შესახებ გადაწყვეტილების გამოტანის შემთხვევაში სათანადოდ იყოს გათვალისწინებული დამნაშავის შესაძლებლობა, შეასრულოს თავისი ფინანსური ვალდებულებები მსხვერპლის მიმართ.¹⁰⁰
- 2016 წლის ევროპის საბჭოს სამოქმედო გეგმა მართლმსაჯულების დამოუკიდებლობის გაძლიერებისა და მიუკერძოებლობის შესახებ მოუწოდებს წევრ სახელმწიფოებს გაატარონ შესაბამისი ღონისძიებები მართლმსაჯულების სფეროში გენდერულ სტერეოტიპებთან საბრძოლველად.¹⁰¹

⁹⁶ [ob.\[http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf\]\(http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf\)](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf).

⁹⁷ [ob.\[http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf\]\(http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf\)](http://tbinternet.ohchr.org/Treaties/CEDAW/Shared%20Documents/1_Global/CEDAW_C_GC_35_8267_E.pdf).

⁹⁸ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის 1-ლი მუხლის 1-ლი ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

⁹⁹ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის მე-12 მუხლის 1-ლი ნაწილი.

¹⁰⁰ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის“ შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციის 48-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

¹⁰¹ Training manual for judges and Prosecutors on Ensuring Women's Access to Justice, partnership for Good Governance, September, 2017, p.25.

ევროპული კომისია, რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI), წლების განმავლობაში რეკომენდაციას აძლევდა საქართველოს ხელისუფლებას მოეხდინა სიძულვილის მოტივის მიჩნევა დანაშაულის დამამდიმებელ გარემოებად. 2012 წლის 27 მარტის ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (შემდეგში სსკ-ს) 53-ე მუხლს დაემატა მე-3¹ ნაწილი,¹⁰² რომელიც დანაშაულის ჩადენას შეუწყნარებლობის მოტივით პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნევდა, მათ შორის, დანაშაულის ჩადენას „რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით“. 2017 წლის 4 მაისის ცვლილებებით კი, საქართველოს სსკ-დან ამოღებულ იქნა 53-ე მუხლის მე-3¹ ნაწილი, რომელიც ჩამოყალიბდა 53¹-ე მუხლის სახით: „დანაშაულის ჩადენა რასის, კანის ფერის, ენის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, გენდერული იდენტობის, ასაკის, რელიგიის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების, შეზღუდული შესაძლებლობის, მოქალაქეობის, ეროვნული, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, საცხოვრებელი ადგილის ან დისკრიმინაციის შემცველი სხვა ნიშნით შეუწყნარებლობის მოტივით არის პასუხისმგებლობის დამამდიმებელი გარემოება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა შესაბამისი დანაშაულისათვის“.

სამოსამართლო საქმიანობის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას წარმოადგენს ბრალის ხარისხის შესაბამისი სასჯელის დანიშვნა. მოსამართლე სასჯელის დანიშვნისას ითვალისწინებს არა მარტო ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, არამედ ბრალდებულის პირვენებასაც, დანაშაულის მოტივსა და მიზანს, წარსულში ჩადენილ დანაშაულებსა და გამოძიებასთან თანამშრომლობას.

მოტივისა და მიზნის გამოკვლევით პროკურორებსა თუ მოსამართლეებს საშუალება ეძლევათ დაახასიათონ ოჯახში ძალადობისათვის ბრალდებული პირების ფსიქიკური მდგომარეობა დანაშაულის ჩადენის მომენტისათვის, ასევე შეაფასონ მათი მხრიდან საზოგადოებისთვის საშიშროების ხარისხი.


გამოძიების საწყის ეტაპზე, მტკიცებულების შეგროვებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს და გამოიკვეთოს დანაშაულის ჩადენის მოტივი. გენდერის და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა მნიშვნელოვანია, რათა სასამართლოებმა სათანადო შეფასება მისცენ ფაქტებს და აღნიშნულის გათვალისწინებით სასჯელის დანიშვნისას გამოიყენონ სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლი.

2016-2017 წლებში საერთო სასამართლოების (პირველი ინსტანციის) მიერ სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის (ოჯახში ძალადობის) საფუძველზე, დადგენილი 1236¹⁰³ განაჩენიდან 550-ში მკაფიოდ იკვეთებოდა დანაშაულის ჩადენის მოტივი.

კვლევის ფარგლებში, ძალადობის ფაქტების მოტივების გაანალიზების შედეგად გამოვლინდა შემდეგი:

¹⁰² ევროპული კომისიის რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ მოსხენება საქართველოს შესახებ (მონიტორინგის მეხუთე ციკლი); მიღებული 2015 წლის 8 დეკემბერს, გამოქვეყნებული 2016 წლის 1 მარტს.

¹⁰³ საქართველოს უზენაესი სასამართლოს ანალიტიკური განყოფილების კვლევისა და ანალიზის ცენტრის მიერ შესწავლით იქნა მხოლოდ 1236 განაჩენი.



2016-2017 წლებში ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა ჩადენილ იქნა ურთიერთშელაპარაკებისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტის დროს (468 საქმე). შემდეგაც ეჭვიანობის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების რაოდენობა (38 საქმე). ასევე აღსანიშნავია, რომ 2017 წლის მონაცემების მიხედვით, 2016 წელთან შედარებით რაოდენობრივად უფრო მეტ საქმეში გვხვდება მსჯელობა გენდერული ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივთან დაკავშირებით (2016 წელს იყო 2 საქმე, ხოლო 2017 წელს – 11 საქმე). ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტის მიზეზი გამხდარა ფინანსური პრობლემებიც, რაც გამოიხატებოდა ოჯახის კუთვნილი ფულის არამიზნობრივ ხარჯვაში და ვალების არსებობაში (11 საქმე). კვლევაში განხილულია განაწყენების საფუძველზე განხორციელებული ძალადობის ფაქტებიც (10 საქმე), მაგალითად, ერთერთ საქმეში ბრალდებული ცოლს „სთხოვდა შერიგებას და სახლში წაყოლას, რაზედაც მისგან მიიღო უარი. აღნიშნულზე განაწყენების გამო, არასრულწლოვნის შვილების თანდასწრებით ბრალდებულმა მეუღლეს მუშტი რამდენჯერმე ჩაარტყა სახის არეში, რის შედეგადც ამ უკანასკნელმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მიიღო სხეულის დაზიანება“.¹⁰⁴ ოჯახში ძალადობის მიზეზი ასევე გამხდარა არასრულწლოვნის აღზრდასთან, ჩაცმასა და განათლებასთან დაკავშირებით წარმოქმნილი კონფლიქტი (6 საქმე). ერთ საქმეში ფიგურირებდა შურისძიების მოტივი, ხოლო ერთ საქმეში დაზარალებულმა განაცხადა, რომ „მეუღლემ სცემა იმის გამო, რომ უარი უთხრა გაუკუდმართებული გზით სქესობრივ კავშირზე“.¹⁰⁵ ორ საქმეში ბრალდების მხარემ შუამდგომლობაში ახსენა, რომ ოჯახის წევრებს შორის კონფლიქტი წარმოქმნილი იყო უმიზიზოდ.¹⁰⁶

დისკრიმინაციის მოტივით დანაშაულის ჩადენა მიჩნეულ უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად. თუმცა რიგ შემთხვევებში საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებს განსხვავებული მიდგომა აქვთ, მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,¹⁰⁷ პირს ბრა-

¹⁰⁴ სამტკრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/142-17.

¹⁰⁵ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/3295-17.

¹⁰⁶ მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 27 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/4586-16.

¹⁰⁷ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი, №1-466-17.


ლი ედებოდა ცოლის (არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფის) მიმართ ჩადენილ ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობაში. პროკურორის განმარტებით ბრალდებული მეუღლეს უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში თითქმის ყოველდღიურად, არასრულწლოვანი შვილების თანდასწრებით, გენდერული დისკრიმინაციის მოტივით აყენებდა სიტყვიერ და ფიზიკურ შეურაცხყოფას. „ბრალდებულს არ სჭირდებოდა სერიოზული მიზეზი მეუღლის დასამცირებლად, მიმართავდა შეურაცხყოფელი სიტყვებით, აგინებდა დედისა და სხვა ნათესავების მისამართით, ჰკრავდა ხელს. კონფლიქტის დასაწყებად საქმარისი იყო დაზარალებულს ისეთი ქმედება განეხორციელებინა, რაც მას არ მოსწონდა, კერძოდ, რაიმე საგნის ადგილმდებარეობის შეცვლა, ეზოში ნარგავების მოურწყვევლობა, ბავშვების მიერ რომელიმე საყოფაცხოვრებო ნივთის ეზოში განთავსება. ამასთან ბრალდებული მეუღლეს, როგორც ქალს არაფრად არ აგდებდა, ეჭვიანობდა ყოველგვარი საფუძვლის გარეშე, სახლიდან გასულს ამოწმებდა ვისთან მიდიოდა და ხვდებოდა. არ მოსწონდა დაზარალებულის სამეცნიერო წრე და უკრძალავდა მათთან ურთიერთობას. დასცინობდა პროფესიის არ ქონის გამო, ჩააგონებდა, რომ მისი ერთადერთი მოვალეობა დიასახლისობა და ბავშვების აღზრდა იყო“. მოცემულ საქმეში მოსამართლემ ქალის მიმართ დისკრიმინაციული მოტივით ჩადენილი დანაშაულის შეფასებისას მოიხმო „სტამბოლის კონვენცია“ და განმარტა, რომ „კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას ალიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად“, თუმცა აღნიშნული გარემოება ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად არ მიიჩნია (სასჯელის დანიშვნისას სსკ-ის 53¹-ე მუხლზე მითითება არ მომხდარა).

დადებით ტენდენციად უნდა შეფასდეს ის, რომ კვლევის ფარგლებში შესწავლილი 1236 განაჩენიდან, 8 საქმეში მოსამართლემ ბრალდებულის მიმართ პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის ფაქტი:

წელი	სასამართლო	განაჩენების რაოდენობა, რომელშიც სასამართლომ დამამძიმებელ გარემოებად მიიჩნია გენდერული ნიშნით დისკრიმინაციის მოტივი
2016	გორის რაიონული სასამართლო	2
2017	გორის რაიონული სასამართლო	3
2017	ზესტავის რაიონული სასამართლო	1
2017	რუსთავის საქალაქო სასამართლო	1
2017	ახალციხის რაიონული სასამართლო	1

სწორედ, აღნიშნული 8 საქმის ანალიზმა გამოავლინა შემდეგი სახის სისხლისსამართლებრივი ასპექტები:

1. კავშირი დაზარალებულსა და ბრალდებულს შორის:



იმდენად, რამდენადაც სტატისტიკური მონაცემები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლები ქალები არიან და ოჯახში ძალადობის განხორციელება კავშირშია მათ სქესთან, „სტამბოლის კონვენცია“ მოითხოვს წევრი სახელმწიფოებიდან ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აკრძალვას, მათ შორის სანქციების გამოყენებით. გაეროს ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის კომიტეტმა (CEDAW) საქმეზე „X და Y საქართველოს წინააღმდეგ“ დაადგინა „ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის დარღვევა და მიუთითა, რომ მოცემულ შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ სახელმწიფომ ვერ შეასრულა დაკისრებული ვალდებულებები, გაეტარებინა შესაბამისი საკანონმდებლო და სხვა სახის ღონისძიებები, მათ შორის, სანქციები, რომლებიც აკრძალავდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.¹⁰⁸


სახელმწიფოს ვალდებულებასთან დაკავშირებით გორის რაიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ¹⁰⁹ საქმეზე აღნიშნა, რომ „ბრალდებული – დ.ლ წარსულშიც მხილებულ იქნა მეუღლის მიმართ ძალადობის ჩადენაში, თუმცა, სამწუხაროდ, პროკურატურის დადგენილებით, იმის გამო, რომ „დ.ლ-ს შიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყება ეწინააღმდეგებოდა სისხლის სამართლის პოლიტიკას“, დისკრეციული უფლებამოსილების საფუძველზე, მის მიმართ ბრალდებაზე ითქვა უარი და გამოძიება შეწყდა. აღნიშნულის შემდეგ ბრალდებულმა კვლავ განაგრძო ძალადობის განხორციელება მეუღლის მიმართ და ამჯერად, ოჯახში ძალადობა არასრულწლოვანი შვილის თანდას-

¹⁰⁸ <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/saertashoriso-kvlevebi7.pdf> გვ. 32.

¹⁰⁹ გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 მარტის განაჩენი, საქმე №1/68-17.109

წრებით ჩაიდინა. ბრალდებულის ძალადობრივი ქმედების შედეგად არა მარტო დაზარალებულმა განიცადა ფიზიკური ტკივილი და მორალური შეურაცხყოფა, არამედ ასევე დაირღვა დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნის სოციალურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოში, თავისუფალ და ღირსეულ პირობებში ფიზიკური, გონიერივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლება¹¹⁰.

2. საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ შეფარდებული სასჯელები ზემოთ აღნიშნულ რვა საქმეზე:



ოჯახში ძალადობა ძალიან ღრმა ტრავმის გამომწვევი ძალადობრივი ქმედებაა. ქალებისა და გოგონების მნიშვნელოვანი რაოდენობა ყოველდღიურად ძალადობის მსხვერპლია. ფიზიკურთან ერთად ძალადობას შეიძლება ჰქონდეს ფსიქოლოგიური ხასიათი და შედგებოდეს სიტყვიერი შეურაცხყოფისაგან, კრიტიკისაგან, იზოლაციისაგან, მუქარისაგან, შევიწროვებისა და აკვიატებული დევნისგან. ის რომ ასეთი ძალადობა ფიზიკური ხასიათის არ გახლავთ, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იგი ნაკლები ზიანის მომტანი და ნაკლებად სასტიკია.¹¹¹ გორის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში¹¹² პირს ბრალი ედებოდა ქალიშვილის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. სასამართლოს შეფასების გარეშე არ დაუტოვებია ბრალდებულის ქმედებაში გამოვლენილი მართლსაწინააღმდეგო ნება. „მტკიცებულებების ერთობლიობით დადგენილი იყო, რომ დაზარალებული – თ.ა. მშობლების დაშორების შემდეგ, არასრულწლოვნების ასაკში, მათი მზრუნველობის გარეშე დარჩა. მამის მეორე მეუღლესთან უსიამოვნების გამო თ.ა სისტემურად განიცდიდა ფსიქოლოგიურ ძალადობას მამის მხრიდან, რომელიც, მისი ნების საწინააღმდეგოდ, მზრუნველობამოკლებული შვილისგან უსამართლოდ მოითხოვდა მეორე მეუღლის მიმართ დამოკიდებულების შეცვლას. ამის გამო, ბრალდებული – ქ.ა. წლების განმავლობაში, სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებდა და დაზარალებულს, რომელიც საბოლოოდ, მამის უმოწყვალო ძალადობის მსხვერპლი გახდა. მთვრალ მდგომარეობაში მყოფი ბრალდებული რამდენიმე წუთის განმავლობაში სცემდა შვილს, რომელსაც არ ჰქონდა უნარი, შეეკავებინა მოძალადე მამაკაცის მართლსაწინააღმდეგო ქმედება. აღსანიშნავია, რომ ქ.ა-მ აღიარა ძალადობის ჩადე-

¹¹⁰ იქვე.

¹¹¹ იხ. http://assembly.coe.int/Communication/Campaign/DomesticViolence/HandbookParliamentarians_GE.pdf გვ.21.

¹¹² გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 იანვრის განაჩენი, საქმე №1/456-16.

ნა, თუმცა იგი თ.ა-სთან შერიგებული არ არის, მას მიყენებული ზიანი არ აუნაზღაურებია, რის გამოც დაზარალებული მოითხოვდა ბრალდებულის დასჯას. სასამართლომ პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიიჩნია სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით მამის მიერ ძალადობის ჩადენა თავისი შვილის მიმართ. მოსამართლის აზრით, აუცილებელი იყო ბრალდებულის საზოგადოებისაგან იზოლირება, „რამდენადაც დაზარალებულთან დღემდე არსებული კონფლიქტური ურთიერთობის გამო, მისგან მომდინარე ახალი დანაშაულის ჩადენის საფრთხე რეალურია“. სასჯელის შემსუბუქების კონტექსტში, სასამართლომ მხედველობაში მიიღო ბრალდებულის ოჯახური მდგომარეობა და სხვა პიროვნული მახასიათებლები (ქ.ა 37 წლისაა, არის დაოჯახებული, ჰყავს მეუღლე და სამი არასრულწლოვანი შვილი, აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი) და ქ.ა-ს საბოლოოდ განესაზღვრა შესაბამისი სანქციით, თავისუფლების აღკვეთის სახით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი (თავისუფლების აღკვეთა 6 (ექვსი) თვის ვადით).

როგორც უკვე აღინიშნა, დანაშაულის ჩადენის მოტივის დადგენა ხშირად რელევანტური სასჯელის დანიშვნის აუცილებელი წინაპირობაა. მაგალითად, ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,¹¹³ პირს ბრალი ედებოდა მეუღლის მიმართ ჩადენილ ძალადობაში. კერძოდ, ბრალდებულმა – ა.ჯ-მ დაზარალებულს „გენდერული დისკრიმინაციის მოტივით – ქალმა არ უნდა იმუშაოს და უნდა იყოს სახლში, მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხებულფა“. მართალია, სასამართლოს სიღრმისეულად არ უმსჯელია ბრალდებულის მხრიდან ქალის მიმართ სტერეოტიპულ დამოკიდებულებაზე, მაგრამ აღნიშნა, რომ ა.ჯ-ს „სისხლის სამართლის კოდექსის 53¹-ე მუხლის მხედველობაში მიღებით უნდა დაენიშნოს სსკ-ის შესაბამისი მუხლის სანქციით გათვალისწინებული სასჯელის სახე – თავისუფლების აღკვეთა“.¹¹⁴

შესწავლილმა საქმეებმა აჩვენა, რომ რიგ შემთხვევებში, იკვეთებოდა ნიშნები, რომელთა საფუძველზეც უნდა გამოკვლეულიყო, დანაშაულის ჩადენა მოტივირებული იყო თუ არა გენდერული უთანასწორობით. თუმცა ასეთ ფაქტებზე ბრალდების მხარესა და სასამართლოს ყურადღება არ გაუმახვილებია. მაგალითად, რუსთავის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ ერთ-ერთ საქმეში,¹¹⁵ პირს ბრალი ედებოდა დედის მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობაში, კერძოდ, სტუმრების წასვლის შემდეგ მთვრალ მდგომარეობაში მყოფმა ბრალდებულმა დედამისს – 6.6-ს დაახლოებით 21:30 საათზე მოსთხოვა წასულიყო მაღაზიაში და ეყიდა მისთვის სიგარეტი. იმის გამო, რომ გვიანი იყო, დაზარალებულმა უარი უთხრა მაღაზიაში წასვლაზე. „მიუხედავად ამისა, რომ ბრალდებული კაცი იყო, დედამისი ვალდებული იყო მას მომსახურებოდა. დედის უარით განაწყენებულმა 6.6-ს მიაყენა ფიზიკური შეურაცხებულფა“.¹¹⁶ ასევე ზესტაფონის რაიონულ სასამართლოში¹¹⁷ მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა განმარტა, რომ „მას შემდეგ, რაც გადაწყვიტა გაეგრძელებინა სწავლა, სისტემატურად, თითქმის ყოველ დღე უთანხმოება ჰქონდა მეუღლესთან, რა დროსაც ეს უკანასკნელი მას აყენებდა შეურაცხებულფას, კერძოდ, ეუბნებოდა, რომ ნუ დადიოდა მასწავლებლებთან, მაინც ვერაფერს იზამდა, არაფერი გამოუვიდოდა, ვერაფერს ისწავლიდა. იყო ქალი, შტერი, სულელი, ვერაფერს შეძლებდა. აღნიშნული სიტყვები მისთვის იყო შეურაცხებული და განიცდიდა სულიერ ტანჯვას“.¹¹⁸

¹¹³ ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 26 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/283-17.

¹¹⁴ იქვე.

¹¹⁵ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 5 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/627-17.

¹¹⁶ იქვე.

¹¹⁷ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 31 აგვისტოს განაჩენი, საქმე №1/24-2016.

¹¹⁸ იქვე.

2016 წელს, საქართველოს ეწვია ქალთა მიმართ ძალადობის მიზეზებისა და შედეგების შესახებ სპეციალური მომხსენებელი – დუბროვკა სიმონოვიჩი, რომლისთვისაც ცხადი გახდა, რომ „ქალთა მიმართ ძალადობა საქართველოში ფართოდ არის გავრცელებული და გვხვდება როგორც კერძო, ასევე საჯარო სფეროებში, ქალაქებსა და სოფლებში. მანდატის მფლობელმა ასევე აღნიშნა, რომ არსებული პატრიარქალური დამოკიდებულებები და გენდერული სტეროტიპები გენდერული ძალადობის მიმართ ტოლერანტულ გარემოს ქმნის“. გაეროს სპეციალური მომხსენებელი საჭიროდ მიიჩნევს სავალდებულო ტრენინგების ჩატარებას სამართალდამცავებისა და სასამართლო ხელისუფლების წევრებისათვის, მათ შორის, მოსამართლეებისა და პროკურორებისათვის, „ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციისა და მისი ფაკულტატური ოქმის, ზოგადი რეკომენდაციებისა და კომიტეტების იურისპრუდენციის, „სტამბოლის კონვენციისა“ და ეროვნული კანონმდებლობის შესახებ იმ მიზნით, რომ მათ შეძლონ კონვენციის დებულებების პირდაპირი გამოყენება და ეროვნული სამართლებრივი დებულებების ინტერპრეტაცია ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კომიტეტის იურისპრუდენციის გათვალისწინებით“.¹¹⁹

დასკვნის სახით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქალთა მიმართ ძალადობა ვლინდება ყველა ასაკისა და სოციალური წარმომავლობის ქალის წინააღმდეგ. ძალაუფლების დისპალანსი იწვევს ქალთა მიმართ დისკრიმინაციას და განსხვავებულ მიდგომებს, რაც ქალებს ძალადობრივი სიტუაციიდან თავის დაღწევას ურთულებს. ძალადობა, რომელსაც ქალები განიცდიან, ყოველთვის სერიოზულად არ აღიქმება საზოგადოების თუ ხელისუფლების ორგანოების მიერ, რაც კიდევ უფრო დაუცველს ხდის ამ ქალებს ძალადობის შემდგომი გამოვლინებისას.¹²⁰ თუ ოჯახში ძალადობის, ოჯახური დანაშაულებისა და ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ საქმეებში არსებობს იმის ნიშნები, რომ შესაძლებელია დანაშაული ჩადენილი ყოფილიყო დისკრიმინაციის ნიშნით, მაშინ როგორც ბრალდების მხარემ, ისე მოსამართლემ აღნიშნული გარემოება მხედველობაში უნდა მიიღოს. გენდერისა და სქესის ნიშნით დისკრიმინაციის მოტივის გამოკვეთა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სასამართლოებისთვის, რათა სათანადოდ შეაფასონ ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები და განსაზღვრონ ოჯახში ძალადობისათვის ბრალდებული პირებისგან მომდინარე საფრთხეები. დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩადენა უნდა იქნეს პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიჩნეული, რათა სათანადოდ მოხდეს მსხვერპლის მიერ განცდილი ტანჯვის შეფასება.

რეკომენდაციები:

- ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე მართლმსაჯულება უნდა განხორციელდეს გენდერული ხედვით. მოსამართლეებმა სათანადოდ უნდა შეაფასონ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები დისკრიმინაციული ნიშნების იდენტიფიცირების მიზნით;
- დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩადენა უნდა იქნეს ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად მიჩნეული (სსკ-ის 53¹-ე მუხლი);

¹¹⁹ [nob.http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf](http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3867.pdf).

¹²⁰ [nob.http://assembly.coe.int/Communication/Campaign/DomesticViolence/HandbookParliamentarians_GE.pdf](http://assembly.coe.int/Communication/Campaign/DomesticViolence/HandbookParliamentarians_GE.pdf) გვ.22.

- გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები მოსამართლეებისა და თანაშემწერებისთვის „ქალთა მიმართ ძალადობის კულტურის აღმოფხვრის კონვენციის“, მისი ფაკულტატური ოქმის, ზოგადი რეკომენდაციების, „სტამბოლის კონვენციისა“ და ეროვნული კანონმდებლობის შესახებ.¹²¹

2.3 საპროცესო შეთანხმებები

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიხედვით,¹²² სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის საფუძველს წარმოადგენს საპროცესო შეთანხმება, რომლის თანახმადაც, ბრალდებული აღიარებს დანაშაულს და უთანხმდება პროკურორს სასჯელზე, ბრალდების შემსუბუქებაზე ან ნაწილობრივ მოხსნაზე. საპროცესო კანონმდებლობა არ კრძალავს ოჯახში ძალადობის/ქალთა მიმართ ძალადობის შემთხვევებზე საპროცესო შეთანხმების გამოყენებას. კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ და სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლით დაკვალიფიცირებულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმებების გაფორმება და შემდგომში სასამართლოს მიერ მათი დამტკიცება არცთუ იშვიათი შემთხვევაა. კერძოდ, 2016 წელს 495 საქმიდან საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა დაახლოებით 42% შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 2017 წელს და სულ არსებული 741 საქმიდან საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 28% შემთხვევაში.



წინამდებარე სექტორულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2016-2017 წლებში პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხილულ საქმეთა საერთო რაოდენობა და მათ შორის, საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შედეგად არსებითი განხილვის გარეშე დასრულებული საქმეთა რაოდენობრივი მაჩვენებელი. მიუხედავად იმისა, რომ საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს სასამართლოს მიერ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უარის თქმის შესაძლებლობას, აღსანიშნავია, რომ არ გამოვლენილა არც ერთი შემთხვევა, როდესაც სასამართლომ არ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა საქმეზე არსებითი განხილვის გარეშე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის თაობაზე.

¹²¹ Recommendation Rec(2002)5 of the Committee of Ministers to member States on the protection of women against violence adopted on 30 April 2002 and Explanatory Memorandum, §11.

¹²² სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 209-ე მუხლი.

კვლევის შედეგების თანახმად, საპროცესო შეთანხმება ფორმდება (შემდგომში სასამართლოს მიერ მტკიცდება) ისეთ შემთხვევებშიც, როდესაც ოჯახში ძალადობას აქვს სისტემატური ხასიათი ან/და ბრალდებული ნასამართლევია, მათ შორის, იგივე დანაშაულისთვის. კერძოდ, 2016 წლის საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 12 ნასამართლევ პირთან¹²³ (მათგან ოჯახში ძალადობის დანაშაულისთვის ნასამართლეობა ჰქონდა 3 ბრალდებულს), ხოლო 2017 წლის – 7 ნასამართლევ პირთან¹²⁴ (მათგან იგივე დანაშაულზე ბრალდებული იყო 1 პირი). ამასთან, 2016-2017 წლებში საპროცესო შეთანხმებები დამტკიცდა 7 ისეთ საქმეზე¹²⁵, სადაც იკვეთებოდა ძალადობის სისტემატურობა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში¹²⁶ პირს (წარსულში ნასამართლევს იგივე დანაშაულისთვის) ბრალად ედებოდა დედის მიმართ სისტემატური ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობა. პროკურორმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. სასამართლომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცების საკითხის განხილვისას მსჯელობა განავითარა შემდეგნაირად: „შუამდგომლობაზე დართული ბრალდებულის წერილობითი განცხადებით დადასტურებულია ის ფაქტი, რომ ბრალდებულმა სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანაზე თანხმობა განაცხადა ნებაყოფლობით, ადვოკატისაგან იურიდიული დახმარების მიღების შემდეგ. იგი სრულყოფილად აღიკვამს საპროცესო შეთანხმების შინაარსს და მოსალოდნელი განაჩენის სამართლებრივ შედეგებს. ბრალდებულს და მის ადვოკატს საპროცესო შეთანხმების ოქმზე შენიშვნები არ გამოუთქვამთ“.¹²⁷

სასამართლო სხდომაზე ასევე დადგინდა, რომ „საპროცესო შეთანხმება დადებულია წამების, არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის გარეშე; საპროცესო შეთანხმება ნებაყოფლობით არის დადებული და ბრალდებული ნებაყოფლობით აღიარებს ბრალს; ბრალდებული სრულად აცნობიერებს საპროცესო შეთანხმების, მათ შორის, ნასამართლობის, სამართლებრივ შედეგებს; ბრალდებულს ჰქონდა კვალიფიციური იურიდიული დახმარების მიღების შესაძლებლობა; ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულის ხასიათს, რომლის ჩადენაშიც მას ბრალი ედება; ბრალდებული სრულად აცნობიერებს იმ დანაშაულისათვის გათვალისწინებულ სასჯელს, რომლის ჩადენასაც ის აღიარებს; ბრალდებულისთვის ცნობილია საპროცესო შეთანხმებასთან დაკავშირებული, კანონით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნა ბრალის აღიარების შე-

¹²³ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 7 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/933-16; ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 23 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/258-16; თელავის რაიონული სასამართლოს 2016 წლის განაჩენები საქმეებზე: №1/91-16 (2016 წლის 31 მაისი) და №1/334-16 (2016 წლის 16 თებერვალი); თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 1 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/4141-16; ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 18 მაისის განაჩენი, საქმე №1/102-2016; გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 24 მაისის განაჩენი, საქმე №1/118-16; ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის განაჩენები საქმეებზე: №1-1083/16 (2016 წლის 12 ოქტომბერი); №1-650/16 (2016 წლის 3 ნოემბერი); №1-207/16 (2016 წლის 9 მარტი); მცხეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის განაჩენები საქმეებზე: №1/234-16 (2016 წლის 3 ოქტომბერი) და №1/348-15 (2016 წლის 18 იანვარი).

¹²⁴ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის განაჩენები საქმეებზე: №1/863-2016 (2017 წლის 20 იანვარი) და №1/103-17 (2017 წლის 23 ივნისი); ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 12 დეკემბრის განაჩენი, საქმე: №1/220-17; თელავის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 16 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/334-16; თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 12 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/3598; რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის განაჩენი საქმეებზე: №1-710-16 (2017 წლის 7 თებერვალი) და №1-420-17 (2017 წლის 22 სექტემბერი).

¹²⁵ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის განაჩენები, საქმეებზე: №10258-17 (2017 წლის 26 სექტემბერი); №1/302-17 (2017 წლის 27 სექტემბერი) და №1/261-17 (2017 5 ოქტომბერი); სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2016-2017 განაჩენები საქმეებზე: №1/258-16 (2016 წლის 31 ოქტომბერი) და №1/150-17 (2017 წლის 20 ივნისი); ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2017 27 მარტის განაჩენი, საქმე №1/18-2017 და ახალციხის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 18 მაისის განაჩენი, საქმე №1/100-17.


¹²⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 26 აპრილის განაჩენი, საქმე №1-217-16.

¹²⁷ იქვე.

სახებ; ბრალდებული აცნობიერებს, რომ თუ სასამართლომ არ დაამტკიცა საპროცესო შეთანხმება, დაუშვებელია მომავალში მის წინააღმდეგ გამოყენებული იქნეს ნებისმიერი ინფორმაცია, რომელსაც იგი საპროცესო შეთანხმების განხილვისას სასამართლოს მიაწვდის; ბრალდებული ასევე აცნობიერებს, რომ მასშემდეგი უფლებები: დაცვის უფლება; საპროცესო შეთანხმებაზე უარის თქმის უფლება; სასამართლოს მიერ მისი საქმის არსებითი განხილვის უფლება; ბრალდებული ეთანხმება ბრალის აღიარების შესახებ საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს; საპროცესო შეთანხმებაში ბრალდებულსა და პროკურორს შორის მიღწეული შეთანხმების ყველა პირობაა ასახული; ბრალდებული და მისი ადვოკატი სრულად იცნობენ საქმის მასალებს“.¹²⁸


სასამართლომ საქმის მასალებისა და ბრალდებულის მიერ ბრალის აღიარების საფუძველზე მიიჩნია, რომ დასაბუთებულია ბრალდება, არსებობს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული გარემოებები და კანონიერი და სამართლიანია სასამართლოს მიერ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე პროკურორის შუამდგომლობაში მითითებული სასჯელი.

საპროცესო შეთანხმებების რაოდენობრივი მაჩვენებელი აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული/საქალაქო (მაგისტრატი) სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების მიხედვით:



¹²⁸ იქნ.

საპროცესო შეთანხმებების რაოდენობრივი მაჩვენებელი დასავლეთ საქართველოს რაიონული/საქალაქო (მაგისტრატი) სასამართლოების მიერ დადგენილი განაჩენების მიხედვით:



წინამდებარე დიაგრამებზე წარმოდგენილია საპროცესო შეთანხმების დამტკიცების მაჩვენებელი დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული (საქალაქო) და მაგისტრატი სასამართლოების განაჩენების მიხედვით. მონაცემების ანალიზით ირკვევა, რომ ყველაზე ხშირად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული/საქალაქო (მაგისტრატი) სასამართლოები იხილავენ პროკურატურის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. კერძოდ, ყველაზე ხშირად 2016-2017 წლებში საპროცესო შეთანხმები დაამტკიცა რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ასევე გურჯაანისა და გორის რაიონულმა სასამართლოებმა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების განაჩენებში.

2.4 სასამართლო პრატიკა ოჯახები ძალადობის ჩამდენ პირთა სამკურნალო პროგრამები სავალდებულო წესით ჩართვის თაობაზე

„ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრე-ვენციის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენცია¹²⁹ წევრი სახელმწიფოებისთვის აწე-სებს მოთხოვნებს, ოჯახში ძალადობის ჩამდენ პირთა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის შექმნან და ხელი შეუწყონ ცალკეული სახის სამკურნალო პროგ-რამებს. კერძოდ, მე-16 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, მხარეებმა უნდა მიიღონ შესაბამისი სამართლებრივი ან სხვა ზომები პროგრამების ჩამოსაყალიბებლად ან მხარდასაჭერად, რომელიც მიზნად ისახავს ოჯახში ძალადობის ჩამდენი პირებისათ-ვის არაძალადობრივი ქცევის სწავლებას ინტერპერსონალურ ურთიერთობებში შემ-დგომი ძალადობისა და ძალადობრივი ქცევითი მოდელების პრევენციისათვის.

ევროპაში დღესდღეობით დამნაშავეთა მკურნალობის სხვადასხვა პროგრამა ხორ-ციელდება: 1) სამკურნალო პროგრამები ციხეში (ოჯახში მოძალადე და სექსუალურ ნიადაგზე მოძალადე კაცებისთვის); 2) პრობაციონერთა ქცევითი ცვლილებების პროგრამები მსჯავრდებული მოძალადეებისთვის; 3) თემის საჭიროებებზე დაფუძ-ნებული დამოკიდებულებისა და ქცევითი ცვლილებების პროგრამები, რომლებიც ხორციელდება არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ, რომელთაც გააჩნიათ კავშირი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემას-თან (ძირითადად ოჯახში მოძალადეთათვის, მაგალითად, როდესაც სისხლის სამარ-თლის მართლმსაჯულების სისტემის რეფერალური შესაძლოა გახდეს ბრალდების მოხსნის წინაპირობა) და 4) თემის საჭიროებებზე დაფუძნებული დამოკიდებულები-სა და ქცევითი ცვლილებების პროგრამები, რომლებიც ხორციელდება არასამთავ-რობო ორგანიზაციებისა და სხვა ორგანიზაციების მიერ, რომელთაც არ გააჩნიათ კავშირი სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემასთან.¹³⁰

ამერიკის შეერთებული შტატების ფართოდ გავრცელებული ოჯახში ძალადობის დაძ-ლევის დელუსის მოდელის მთავარი კომპონენტია დამნაშავეთა „მკურნალობა“. ძა-ლისა და კონტროლის თეორიაზე დაყრდნობით, ინტერვენცია მიზნად ისახავს მამ-რობითი სქესის დამნაშავის ქცევის ცვლილების ხელშეწყობას არაძალადობრივი ქცე-ვისკენ, თითოეული დამნაშავის ძალადობრივი ქცევის განზრახვისა და მიზეზის შეს-წავლით. ოჯახში ძალადობის დამნაშავეთათვის განკუთხილი პროგრამების უმრავ-ლესობა დამნაშავეთა მკურნალობისას იყენებს შემეცნებით-ქცევით და ფიქო-სა-განმანათლებლო მიდგომას. პროგრამის ფარგლებში დამნაშავეებთან განიხილავენ მათი ძალადობრივი ქცევის გავლენას პარტნიორებზე (და ბავშვებზე), მიზნად ისახა-ვენ თანაგრძნობის, ანგარიშვალდებულებისა და მოტივაციის გაზრდას და იწვევენ ქალის მიმართ გენდერული სტერეოტიპებისა და მტრული დამოკიდებულების შეც-ვლას. მოცემული სახის მიდგომა მუშაობს გენდერული ძალადობის აღმოფხვრაზე „მამაკაცური მეს“ და „ემოციური და შემეცნებითი დეფიციტის“ აღმოფხვრით, რომე-ლიც იწვევს ქალის მიმართ მტრულ დამოკიდებულებას და ზოგადად ქალის მიმართ თანაგრძნობისა და პატივისცემის ნაკლებობას. დამნაშავეთა პროგრამები არ არის დამოკიდებულების მკურნალობის პროგრამები, მაგრამ ზოგიერთი მათგანი შესაძ-

¹²⁹ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ“ ევრო-პის საბჭოს კონვენციის მე-16 მუხლი.

¹³⁰ მარიანე ჰესტერი, სარა-ჯეინ ლილეი – პროგრამები ოჯახში ძალადობისა და სექსუალური ძალადობის ჩამდენ პირთათვის: „სტამბოლის კონვენციის“ მე-16 მუხლი ევროპის საბჭოს კონვენციის – ქალთა მიმართ ძალადობი-სა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ ნაშრომთა კრებული, 2014, გვ.8-11.

ლოა მოიცავდეს კომპონენტებს, რომლებიც მიმართულია ნარკოტიკის, ალკოჰოლი-სა და სხვა დამოკიდებულების „ბოროტად გამოყენების“, „ურთიერთობის დეფიციტის“ ან „დეპერსონალიზირებული სექსუალური სოციალიზაციის“ მკურნალობისკენ, რასაც პირი მიჰყავს სექსუალური კონტროლის სურვილისკენ.¹³¹ ამერიკის სასჯელის განმსაზღვრელი კომისიის (Sentencing Commission)¹³² მიერ შემუშავებული სასჯელთა სახელმძღვანელო პრინციპების¹³³ თანახმად, ოჯახში ძალადობის ჩადენის პირველ შემთხვევაზე, მოძალადე ვალდებულია გაიაროს სპეციალური სარეაბილიტაციო პროგრამა, რომელსაც განსაზღვრავს სასამართლო შესაბამის ექსპერტებთან ერთად.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი¹³⁴ ადგენს სასამართლოს უფლებამოსილებას, პირობითი მსჯავრის დროს, თუ არსებობს საამისო საფუძველი, მსჯავრდებულს დააკისროს განსაზღვრული მოვალეობის შესრულება: პრობაციის ბიუროს ნებართვის გარეშე არ შეიცვალოს მუდმივი ბინადრობის ადგილი, არ დაამყაროს ურთიერთობა იმასთან, ვინც შეიძლება იგი ჩააბას ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში, არ მოინახულოს განსაზღვრული ადგილი. მატერიალურად დაეხმაროს ოჯახს, გაიაროს ალკოჰოლიზმის, ნარკომანიის, ტოქსიკომანიის ან ვენერიული სენის მკურნალობის კურსი, ხოლო თუ მსჯავრდებული ოჯახური დანაშაულის ჩამდენი პირია – ასევე ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლოს შეუძლია მსჯავრდებულს დააკისროს სხვა მოვალეობაც, რომელიც ხელს შეუწყობს მის გამოსწორებას. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ სასამართლოები არცთუ ისე ხშირად იყენებენ ამ მუხლს. კერძოდ, 2016 წელს 500 ბრალდებულიდან პირობითი მსჯავრი შეეფარდა 284 პირს, მათგან სასამართლომ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო კურსის გავლა დაუნიშნა 5 მსჯავრდებულს (დაახლოებით 2%-ს), ამ კუთხით მონაცემები შედარებით გაუმჯობესებულია 2017 წელს და 741 განაჩენიდან, რომლითაც პირობითი მსჯავრი შეეფარდა 385 მოძალადეს, სსკ-ს 65-ე მუხლზე მითითებით, სავალდებულო სწავლების კურსის გავლა დაევალა 13 მსჯავრდებულს (დაახლოებით 3%-ს).

ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში¹³⁵ სილრმისეულად გამოიკვლია ბრალდებულის მხრიდან ძალადობის ჩადენის განმაპირობებელი ფაქტორები, მაგალითად, როგორიცაა დანაშაულის ჩადენა ალკოჰოლური თრობის ქვეშ. კერძოდ, პირს ბრალი ედებოდა ქალის (რომელთანაც მუდმივად ენეოდა ერთიან საოჯახო მეურნეობას) მიმართ განხორციელებულ ძალადობაში. სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების თანახმად: „ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე გ.კ-მ არასრულწლოვანი შვილების თანახმად დანაშაულებით, ღუმელზე მდგარი ცხელი ტაფა ფერის დარტყმით გაზრახ მოარტყა მარცხენა თეძოს არეში მ.ქ-ს“. მოსამართლემ საქმის მასალებით, დაცვის მხარის პოზიციითა და დაზარალებულის ჩვენებით გამოარკვია, რომ „დანაშაულებრივად შეფასებული ქმედების ბრალდებულის მიერ განხორციელების ერთ-ერთი მიზეზი გახდა ალკოჰოლური თრობა და ეს იყო მიზეზი ასევე წარსულში მათი დაპირისპირებისა, ირკვევა ასევე, რომ ბრალდებულსა და დაზარალებულს შორის ადრეც ჰქონ-

¹³¹ იქვე.

¹³² აშშ-ს სასჯელის განმსაზღვრელი კომისია არის დამოუკიდებელი ორგანო, რომელიც შეიქმნა 1984 წლის სასჯელის რეფორმის აქტის საფუძველზე. კონგრესის მიერ აღნიშნული აქტის მიღება განპირობებული იყო სასჯელთა განსაზღვრის არაერთგვიროვანი პრაქტიკის აღმოსაფხვრელად.

¹³³ იხ. <https://www.ussc.gov/sites/default/files/pdf/guidelines-manual/2016/GLMFull.pdf> გვ.424.

¹³⁴ სისხლის სამართლის კოდექსის 65-ე მუხლი.

¹³⁵ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 30 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/566-16.

და ადგილი გარკვეულ დაპირისპირებას, რომელიც არ გადაზრდილა დანაშაულში, რის გამოც სასამართლო მიიჩნევს, რომ სასჯელის ერთ-ერთი მიზნის – კერძო პრევენციის მიღწევა შეუძლებელია საქართველოს სსკ-ს 65-ე მუხლის მითითებული, ალკოჰოლური სასმელის მიღებისგან თავის შეკავებისა და ალკოჰოლიზმის მკურნალობის კურსის გავლის, ასევე ძალადობრივი ქცევის პროგრამაში ჩართვის მოვალეობის დაწესების გარეშე¹³⁶. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ ოჯახში ძალადობის თვის მსჯავრდებულ პირს დააკისრა ძალადობრივი ქცევის პრევენციის შესაბამის პროგრამაში ჩართვის ვალდებულება.

თბილისის საქალაქო სასამართლომ¹³⁷ მართებულად იმსჯელა სსკ-ს 65-ე მუხლის გამოყენების აუცილებლობაზე მაშინ, როდესაც 21-წლიანი თანაცხოვრების ბოლო პერიოდში ბრალდებული აზარტული თამაშებისა და ვალების გამო მეუღლის მიმართ გახდა აგრესიული და მასზე სისტემატურად ახორციელებდა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ ძალადობას. კერძოდ, „2016 წლის 25 ოქტომბერს, საკუთრ საცხოვრებელ სახლში დ.ფ-მ განახორციელა ოჯახური ძალადობა მეუღლის მიმართ და კვლავ არაერთხელ მიაყენა მას სიტყვიერი შეურაცხყოფა, რა დროსაც ამ უკანასკნელმა განიცადა ტანჯვა. ამავე დროს, დ.ფ-მ ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მსხვერპლს, კერძოდ, რამდენჯერმე გამეტებით ჩარტყა მუშტები სახისა და თავის არეში, ასევე ხელზე. ძლიერი ტკივილების გამო ი.დ-მ დაიწყო ყვირილი, რა დროსაც მეზობელმა გამოიძახა საპატრულო პოლიცია. ძალადობის შედეგად მსხვერპლმა მიიღო დაზიანებები და განიცადა ფიზიკური ტკივილი¹³⁸.¹³⁹ სასამართლომ განმარტა შემდეგი: „მოცემულ შემთხვევაში ვინაიდან დ.ფ-მ ჩაიდინა ოჯახური დანაშაული, სასამართლოს მისი პიროვნების, აზარტული თამაშებისადმი დამოკიდებულებისა და დაზარალებულისადმი მის მიერ ფაქტობრივად განხორციელებული ქმედებების (სისტემატური ძალადობის) გათვალისწინებით, მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ საქართველოს სსკ-ის 65-ე მუხლის საფუძველზე დაეკისროს მოვალეობა გაიაროს ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსი. სასამართლო აღნიშნავს, რომ დანიშნულ სასჯელთან ერთად დამატებითი ვალდებულების სახით ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლა გაზრდის სასჯელის მიზნების მიღწევის შესაძლებლობას და შეამცირებს დ.ფ-ს მხრიდან დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების (ახალი დანაშაულის ჩადენის) საფრთხეს, ასევე ხელს შეუწყობს მსჯავრდებულის რესოციალიზაციას. მსჯავრდებულს მიეცემა შესაძლებლობა გაიაზროს მის მიერ ჩადენილი ძალადობრივი ქმედებების ხასიათი, გააკეთოს სათანადო დასკვნები და საზოგადოებას დაუბრუნდეს კანონმორჩილი (გამოსწორებული) მოქალაქის სტატუსით¹³⁹.¹⁴⁰

სასამართლო საინტერესოდ ავითარებს მსჯელობას სხვა საქმეშიც,¹³⁹ სადაც მოძალადე იყო არასრულწლოვანი და ბრალად ედებოდა დედის მიმართ ფიზიკური შეურაცხყოფა. კერძოდ, მან რამდენჯერმე დაარტყა ხელი დედას გულმკერდისა და ზურგის არეში და ასევე დაარტყა ფეხი, რის შედეგადაც მსხვერპლმა განიცადა ფიზიკური ტკივილი. გარკვეული პერიოდის შემდეგ, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე ბრალდებულმა კვლავ მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა დედას. მან რამდენჯერმე დაარტყა ხელი მსხვერპლს მარცხენა მკლავის მიდამოში, ხოლო შემდეგ დაჭრა მარცხენა მკლავის არეში. ბრალდებულისთვის სასჯელის განსაზღვრისას სასამართლომ მხედველო-

¹³⁶ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 30 იანვრის განაჩენი, საქმე №1/5307-16.

¹³⁷ იქვე.

¹³⁸ იქვე.

¹³⁹ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 20 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/447-17.

ბაში მიიღო დანაშაულის მოტივი (გაბრაზება), მიზანი (დაზარალებულისათვის ფიზიკური ტკივილის მიყენება), ბრალდებულის მიერ მოვალეობათა დარღვევის ხასიათი და ზომა (ძალადობა დედის, ანუ იმ პირის მიმართ, ვინც ბრალდებულისათვის ყველაზე ახლობელია, ზრუნავს მასზე და მის გარდა ოჯახის სხვა წევრი არ ჰყავს), ქმედების განხორციელების სახე და ხერხი (გულმკერდის, ზურგისა და მკლავის არეში ხელის დარტყმა, ფეხში ფეხის ჩარტყმა, მკლავის არეში დაჭრა), მართლსაწინააღმდეგო შედეგი (ტკივილის მიყენება), ბრალდებულის წარსული ცხოვრება (არ არის ნასამართლევი), პირადი და ეკონომიკური პირობები (ოჯახში ცხოვრობს დედასთან ერთად, რომელიც მისი ოჯახის ერთადერთი წევრია, უარი თქვა სწავლის გაგრძელებაზე, არის დედის კმაყოფაზე), ყოფაქცევა ქმედების შემდეგ (აღიარა დანაშაული, ხელი შეუწყო სწრაფი მართლმსაჯულების განხორციელებას, დანაშაულის შემდეგ გარკვეული პერიოდი ცხოვრობდა ნათესავთან, თუმცა მოცემული დროისათვის მიმდინარეობს დაზარალებულთან შერიგების პროცესი და ცხოვრობს მასთან ერთად), ბრალდებულის ასაკი (არის არასრულწლოვანი – 14 წლის), ბრალდებულის პიროვნება (ახასიათებს ფსიქოლოგიური სირთულეები, ემოციური არამდგრადობა, აქვს კონფლიქტურ ვითარებაში მიღრეკილება ძალადობისკენ). წინამდებარე საქმეში სასამართლომ მნიშვნელოვანად გაითვალისწინა კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვნის ინდივიდუალური შეფასების ანგარიში და აღნიშნა: „კანონსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული შედეგების სრულად გასაცნობიერებლად, მიზანშეწონილია მოზარდი ჩაერთოს დანაშაულის გაცნობიერების სარეაბილიტაციო პროგრამაში; საკუთარი ქცევისა და ემოციების მართვის მიზნით, ჩაერთოს იმპულსური ქცევისა და პრაზის მართვის სარეაბილიტაციო პროგრამაში; სარისკო ქცევასთან დაკავშირებული ქმედების გააზრების მიზნით გაიაროს კონსულტაცია სოციალურ მუშაკთან; სტრესულ სიტუაციებთან გასამკლავებლად საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, ჩაერთოს სტრესის მართვასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო პროგრამაში; საბაზისო განათლების მიღების აუცილებლობასა და მისი მნიშვნელობის გააზრებასთან დაკავშირებით მოზარდს და მშობელს გაეწიოთ კონსულტაცია სოციალური მუშაკისგან; ოჯახის მხარდაჭერის მიზნით, მიზანშეწონილია მოზარდისა და დედის ჩართვა ფსიქოლოგთან როგორც ინდივიდუალურად, ასევე ჯგუფურად; თავისუფალი დროის შემცირებისა და ინტერესთა სფეროს გაღრმავების მიზნით, ჩაერთოს მომავლის დაგეგმვასთან დაკავშირებულ სარეაბილიტაციო პროგრამაში“¹⁴⁰.


აღსანიშნავია, რომ „ფსიქიატრიული დახმარების შესახებ“ საქართველოს კანონის 22¹-ე მუხლის თანახმად, სისხლის სამართლის საქმის განმხილველი სასამართლო უფლებამოსილია პირის მიმართ გამოიყენოს იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა, თუ არსებობს შემდეგი ორი საფუძველი: ა) ფსიქიკური აშლილობის გამო პირს არ აქვს გაცნობიერებული გადაწყვეტილების მიღების უნარი და მისთვის ფსიქიატრიული დახმარების განევა შეუძლებელია სტაციონარში მოთავსების გარეშე; ბ) ფსიქიკური აშლილობის გამო არსებობს პირის საკუთარი თავისთვის ან/და სხვა პირისთვის ზიანის, მუქარის ან/და ძალადობის შემცველი ქცევის რისკი. იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის ჩატარების მიზნით პირი სტაციონარში თავსდება სსკ-ს 191-ე მუხლის (სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა საქმის არსებითი განხილვის დროს. შეურაცხაბის საკითხის განხილვა) მე-2 ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენის საფუძველზე.

კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობა 2016-2017 წელს დაენიშნა 4 მსჯავრდებულს¹⁴¹, აქედან 3 შემთხვევაში დაკმაყოფილდა

¹⁴⁰ იქვე.

¹⁴¹ აღნიშნული მონაცემები ეფუძნება პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მოწოდებულ ინფორმაციას.

პროცესურატურის შუამდგომლობა სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის, აღკვეთის ღონისძიების გაუქმებისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დაწესების შესახებ, ერთ საქმეში¹⁴² კი სასამართლომ თავად იმსჯელა დანიშნული სასჯელის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პირობებში მოხდის აუცილებლობაზე, სადაც ბრალდებულს ბრალად ედებოდა არასრულნლოვანი პირის თანდასწრებით დედის მიმართ ფიზიკური ძალადობის განხორციელება. სასამართლომ ფაქტობრივი გარემოებების გამოკვლევის შემდეგ სასჯელის დანიშვნისას აღნიშნა შემდეგი: პირდაპირი განზრახვით ჩადენილია ძალადობრივი, ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაული, ადგილი ჰქონდა დაზარალებულის სიტყვიერ შეურაცხყოფას. ქმედება ჩადენილ იქნა სიმთვრალეში. მნიშვნელოვანია, რომ რ.ჯ-ს ქმედებები უარყოფითად აისახება არასრულწლოვნის ფსიქიკაზე. აღნიშნული მიუთითებს ბრალდებულის საზოგადოებრივ საშიშროებასა და ნების სიმტკიცის დაბალ ხარისხზე. ამავე დროს საგულისხმოა ის გარემოება, რომ სტაციონალური სასამართლო ფსიქიატრიული ექსპერტიზის დასკვნით რ. ჯ. დანაშაულის ჩადენის დროს ქრონიკული ფსიქიკური ავადმყოფობით, ფსიქიკის დროებითი აშლილობით ან ჭკუასუსტობით დაავადებული არ იყო, მას აღნიშნებოდა ემოციურად არამდგრადი პერონილოგიური აშლილობა გართულებული ალკოჰოლიზაციით და შეეძლო სრულად გაეცნობიერებინა თავისი ქმედების ფაქტობრივი ხასიათი და მართლწინააღმდეგობა და ეხელმძღვანელა მისთვის (შეზღუდული შერაცხადობა). შესაბამისად, ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და დამნაშავის რესოციალიზაციის მიზნების მისაღწევად, სასჯელის ინდივიდუალიზაციის პრინციპიდან გამომდინარე, სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია სასჯელის სახით თავისუფლების აღკვეთის გამოყენება მინიმუმზე მაღალი ზომით, რომლის მოხდაც მოძალადეს დაენიშნა ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის პირობებში¹⁴³.



წინამდებარე დიაგრამაზე წარმოდგენილია სასამართლოს მიერ ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსისა და იძულებითი ფსიქიატრიული მკურნალობის დანიშნულის რაოდენობრივი მონაცემები 2016-2017 წლებში გამოტანილი განაჩენების მიხედვით. კერძოდ, დადებითად უნდა შეფასდეს ის ფაქტი, რომ 2017 წელს, წინა წელთან შედარებით გაუმჯობესდუ-

¹⁴² ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/650-2016.

¹⁴³ იქვე.

ლია სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართულებით, განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ თბილისის საქალაქო სასამართლო, რომლის განაჩენებშიც ყველაზე ხშირად შეგვხვდა მსჯელობა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის აუცილებლობაზე. კვლევის შედეგად გამოვლინდა, რომ ოჯახში სისტემატური ძალადობის ჩამდენ პირთა უმეტესობა ძალადობრივ ქმედებას ახორციელებს აღკოჰოლური თრობის ქვეშ, რაც თავის მხრივ, კი-დევ ერთხელ წარმოაჩენს სასამართლო პრაქტიკის სიმწირეს სასჯელთან ერთად სა-თანადო სამკურნალო სავალდებულო კურსების დანიშვნასთან დაკავშირებით.

რეკომენდაცია:

- დანაშაულის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, სასამართლომ სწორად შე-აფასოს ბრალდებულის ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სათანადო სამკურნალო კურსის გავლის საჭიროება.¹⁴⁴

3. აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა

აღკვეთის ღონისძიება წარმოადგენს საპროცესო იძულების ღონისძიების სახეს, რო-მელიც გამოიყენება მხოლოდ ბრალდებულის მიმართ, როდესაც არსებობს მისი მი-მალვის ან სასამართლოში გამოუცხადებლობის, საქმისთვის მნიშვნელოვანი ინფორ-მაციის განადგურების ან ახალი დანაშაულის ჩადენის დასაბუთებული ვარაუდი. სა-ქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით „აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანი არ არის პირის ბრალეულობის მტკიცება, იგი წარმოადგენს მარ-თლმსაჯულების ჯეროვანი განხორციელების ხელშეშლის პრევენციის საშუალებას“.¹⁴⁵

მას შემდეგ, რაც დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტით მიჩნეულ იქნება ზოგადად აღკვეთის ღონისძიების გამოყენების მიზანშეწონილობა, პროკურორს ეკისრება ვალ-დებულება, წარმოადგინოს დასაბუთება აღკვეთის ღონისძიების კონკრეტული სახის გამოყენების პროპორციულობასთან დაკავშირებით.

პროპორციულობის დაცვის მიზნებისთვის, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექ-სი აწესებს აღტერნატიული სახის აღკვეთის ღონისძიებებს, რომლებიც ერთმანეთის-გან სიმკაცრის მიხედვით განსხვავდება. ამასთან, საპროცესო კოდექსი ადგენს პრო-კურორის ვალდებულებას დაასაბუთოს, რატომ არის საჭირო კონკრეტული აღკვე-თის ღონისძიების გამოყენება და ამასთან, რატომ ვერ იქნება მიზანი მიღწეული სხვა, ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების გამოყენებით.¹⁴⁶

აღკვეთის ღონისძიების შეფარდებისას აუცილებელია სასამართლომ შეაფასოს საქ-მის ვითარება, საფრთხეები და ბრალდებულის პიროვნება, ასევე გათვალისწინებულ უნდა იქნეს ცალკეული საქმეებისთვის დამახასიათებელი სპეციფიკა.


¹⁴⁴ Handbook for Legislation on Violence against Women, United Nations, 2010, p.53.

¹⁴⁵ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 26 ივნისის საოქმო ჩანაწერი №646, II-40.

¹⁴⁶ [ob.\[http://ewmiprolog.org/images/files/2414Application_of_Preventive_Measures_in_Criminal_Proceedings_GEO_Coalition.pdf\]\(http://ewmiprolog.org/images/files/2414Application_of_Preventive_Measures_in_Criminal_Proceedings_GEO_Coalition.pdf\)](http://ewmiprolog.org/images/files/2414Application_of_Preventive_Measures_in_Criminal_Proceedings_GEO_Coalition.pdf)

მართალია, სასამართლოების მხრიდან ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების შეფარდების საკითხის დასაბუთებულობის შესწავლა ამ კვლევის ფარგლებს მიღმაა, თუმცა წარმოდგენილი ქვეთავი მიმოიხილავს აღკვეთის ღონისძიების გამოყენების ზოგად სურათს, რომლიდანაც ჩანს, რომ გირაოს გამოყენების ხვედრითი წილი საერთო სტატისტიკაში საკმაოდ მაღალია. მონაცემები ასევე ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ პირებს ხშირად ეფარდებათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა. სწორედ ამგვარ დანაშაულებზე 2016 წელთან შედარებით 2017 წელს, ბრალდებულთა საერთო რაოდენობის ზრდასთან ერთად, გაზრდილია 19%-ით აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი.

აღკვეთის ღონისძიების გამოყენების პრაქტიკა ოჯახში ძალადობაში ბრალდებული პირების მიმართ:



აღსანიშნავია, რომ გირაო, მიუხედავად მისი არასაპატიმრო ხასიათისა, მჭიდროდ არის დაკავშირებული საპატიმრო ღონისძიებებთან, ვინაიდან გირაოს შეფარდება შესაძლოა, მოხდეს პატიმრობის უზრუნველყოფით. კვლევის ფარგლებში შესწავლილი საქმეებიდან გამოვლინდა, რომ 2016-2017 წლებში ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ აღკვეთის ღონისძიების სახით გირაოს გამოყენების მთლიან მაჩვენებელში (504 შემთხვევაში) 7 იყო გირაო პატიმრობის უზრუნველყოფით. ამასთან, გირაოს გადაუხდელობამ შეიძლება გამოიწვიოს ბრალდებულისთვის უფრო მკაცრი აღკვეთის ღონისძიების, კერძოდ, პატიმრობის შეფარდება. აღნიშნული კი შესაძლებელია მოტივირებული იყოს გირაოს სახით არაგონივრულად დიდი თანხების ან გირაოს თანხის გადახდისთვის მცირე დროის შეფარდებით.

აღკვეთის ღონისძიების სახე – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ ყველაზე მსუბუქი აღკვეთის ღონისძიებაა. მისი მიზანია ბრალდებულის უფ-

ლებების მინიმალური მოცულობით შეზღუდვის გზით საგამოძიებო და სასამართლო წარმოებაში ბრალდებულის მონაწილეობის უზრუნველყოფა და მისი მხრიდან გამოიძიების/სასამართლო განხილვისთვის ხელის შეშლის თავიდან აცილება.¹⁴⁷ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ, აღნიშნულ აღკვეთის ღონისძიების სახეს 2016 წელს აქტიურად იყენებდა გურჯაანის რაიონული სასამართლო, ხოლო 2017 წელს – ქუთაისის საქალაქო სასამართლო, კერძოდ:



და ბოლოს, უნდა ითქვას, რომ ოჯახური დანაშაულის ან ოჯახში ძალადობის ფაქტის არსებობა ავტომატურად არ გულისხმობს ბრალდებულის მიმართ აღკვეთის ღონისძიების ან ყველაზე მკაცრი ღონისძიების გამოყენების აუცილებლობას. თუმცა მნიშვნელოვანია, რომ სხვა გარემოებებთან ერთად შეფასდეს დანაშაულის სპეციფიკა და დაზარალებულის უსაფრთხოების საკითხი.¹⁴⁸

¹⁴⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის კომენტარი, 2015 წელი, გვ. 583.

¹⁴⁸ [იხ. <https://gyla.ge/ge/post/qalta-mimart-dzaladobis-saqmeebi#sthash.0n6bi6M7.dpbs> გვ.11.](https://gyla.ge/ge/post/qalta-mimart-dzaladobis-saqmeebi#sthash.0n6bi6M7.dpbs)

გამამართლებელი განაჩენები

საქართველოს კონსტიტუცია¹⁴⁹ ერთმნიშვნელოვნად ადგენს, რომ: „დადგენილება პრალდებულის სახით პირის პასუხისმებაში მიცემის შესახებ, საბრალდებო დასკვნა და გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდა კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს პრალდებულის სასარგებლოდ“. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი ეხება მტკიცებულების განსაზღვრებას აღნიშნული კოდექსის მიზნებისათვის. მტკიცებულება ნარმოადგენს ინფორმაციის წყაროს, რომელმაც შეიძლება დაადასტუროს ან უარყოს პრალდებული პირის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. მტკიცებულებების მეშვეობით სასამართლო ადგენს „არსებობს თუ არა ფაქტი ან ქმედება, რომლის გამოც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი, ჩაიდინა თუ არა ეს ქმედება გარევეულმა პირმა, დამნაშავეა თუ არა იგი, აგრეთვე გარემოებებს, რომლებიც გავლენას ახდენს პრალდებულის პასუხისმგებლობის ხასიათსა და ხარისხზე, ახასიათებს მის პიროვნებას“.¹⁵⁰ ამ მუხლის მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ მტკიცებულება მხოლოდ სასამართლოსათვის წარდგენილი ინფორმაციაა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ მტკიცებულების (ინფორმაციის) მხარის მიერ სასამართლოსათვის წარდგენა, ამ მასალას ავტომატურად არ აქცევს გასაზიარებელ მტკიცებულებად, რადგან წარდგენის შემდეგ მტკიცებულება უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის საქმესთან მისი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით (სსსკ-ის 82-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), რადგან არც ერთ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა (სსსკ-ის 82-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

სსსკ-ის შესაბამისად:¹⁵¹ „მოწმის ჩვენება არის მოწმის მიერ სასამართლოში მიცემული ინფორმაცია სისხლის სამართლის საქმის გარემოებათა შესახებ“. დაზარალებული წარმოადგენს საკუთარი პროცესუალური უფლებამოსილებით აღჭურვილ პროცესის დამოუკიდებელ მონაბნილეს. სსსკ-ის 47-ე მუხლის თანახმად კი, სასამართლოში ჩვენების მიცემისას მოწმის სტატუსით სარგებლობს, მისი უფლებები ენიჭება და მისი მოვალეობები ეკისრება დაზარალებულს. სსსკ-ის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, მოწმეს უფლება აქვს „არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს“. ეს უკანასკნელი გამომდინარეობს საქართველოს კონსტიტუციიდან, რომლის 42-ე მუხლის მე-8 ნაწილი პირდაპირ ადგენს, რომ „არავინ არ არის ვალდებული მისცეს თავისი ან იმ ახლობელთა საწინააღმდეგო ჩვენება, რომელთა წრეც განისაზღვრება კანონით“.

ოჯახში ძალადობის ფაქტების მზარდი რაოდენობის მიუხედავად, პრაქტიკაში ხშირად პრობლემას ქმნის დაზარალებულის (მოწმის) უარი ჩვენების მიცემაზე ან ჩვენების შეცვლა, რაც უმეტესწილად ხდება პროკურატურის მხრიდან სისხლის სამართლებრივი დევნის შეწყვეტის ან სასამართლოს მიერ გამამართლებელი განაჩენის გამოტანის განმაპირობებელი ერთ-ერთი საფუძველი. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ნოემბრის საქმეში,¹⁵² მომხდარი ოჯახში ძალადობის ფაქტის უშუალო თვითმხილველი მოწმე არ არსებობდა. ერთადერთი მოწმე, რომელსაც შეეძლო სასამართლოსთვის მიეწოდებინა ინფორმაცია მის მიმართ განხორ-

¹⁴⁹ საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის მე-3 ნაწილი.

¹⁵⁰ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 23-ე ნაწილი.

¹⁵¹ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 24-ე ნაწილი.

¹⁵² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2016 წლის 17 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/3149-16.

ციელებული ძალადობისა და მიყენებული ზიანის შესახებ, იყო თავად დაზარალებული, რომელმაც სასამართლო სხდომაზე ისარგებლა მოწმის უფლებით და არ მისცა ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელდა მის ახლო ნათესავს (აღნიშნულ შემთხვევაში დაზარალებულის ახლო ნათესავი იყო მოსი ყოფილი მეულლე), შესაბამისად, ბრალდებული გამართლდა.

დაზარალებულს ჩვენების მიცემაზე უარის თქმის მრავალი, მათ შორის, ლოგიკური საფუძველი შეიძლება პქონდეს, მაგალითად, 1) შერიგების შესაძლებლობა, ხოლო ჩვენებამ შესაძლებელია ცოლქმრულ ურთიერთობას საფრთხე შეუქმნას; 2) შიში ფინანსურ უსაფრთხოებასთან დაკავშირებით; 3) ბავშვების კეთილდღეობაზე ფიქრი; 4) ოჯახის სხვა წევრების მხრიდან ზენოლა, არ მისცეს ჩვენება; 5) კულტურული თუ რელიგიური შეხედულებები, რომლითაც დაგმობილია და ოჯახიდან განდევნას ინვეს მეულლის წინააღმდეგ ჩვენების მიცემა; 6) ძალადობის სისტემატურობიდან გამომდინარე, დაზარალებული მოწმის მიერ ძალადობის მსხვერპლად საკუთარი თავის აღმის პრობლემა; 7) მარტობის შიში, ბრალდებულის მიმართ გრძნობა ან ზოგიერთ შემთხვევაში, სასამართლო პროცესის შიში, ინფორმაციული ვაკუუმი, რამაც შესაძლოა გამოიწვიოს მეორეული ვიქტიმიზაცია.¹⁵³ ამ მხრივ მნიშვნელოვანია, ევროკავშირის 2012 წლის 12 სექტემბერს მიღებული დირექტივა,¹⁵⁴ რომელიც ევროკავშირის წევრი ქვეყნებისთვის ადგენს ძალადობის მსხვერპლთა უფლებების, დაცვისა და მხარდაჭერის მინიმალურ სტანდარტებს. დირექტივის მიღების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა უზრუნველეყო წევრი ქვეყნების სისხლის სამართლის მართლმსაჯულების სისტემებში დანაშაულის მსხვერპლის მინიმალური უფლებებით აღჭურვა, მათი ემოციური და ფსიქოლოგიური მხარდაჭერა სასამართლო პროცესის დაწყებამდე. დირექტივის მიხედვით, ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდეგ სამ საკითხზე: 1) დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდება უნდა მოხდეს პირველივე შესაძლებლობისთანავე და მთელი სამართალწარმოების განმავლობაში; 2) სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას დაზარალებული უზრუნველყოფილი უნდა იყოს ფსიქოლოგიური ან ემოციური მხარდაჭერით; 3) დაკითხვის ან ჩვენების მიცემის დროს არ მოხდეს (ან მინიმუმამდე იქნეს დაყვანილი) დაზარალებულისთვის ფსიქოლოგიური ან ემოციური ზიანის მიყენება, მისი ღირსება და უსაფრთხოება უნდა იყოს დაცული.¹⁵⁵


საქართველოს პროკურატურისა და სასამართლოსთვის მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური დანაშაულების საქმეებზე ეფექტური და გენდერულად მგრძნობიარე მართლმსაჯულების განხორციელება. როგორც უკვე აღინიშნა ოჯახურ დანაშაულებზე დაზარალებულის ჩვენება წარმოადგენს უმნიშვნელოვანებს მტკიცებულებას. დაზარალებულის პირველივე დაკითხვა უნდა იყოს შედლებისდავგარად ამომწურავი. დაკითხვის დროს გამოყენებული მეთოდოლოგია, მაქსიმალურად უნდა გამორიცხავდეს მისი მეორეული ვიქტიმიზაციის საფრთხეს. სასამართლო პროცესზე პროკურორმა და მოსამართლემ მაქსიმალურად უნდა უზრუნველყონ დაზარალებულის დაცვა ბრალდებულის ზენოლისაგან, რაც განსაკუთრებით ხშირი და ადვილია, როდესაც საქმე ეხება ოჯახის წინააღმდეგ ჩვენების მიცემას.

¹⁵³ M. Burton, R. Evans and A. Sanders, Are Special Measures for Vulnerable and Intimidated Witnesses Working? Evidence from the Criminal Justice Agencies, Home Of?ce Online Report 01/06 (Home Of?ce: London, 2006); J. Doak, Victims' Rights, Human Rights and Criminal Justice: Reconceiving the Role of Third Parties (Hart Publishing: Oxford and Portland, 2008) p.325.

¹⁵⁴ [ob.https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/7a3b26f8-5c51-11e3-914b-01aa75ed71a1](https://publications.europa.eu/en/publication-detail/-/publication/7a3b26f8-5c51-11e3-914b-01aa75ed71a1).

¹⁵⁵ Shamini L. Ragavan, The Compellability Rule in England and Wales: Support for the Spouse of the Defendant, p.316.

კვლევის ფარგლებში შესწავლილ იქნა 1236 საქმე. მათ შორის, გამამართლებელ განაჩენთა რაოდენობა იყო 31:



შესწავლილი და გაანალიზებული 31 გამამართლებელი განაჩენიდან (2016-2017 წლები)¹⁵⁶ გამოჩნდა, რომ 24-მა დაზარალებულმა (მოწმემ) ისარგებლა მისთვის საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მინიჭებული უფლებით და არ მისცა ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს.¹⁵⁷ მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის განაჩენის თანახმად,¹⁵⁸ დაზარალებულმა სასამართლო სხდომაზე უარი განაცხადა თავისი ახლო ნათესავის (ყოფილი მეუღლის) წინააღმდეგ ჩვენების მიცემაზე და თან განმარტა, რომ გამოძიების ეტაპზე მის მიერ სამართალდამცავი ორგანოებისათვის მიწოდებული ინფორმაცია რეალურად წარმოადგენდა „ემოციურ ფონზე მოვლენათა გადაჭარბებულ შეფასებას და არა ფაქტების რეალურ აღწერას“.

2016 წელი:

სასამართლო	გამამართლებული განაჩენების რაოდენობა	დაზარალებულმა ისარგებლა სსკის 49-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქ/პუნქტით გათვალისწინებული უფლებით	დაზარალებულმა დაზარალებულმა სასამართლოში ჩვენება შეცვალა ბრალდებულის სასარგებლოდ	დაზარალებულის ჩვენება არ დადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა სსკა მიწმებამ	სსკა საფუძვლით დამდგარი გამამართლებელი განაჩენი
თბილისის საქალაქო	1	1	0	0	0
ქუთაისის საქალაქო	1	1	0	0	0
მცხოვის რაიონული	1	0	0	0	1
გურჯაანის რაიონული	1	0	1	0	0
ზესტაფინის რაიონული	1	0	0	0	1
სატერედიის რაიონული	1	1	0	0	0

¹⁵⁶ 31 გამამართლებელ განაჩენში იყო 32 ბრალდებული, ხოლო დაზარალებული – 36.

¹⁵⁷ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქ/პუნქტი.

¹⁵⁸ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/2594-16.

2017 წელი:

სასამართლო	გამამართლებული განაჩენების რაოდენობა	დაზარალებულმა ისარგებლა სსსკ-ის 49-ე მუხლის 1-ლა ნაწილის „დ“ ქვეწეტით გათვალისწინებული უფლებით	დაზარალებულმა სასამართლოში ჩვენება შეცვალა ბრალდებულის სასარგებლოდ	დაზარალებულის ჩვენება არ დაადასტურეს სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა სხვა მოწმეებმა
თბილისის საქალაქო	13	9	1	3
ქუთაისის საქალაქო	3	6	0	0
თეთრიწყაროს რაიონული	1	1	0	0
რუსთავის საქალაქო	1	1	0	0
ბოლნისის რაიონული	2	2	0	0
სამტრედიის რაიონული	5	2	1	2

იმის გათვალისწინებით, რომ არის შემთხვევები, როდესაც ბრალდებულები იყენებენ დუმილის უფლებას, ხოლო მისი ოჯახის წევრები ჩვენებას არ აძლევენ ახლო ნათესავის წინააღმდეგ, სასამართლოს ხშირად შესაფასებლად რჩება, მხოლოდ სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა და ირიბი ჩვენება.

მსხვერპლის სხეულზე რაიმე ფიზიკური დაზიანებების არსებობის პირობებშიც კი, თუ არ არსებობს დაზარალებულის ან/და სხვა მოწმეების ჩვენებები, „ექსპერტიზის დასკვნა არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს უტყუარ მტკიცებულებად დაზიანების მიმყენებელი პირის იდენტიფიცირების კონტექსტში, ვინაიდან სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების შედეგად შესაძლებელია დაზიანების არსებობის, რაოდენობის, მისი სიმძიმისა და ლოკალიზაციის და არა მისი მიმყენებელი პირის განსაზღვრა“.¹⁵⁹ პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად კი აუცილებელია დადგინდეს, რომ ეს დაზიანებები კონკრეტულმა პირმა მიაყენა დაზარალებულს და აღნიშნული ქმედება იყო ბრალეული.

რაც შეეხება ირიბ ჩვენებას, თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ განხილულ საქმე-ში¹⁶⁰ ბრალდების მხარე უთითებდა მოწმის ჩვენებაზე, რომელიც სასამართლოს მოუთხრობდა დაზარალებულის მიერ მისთვის მინოდებულ ინფორმაციას ყოფილი მეუღლის მხრიდან მის მიმართ ძალადობის განხორციელების შესახებ, რის გამოც მოცემულ შემთხვევაში იგი არის ირიბი მოწმე, რამდენადაც პირადად მას ბრალდებულის მხრიდან დაზარალებულზე განხორციელებული რაიმე დანაშაულებრივი ქმედება არ დაუნახავს. სსსკ-ის 76-ე მუხლის 1-ლი ნაწილის თანახმად, „ირიბია მოწმის ის ჩვენება, რომელიც ეფუძნება სხვა პირის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას“, ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით: „სასამართლოში საქმის არსებითი განხილვის დროს ირიბი ჩვენება დასაშვები მტკიცებულებაა, თუ იგი დასტურდება სხვა ისეთი მტკიცებულებით, რომელიც არ არის ირიბი ჩვენება“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, განმარტა, რომ „ირიბი ჩვენება, ზოგადად ნაკლებად სანდო მტკიცებულებაა, მისი გამოყენება შეიცავს პირის ბრალეულობასთან დაკავშირებით მცდარი აღქმის შექმნის საფრთხეს“,¹⁶¹ რადგან ირიბი ჩვენება ეყრდნობა სხვა წყაროდან მოპოვებულ ინფორმაციას.

¹⁵⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 17 ივლისის განაჩენი, საქმე №1/1385-17.

¹⁶⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 სექტემბრის განაჩენი, საქმე №1/2594-16.

¹⁶¹ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე საქართველოს მოქალაქე ზურაბ მიქაელ საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, 2015 წლის 22 იანვარი, სამოტივაციო ნაწილი, პუნქტი 52.

აქვე უნდა ითქვას, რომ უდანაშაულობის პრეზუმციის დარღვევას ექნება ადგილი მა-შინ, როდესაც განაჩენიდან ირკვევა, რომ პირი მსჯავრდებულ იქნა მისი ბრალეულო-ბის მიმართ ეჭვების არსებობის მიუხედავად.¹⁶² *In dubio pro reo* პრინციპიდან გამომდი-ნარეობს, რომ ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლობა. მცხეთის რაიონული სასამარ-თლოს მიერ განხილულ საქმეში¹⁶³, პირს ბრალი ედებოდა ცოლის მიმართ ჩადენილ ფი-ზიკურ ძალადობაში. ბრალდების მხარეს წარმოდგენილი ჰქონდა ერთადერთი პირდა-პირი ხასიათის მტკიცებულება დაზარალებულის ჩვენების სახით, რომელიც გამყარე-ბული იყო კიდევ ერთი მტკიცებულებით – სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. აღსა-ნიშნავია, რომ სხდომაზე დაკითხული მოწმეები ცოლ-ქმრის კამათს პირადად არ შეს-წრებიან და აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ ბრალდებულისგან ან და-ზარალებულისგან, შესაბამისად, ისინი აძლევდნენ ირიბ ჩვენებას. სასამართლომ მი-იჩნია, რომ დაზარალებულის ჩვენება და სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა ვერ იქნე-ბა მიჩნეული საქმარის მტკიცებულებად გამამტკუნებელი განაჩენის გამოსატანად, შემდეგ გარემოებათა გამო: „სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა ბრალდებულმა, აგ-რეთვე მოწმე ჯ.მ-მ (ბრალდებულის მამამ) განმარტეს, რომ დაზარალებული ნერვიუ-ლი პიროვნებაა და რამდენჯერმე იყო შემთხვევა, როდესაც აღელვებისას იგი ძირს ეცე-მოდა და თავში ირტყამდა ხელებს. ეს გარემოება დაკითხვისას ასევე დაადასტურა მოწ-მე ლ.მ-მ (დაზარალებულის დედამ). აღნიშნულის გათვალისწინებით დაზარალებულის ჩვენება მოკლებულია სარწმუნობას და უტყუარობას, რადგან არ გამოირიცხება ეჭ-ვი, რომ მის სხეულზე არსებული სისხლნაუღენთები და ნაჭდევები შესაძლოა, განვითა-რებული იყოს ბრალდებულის მიერ აღწერილ ვითარებაში, თვითდაზიანების გზით“.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში,¹⁶⁴ ქალს ბრალი ედე-ბოდა ქმრის ბებიის მიმართ ჩადენილ ფიზიკურ ძალადობაში. სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა (თ.ზ-მ) განმარტა, რომ ბრალდებულის საძინებელ ოთახში ნახა მეზობელი მამაკაცი, რის გამოც სიტყვიერი შეკამათება მო-უვიდა 6.ხ-სთან (ბრალდებულთან). აღნიშნულის შემდეგ იგი წავიდა ბაზარში და რო-დესაც უკან დაბრუნდა, სახლში არავინ დახვდა. იმავე დღეს, დაზარალებული წავიდა 6.ხ-ს ბებიასთან, რომელსაც უამბო მომხდარის შესახებ. მეორე დღეს კი მასთან სახ-ლში მივიდა ბრალდებული მამასა და ძმასთან ერთად. თ.ზ-მ ბრალდებულს უყვირა, რატომ მივიდა მის სახლში. ცოტა ხანში ასევე სახლში მივიდა 6.ხ-ს ქმარი – ი.ზ. ცოლ-ქმარს შორის მოხდა სიტყვიერი შეკამათება. ასევე ი.ზ-სა და ბრალდებულის ძმას შო-რის მოხდა ფიზიკური დაპირისპირება, რა დროსაც დაზარალებული შეეცადა მათ გაშ-ველებას. ამ დროს, ბრალდებული მივიდა მასთან და სახის არეში ჩამოკანრა. დათქმის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამწუხაროდ, ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენიდან არ იკითხება, იყვნენ თუ არა სასამართლო სხდომაზე მოწმის სახით და-კითხულები ის პირები, რომლებზეც დაზარალებული მიუთითებდა თავის ჩვენებაში. სასამართლომ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში, თ.ზ-ს გარდა სახეზე ჰქონდა მხოლოდ ჯ.ნ-ს ჩვენება, რომლის განმარტებით, კონფლიქტი ორ ქალბატონს – ბრალ-დებულსა და დაზარალებულს შორის იყო, შესაბამისად, კონფლიქტის დროს ეს ორი ქალბატონი იყო ადგილზე და სავარაუდოდ, 6.ხ-მ მიაყენა დაზიანება თ.ზ-ს. აღნიშნუ-ლის გათვალისწინებით ჯ.ნ-ს ჩვენება დამყარებულია ვარაუდზე. სასამართლომ გან-მარტა, რომ „მოწმე სისხლის სამართლის პროცესში სისხლის სამართლის საქმის გარე-მოებათა დასადგენად უმნიშვნელოვანეს როლს თამაშობს. იგი სასამართლოში იძლე-

¹⁶² შტეფან ტრექსელი, ადამიანის უფლებები სისხლის სამართლის პროცესში, 2009 წელი, გვ.196.

¹⁶³ მცხეთის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 11 აგვისტოს განაჩენი, საქმე №1/208-15.

¹⁶⁴ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 14 ივნისის განაჩენი, საქმე №1/15-2016.

ვა ჩვენებას სისხლის სამართლის საქმისათვის მნიშვნელოვანი იმ ფაქტობრივი გარე-მოებების შესახებ, რომელიც პირდაპირ დაინახა, მოისმინა ან სხვაგვარად შეიტყო. შესაბამისად, მოწმის ჩვენების საგანი შეიძლება იყოს მხოლოდ ინფორმაცია გარკვეული მოვლენების შესახებ და არა მოწმის სუბიექტური შეხედულება და დასკვნა ფაქტების შესახებ. ამრიგად, მოწმის ჩვენების საგანს წარმოადგენს მოწმის მიერ პერსონალურად აღქმული წარსული თუ მიმდინარე, პოზიტიური ან ნეგატიური, გარეგანი ან შინაგანი და ასევე პიროვეტური გარემოებათა შესახებ ინფორმაცია. მოწმის ჩვენების საგანს არ წარმოადგენს ინდივიდუალური შეფასებები, დასკვნები, პროგნოზები და თვალთახედვები სამართლებრივ და სხვადასხვა გარემოებათა შესახებ“.

სასამართლომ აღნიშნა, რომ ნ.ხ-ს მიერ თ.ზ-ს მიმართ ძალადობის განხორციელებაზე მიუთითებს მხოლოდ დაზარალებული თ.ზ-ს ჩვენება. სხვა პირდაპირი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა ნ.ხ-ს მიერ დანაშაულის ჩადენას, საქმის მასალებში არ მოიპოვება. ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ ბრალდებული, მტკიცებულებათა არასაკმარისობის გამო, უნდა გამართლებულიყო.

მსგავს შემთხვევებში შეიძლება ვისაუბროთ მხოლოდ ვარაუდზე და არა სასამართლოში გამოკვლეული მტკიცებულებების შედეგად ცალკეული ფაქტების არსებობაზე, რომელთა გამოკვლევის შედეგად არ უნდა დარჩეს გონივრული ეჭვი ბრალდებულისათვის წარდგენილი ბრალდების ჭეშმარიტებაში, წინააღმდეგ შემთხვევაში, როგორც უკვე აღვნიშნეთ ნებისმიერი „ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის (მსჯავრდებულის) სასარგებლოდ“.¹⁶⁵

პრაქტიკაში ასევე გხვდება დაზარალებულის მხრიდან ჩვენების შეცვლის შემთხვევებიც, როდესაც იგი საქმის არსებითი განხილვისას მიცემულ ჩვენებაში არ ადასტურებს გამოძიების დროს მის მიერ მითითებულ გარემოებებს და უდავო მტკიცებულებებს. გურჯაანის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე¹⁶⁶, რომელშიც დაზარალებულმა განაცხადა, რომ მან „გამოძიებას მისცა ჩვენება, რომელიც სინამდვილეს არ შეესაბამება. იგი იყო გაბრაზებული ყოფილ ქმარზე, რადგან პასპორტი დაუზიანა და ამის გამო მისცა არასწორი ჩვენება. შემდეგ მიმართა გამომძიებულს, რომ კვლავ დაეკითხათ, მაგრამ აღარ დაკითხეს და სასამართლოს წინაშე აცხადებს, რომ მის ყოფილ ქმარს სინამდვილეში მისთვის არაფერი დაუშავებია, არ უცემია, ჭრილობები არ მიუყენებია, არამედ განერვიულებულს აწყნარებდა. მან გამოძიების დროს მისცა შეგნებულად ცრუ ჩვენება და ამ ეტაპზე სურს სწორი ჩვენების მიცემა, რადგან არ სურს უდანაშაულო ადამიანი იჯდეს ციხეში“. ასევე სამტრედიის რაიონული სასამართლოს მიერ განხილულ საქმეში¹⁶⁷, დაზარალებულმა განაცხადა, რომ „მის მიმართ მის მეუღლეს ძალადობა არ განუხორციელებია, გამოძიების დროს მეუღლის დანაშაულში მამხილებელი ჩვენების მიცემა გამოწვეული იყო ამ უკანასკნელზე გაბრაზებით“. მითითებულ საქმეში დაზარალებულმა სხეულზე არსებულ დაზიანებებზე განმარტა, რომ „ამ დაზიანებათა ნაწილი მიიღო ფარდის დაკიდების დროს წაქცევისას, ხოლო ნაწილი სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის დროს“. როდესაც ბრალდებული დამნაშავედ არ ცნობს თავს, ხოლო დაზარალებული სასამართლო სხდომაზე უარყოფს მის მიმართ ბრალდებულის მხრიდან ძალადობის განხორციელების ფაქტს, სასამართლოსთვის წარდგენილი და გამოკვლეული სხვა მტკიცებულებები ვერ იქნება პირის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის საფუძველი: „სასამართლო განმარტავს, რომ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტი მინიმუმ ორი პირდაპირი მტკიცებულების არსებობას გულისხმობს (დანაშაულის შემადგენლობის ყველა ნიშანზე ცალ-ცალკე), რო-

¹⁶⁵ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი.

¹⁶⁶ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/211-16.

¹⁶⁷ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 3 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/160-17.

მელიც ნეიტრალურ და გონივრულად მოაზროვნე პირს დაარწმუნებს ბრალდებულის მიერ ბრალად შერაცხული ქმედების ჩადენაში. მოცემულ შემთხვევაში ბრალდებულის ბრალდების დამადასტურებელ მტკიცებულებად წარმოდგენილია დაზარალებულის ჩვენება, ამ უკანასკნელმა კი სასამართლო სხდომაზე უარყო მის მიმართ ბრალდებულის მხრიდან ძალადობის განხორციელება, რაც შეეხება სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ სასამართლო-სამედიცინო ექსპერტის დასკვნას, როდესაც არ არსებობს დაზარალებულის ან/და მოწმის ჩვენება ამ დაზიანებათა წარმოშობის შესახებ, იგი ადასტურებს მხოლოდ დაზიანების არსებობას, პირის მიმართ გამამტკუნებელი განაჩენის გამოსატანად კი აუცილებელია დადგინდეს, მიაყენა თუ არა ეს დაზიანებები კონკრეტულმა პირმა და იყო თუ არა მისი ქმედება ბრალეული, აღნიშნული მტკიცებულების გარდა, საქმეში არ მოიპოვება სასამართლოსათვის წარდგენილი და სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით გამოკვლეული სხვა პირდაპირი მტკიცებულება, მით უფრო, როდესაც თავად ბრალდებული უარყოფს ბრალად წარდგენილი ქმედების ჩადენას".

ზემოთ აღნიშნულთან მიმართებით, მაქსიმალურად უნდა იქნეს გამოკვლეული დაზარალებულის პოზიციის ცვალებადობა მოძალადის მხრიდან მუქარის ან/და ზენოლის შედეგი ხომ არ იყო. ასევე გამოძიების პროცესშივე უზრუნველყოფილ უნდა იქნეს დაზარალებულისთვის ინფორმაციის მიწოდება ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრის, ასევე იმ ორგანიზაციების შესახებ, რომლებიც დახმარებას უწევენ იჯახში ძალადობის მსხვერპლებს.

საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკის შესწავლამ ცხადყო, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებში გამამართლებელი განაჩენი დგება მაშინაც, როდესაც დაზარალებულისა და ნეიტრალური მოწმეების ჩვენებებს შორის არსებობს არსებითი ხასიათის წინააღმდეგობები, რაც ბრალდების მხარის ერთადერთ, პირდაპირი ხასიათის მტკიცებულებას – დაზარალებულის ჩვენებას უკარგავს სანდოობისა და დამაჯერებლობის ხარისხს. სამტრედიის რაიონულმა სასამართლომ განიხილა საქმე¹⁶⁸, რომელშიც მოწმის სახით დაკითხულმა დაზარალებულმა (ზ.გ-მ) განაცხადა, რომ ბრალდებულის (ი.ს-ის) მიერ მისი ცემის ფაქტი 9 მარტს უამბო თავის მეზობელს – ნ.ჩ-ს. 12 მარტს დაზარალებული სახლში აცხობდა ღვეზელებს, რა დროსაც ი.ს-მ უმიზეზოდ კვლავ დაუწყო ჩხუბი და ცემა. ეს უკანასკნელი კი გაიგონა ი.გ-მ, რომელმაც მოუწოდა ბრალდებულს შეეწყვიტა მისი ქმედება და დაემუქრა პოლიციის გამოძახებით. სასამართლო სხდომაზე დაკითხულმა მოწმეებმა ი.გ-მ და ნ.ჩ-მ არ დაადასტურეს დაზარალებულის მიერ მითითებული გარემოებით. კერძოდ, „ი.გ-მ კატეგორიულად უარყო ი.ს-ს მხრიდან დაზარალებულის ცემის ფაქტის დანახვა და განმარტა, რომ ამ ფაქტის თაობაზე პოლიციელებისგან შეიტყო. ხოლო ნ.ჩ-ს განმარტებით, ზ.გ 13 მარტამდე ახლო პერიოდში მათთან სახლში არ ყოფილა“. მსგავს შემთხვევებში, სასამართლო მიდის დასკვნამდე, რომ სახეზე არ არის გონივრულ ეჭვს მიღმა არსებული, ერთმანეთთან შეთანხმებული, აშკარა და დამაჯერებელ მტკიცებულებათა ერთობლიობა ბრალდებულის დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტკუნებელი განაჩენის გამოტანისათვის.


კვლევის ფარგლებში შესწავლილმა განაჩენებმა ცხადყო, რომ ცალკეულ შემთხვევებში, ძალადობის მსხვერპლებს აქვთ ლმობიერი დამოკიდებულება მათ მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებით. ისინი იძულებულნი არიან ითმინონ ძალადობა დამნაშავეზე ეკონომიკური დამოკიდებულების, შურისძიების შიშის ან სხვა ფაქტორების გამო. სწორედ აღნიშნული მიზეზებით დაზარალებულები ცვლიან საკუთარ პოზიციებს ან საერთოდ უარს ამბობენ ჩვენების მიცემაზე და პრეტენზია აღარ გააჩნიათ მოძალადის მიმართ.

¹⁶⁸ სამტრედიის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის განაჩენი, საქმე №1/74-17.

ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებში საერთაშორისო სტანდარტების ასახვის პრაქტიკა


კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენების მიხედვით იკვეთება, რომ საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების მაჩვენებელი 2017 წელს, ნინა წელთან შედარებით მნიშვნელოვნად (16%-ით) გაიზარდა. კერძოდ, 2016 წელს სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე გამოტანილი 495 განაჩენიდან საერთაშორისო პრაქტიკაზე მითითება გვხვდება 67 საქმეში (13%), ხოლო 2017 წელს გამოტანილი 741 განაჩენიდან – 216 საქმეში (29%). დადგებით შეფასებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ზოგიერთ საქალაქო/რაიონულ სასამართლოში (მაგალითად: ბათუმის საქალაქო სასამართლო, გორის რაიონულ სასამართლო, თბილისის საქალაქო სასამართლო, ოზურგეთის რაიონული სასამართლო, ქუთაისის საქალაქო სასამართლო და სხვ.) საგრძნობლად გახშირდა საერთაშორისო სტანდარტების ციტირების პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ პოზიტიური ტენდენციის ფონზე კვლავ რჩება რეგიონები, სადაც არც ერთ წელს არ ფიქსირდება საერთაშორისო აქტების გამოყენების მაჩვენებელი (მაგალითად, სიღნაღის რაიონული სასამართლო, ხაშურის რაიონული სასამართლო).

2016 წელი



- შესწავლილი განაჩენების მთლიანი რაოდენობა
- საერთაშორისო პრაქტიკას გამოყენების მაჩვენებელი

2017 წელი



- შესწავლილი განაჩენების მთლიანი რაოდენობა
- საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენების მაჩვენებელი

ოჯახში ძალადობის შესახებ განაჩენებში ასახული საერთაშორისო პრაქტიკა
შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად (2016 -2017 წლები):



ნინამდებარე დიაგრამაში წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, პირველი ინსტანციის სასამართლოები ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების განხილვისას ყველაზე ხშირად ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში არსებული სტრასბურგის სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებებით. კერძოდ, სასამართლოები უმეტესწილად საერთაშორისო სტანდარტებს მოიხმობენ მტკიცებულებათა შეფასებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების შესახებ მსჯელობისას სამართლებრივი არგუმენტაციის გამყარების მიზნით. რაც შეეხება უშუალოდ ოჯახში ძალადობის საკითხებზე ევროპული სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილებებისა და საერთაშორისო აქტების მოხმობის პრაქტიკას, ამ მხრივ შეიძლება ითქვას, რომ მონაცემები უმჯობესდება. კერძოდ, 2017 წელს თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოების, აგრეთვე, გორის რაიონული სასამართლოების მიერ დადგენილ განაჩენებში მკვეთრად გაზრდილია რელევანტური საერთაშორისო სტანდარტების ციტირების მაჩვენებელი.

წელი	სასამართლო	შესწავლილი განაჩენების მთლიანი რაოდენობა	საუკუთრისო პრაქტიკის გამოყენების მაჩვენებელი	შესწავლილი განაჩენების შეტყობინები და მასთან დაკავშირდული სტრუქტურის სასამართლოს გადაწყვეტილებები	შესწავლის აღმართ დასტრინგის ყველა ფორმის აღმოფენის შესახებ გაერთიანებული კონფერენცია (CEDAW) და ქალთან წინააღმდეგ დისკრიმინაციის კომიტეტის გადაწყვეტილებები X და Y საქართველოს წინააღმდეგ	ეკონომიკის საჭირო, კონფერია „ქალთა მიმართ ძალის გადაწყვეტილებების შესახებ“ (სტამბოლის კონფენცია)	შესწავლილი კონფენციის მოწყვეტლებები არარეგისტრირებულ ქორწინებების გადაწყვეტილებით მიმდინარეობით სტრატეგიული კარგით მიმდინარეობის შესახებ საქმის გზა	კონფენცია ბავშვის უფლებებზეს შესახებ	
2016	თბილისის საქალაქო	74	20	19	1	0	0	0	0
2017	თბილისის საქალაქო	182	77	69	8	4	2	8	0
2016	ქუთაისის საქალაქო	63	0	0	0	0	0	0	0
2017	ქუთაისის საქალაქო	101	27	27	0	0	0	0	0
2016	რუსთავის საქალაქო	26	1	1	0	0	0	0	0
2017	რუსთავის საქალაქო	59	29	29	0	13	0	0	0
2016	ბათუმის საქალაქო	40	0	0	0	0	0	0	0
2017	ბათუმის საქალაქო	19	3	3	0	0	0	0	0
2016	ფოთის საქალაქო	2	0	0	0	0	0	0	0
2017	ფოთის საქალაქო	11	1	1	0	0	0	0	0
2016	გორის რაიონული	28	3	3	1	0	0	1	1
2017	გორის რაიონული	33	12	12	3	0	0	3	3
2016	ოზურგეთის რაიონული	9	0	0	0	0	0	0	0
2017	ოზურგეთის რაიონული	34	5	5	0	0	0	0	0
2016	ზუგდიდის რაიონული	22	7	7	0	0	0	0	0
2017	ზუგდიდის რაიონული	17	16	16	0	0	0	0	0
2016	სამტრედიის რაიონული	11	0	0	0	0	0	0	0
2017	სამტრედიის რაიონული	27	2	2	0	0	0	0	0
2016	სენაკის რაიონული	5	0	0	0	0	0	0	0
2017	სენაკის რაიონული	4	0	0	0	0	0	0	0
2016	ზესტაფონის რაიონული	26	26	26	0	0	0	0	0
2017	ზესტაფონის რაიონული	15	15	15	0	0	0	0	0

2016	ხელვაჩაურის რაიონული	27	2	2	0	0	0	0	0
2017	ხელვაჩაურის რაიონული	34	2	2	0	0	0	0	0
2016	მცხეთის რაიონული	25	0	0	0	0	0	0	0
2017	მცხეთის რაიონული	11	0	0	0	0	0	0	0
2016	გურჯაანის რაიონული	51	1	1	0	0	0	0	0
2017	გურჯაანის რაიონული	43	0	0	0	0	0	0	0
2016	სიღნაღის რაიონული	10	0	0	0	0	0	0	0
2017	სიღნაღის რაიონული	31	0	0	0	0	0	0	0
2016	ცაგერის რაიონული	4	0	0	0	0	0	0	0
2017	ცაგერის რაიონული	3	0	0	0	0	0	0	0
2016	საჩხერის რაიონული	9	3	3	0	0	0	0	0
2017	საჩხერის რაიონული	8	8	8	0	0	0	0	3
2016	ამბროლაურის რაიონული	1	0	0	0	0	0	0	0
2017	ამბროლაურის რაიონული	7	6	5	0	0	0	0	3
2016	ახალქალაქის რაიონული	9	0	0	0	0	0	0	0
2017	ახალქალაქის რაიონული	13	1	1	0	0	0	0	0
2016	ბოლნისის რაიონული	14	4	4	0	0	0	0	0
2017	ბოლნისის რაიონული	19	8	8	0	0	1	0	0
2016	ახალციხის რაიონული	18	0	0	0	0	0	0	0
2017	ახალციხის რაიონული	23	0	0	0	0	0	0	0
2016	ხაშურის რაიონული	4	0	0	0	0	0	0	0
2017	ხაშურის რაიონული	24	0	0	0	0	0	0	0
2016	თელავის რაიონული	17	0	0	0	0	0	0	0
2017	თელავის რაიონული	22	5	5	0	0	0	0	0
2017	თეთრიწყაროს რაიონული	1	1	1	0	0	0	0	0

მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების განხილვისას ხშირად იყენებენ ადამიანის უფლება-თა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, კონკრეტულ საკითხზე სტრასბურგის სასამართლოს შესაბამისი საქმის მითითებითა და ციტირების გზით. ამავდროულად, კვლევამ წარმოაჩინა, რომ ძირითადად სასამართლოები ახდენენ ერთსა და იმავე მასალის ციტირებას, შესაბამისად, სხვადასხვა რეგიონის სასამართლოს განაჩენებშიც ხშირად შეგვხვდა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის ანალოგიურ ფორმატში მიმოხილვა. ზოგადად, შეიძლება ითქვას, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები ცდილობენ სტრასბურგის პრაქტიკა მიუსადაგონ კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და მსჯელობა განავითარონ საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით. დამატებით, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ არაერთგვაროვანია საერთაშორისო სტანდარტების ციტირების პრაქტიკა. როგორც წესი, სასამართლოები

საქმის სახელწოდებას უთითებენ ორიგინალ ენაზე, მაგრამ ხშირ შემთხვევაში საქმის ნომრისა და შესაბამისი პარაგრაფის მითითების გარეშე, რაც თავის მხრივ, ართულებს წყაროს მოძიების/გადამოწმების შესაძლებლობას.

წარმოგიდგენთ პირველი ინსტანციის რაიონული (საქალაქო) სასამართლოების მიერ 2016-2017 წლებში სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლის საფუძველზე გამოტანილ განაჩენებში ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის გამოყენების დეტალურ მიმოხილვას:

თბილისის საქალაქო სასამართლო ძირითადად მტკიცებულებათა შეფასებასთან მიმართებით მსჯელობისას სამართლებრივი არგუმენტაციის გამყარების მიზნით, ყველაზე ხშირად მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას. ზოგიერთ განაჩენში ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შესაფასებლად გამოყენებულია „სტამბოლის კონვენციაც“ და მიმოხილულია რელევანტური საქართველოს პრაქტიკა და სტანდარტები.¹⁶⁹

ერთ-ერთ განაჩენში¹⁷⁰ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირის მიერ ჩადენილი ოჯახში ძალადობის შეფასებისას სასამართლო მართებულად დაეყრდნო ეროვნულ კანონმდებლობას, საკასაციო ინსტანციის მიერ მიღებულ მნიშვნელოვან განმარტებასა და სტრასბურგის სასამართლოს შესაბამის პრაქტიკას: „სასამართლო იხმობს 2011 წლის 11 მაისის ევროპის საბჭოს კონვენციას („სტამბოლის კონვენცია“) ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 19 ივნისს. საქართველომ კი აღნიშნულ კონვენციას ხელი მოაწერა 2014 წლის 19 ივნისს. კონვენციის მე-3 მუხლის, „გვეპუნქტის შესაბამისად, „ოჯახში ძალადობა“ გულისხმობს, ფიზიკური, სექსუალური, ფსიქოლოგიური თუ ეკონომიკური ძალადობის ყველა აქტს, რომელიც ხდება ოჯახში თუ შინაურ წრეში ან ყოფილ ან ამჟამინდელ მეუღლებსა თუ პარტნიორებს შორის, მიუხედავად იმისა, დამნაშავე პირი მსხვერპლთან ერთად ერთ საცხოვრებელში ცხოვრობს თუ არა.

ამ საკითხთან დაკავშირებით, მნიშვნელოვანია, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს განმარტებაც. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს, რომ ოჯახის ცნება შეიცავს სხვაგვარ დე ფაქტო ოჯახურ კავშირებსაც, სადაც პირები ერთად ცხოვრობენ ქორწინების გარეშე. უფრო მეტიც, სასამართლომ თავის გადაწყვეტილებებში არა-ერთხელ გაუსვა ხაზი იმ გარემოებას, რომ ევროკონვენციის მე-8 მუხლის (პირადი და ოჯახური ცხოვრების პატივისცემის უფლება) მიზნებისათვის ქორწინების გარეშე მცხოვრები ოჯახების განსხვავება ქორწინებაში მყოფისგან ეწინააღმდეგება კონვენციის მე-14 მუხლის (დისკრიმინაციის აკრძალვა) სულისკვეთებას. (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შემდეგი გადაწყვეტილებები: *Abdulaziz, Cabales and Balkandali v. the United Kingdom*, ECtHR 28/05/1985, §62; *Lebbink v. the Netherlands*, ECtHR, 01/06/2004, §34, აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს მნიშვნელოვანი განმარტებანი, არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის დაზარალებულად ცნობა, 2016წ., გვ.205-206).

გარდა ამისა, ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის „გუნქტის პირდა-

¹⁶⁹ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის განაჩენები საქმეებზე: №1/3588-17 (2017 წლის 6 სექტემბერი); №1/2317-16 (2017 წლის 17 მაისი); №1/2062-16 (2017 წლის 27 თებერვალი) და №1/3455-17 (2017 წლის 27 სექტემბერი).

¹⁷⁰ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 ივნისის განაჩენი, საქმე №1/4884-16.

პირ არის მითითებული, რომ სხვებთან ერთად ოჯახის წევრები აგრეთვე არიან „არა-რეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირი და მისი ოჯახის წევრი“.

ამდენად, სასამართლო თვლის, რომ ნ. მ და რ. მ. როგორც შიდა კანონმდებლობით, ისე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე, ითვლებიან ერთმანეთის ოჯახის წევრებად. შესაბამისად, სასამართლოს ასევე და-დასტურებულად მიაჩნია, რომ არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის არასრულწლოვანი შვილიც ითვლება ოჯახის წევრად (აღნიშნულთან დაკავშირებით ასევე, იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 24 ოქტომბრის №403აპ-16 გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით სასამართლომ განმარტა, რომ „მოძალადე“ და „ძალადობის მსხვერპლი“ უნდა იყვნენ ერთი ოჯახის წევრები და არა, ზოგადად – „არასრულწლოვანი და ამ უკანასკნელის ოჯახის წევრი“).¹⁷¹

სხვა საქმეში¹⁷², რომელიც ასევე შეეხებოდა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირებს, სასამართლომ აღნიშნა: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) არ განასხვავებს „კანონიერ“ და „უკანონო“ ოჯახებს (მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (*Marckx v. Belgium*), განაცხადი no. 6833/74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენურის 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 31). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს მიღებოდა შემდგომ პრაქტიკაშიც შეინარჩუნა. კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მხოლოდ დაქორწინებულ პირებზე არ ვრცელდება და შეიძლება მოიცავდეს *de facto* ოჯახსაც, რომლის მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან (ალიმი რუსეთის წინააღმდეგ (*Alim v. Russia*), განაცხადი no. 39417/07, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2011 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილების პუნქტი 69).

მოცემულ შემთხვევაში მოწმეთა ჩვენებებით, აგრეთვე დაზარალებულისა და ბრალდებულის ჩვენებებით დადგენილია, რომ ნ. შ. და კ.ჩ. იმყოფებოდნენ არარეგისტრირებულ ქორწინებაში და დანაშაულებრივ ქმედებამდე გარკვეული პერიოდით ადრე შეწყვიტეს მათ თანაცხოვრება (ოჯახური ცხოვრება), რის გამოც შემთხვევის დროისათვის უნდა ჩაითვალონ ყოფილ მეუღლეებად, ვინაიდან მათ ოჯახური თანაცხოვრება, ფაქტობრივად, შეწყვეტილი ჰქონდათ. საწინააღმდეგო განმარტების პირობებში (თუ ოფიციალური ქორწინება/ განქორწინების ფაქტს მიენიჭა გადამწყვეტი მნიშვნელობა) მეუღლეებს, რომლებიც ერთად ეწევიან ოჯახურ ცხოვრებას და საოჯახო მეურნეობას (არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი პირები) ვერ მიიჩნევიან მეუღლეებად, ხოლო თუ ერთმანეთს დაშორდნენ და შეწყვიტეს ოჯახური ცხოვრება, მაგალითად: ექვსი თვის, ერთი წლის ან თუნდაც ათი წლის წინ, მაგრამ ოფიციალურად არ განქორწინებულად, მაინც მიჩნეულ უნდა იქნენ მეუღლეებად (და არა ყოფილ მეუღლეებად), რაც არასწორი განმარტება იქნებოდა, რადგან რეალურად მათი ოჯახური თანაცხოვრება ურთიერთობის შეწყვეტის შემდეგ აღარ არსებობს და ისინი ერთიან საოჯახო მეურნეობას აღარ ეწევიან“.¹⁷³

საინტერესოა აგრეთვე ერთ-ერთი საქმე¹⁷⁴, რომელზეც გამამართლებელი განაჩენი

¹⁷¹ იქვე.

¹⁷² თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 27 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/2062-16.

¹⁷³ იქვე.

¹⁷⁴ თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 აგვისტოს განაჩენი, საქმე №1/799-17.

დადგა, ირიბი ჩვენების შეფასებისას კი სასამართლომ იხელმძღვანელა სტრასბურგის სასამართლოს პრაქტიკით: „სასამართლო კიდევ ერთხელ აღნიშნავს, რომ ვინაიდან ზემოაღნიშნულ მოწმეთა ჩვენებები ეხება და იმეორებს ძირითადად სხვის მონაცემს, ამდენად, ყველა ეს ჩვენება თავისი შინაარსიდან გამომდინარე, არის ირიბი. ირიბია კი ისეთი ჩვენება, თუ ის ეფუძნება მეორად წყაროს და თავად მოწმე არ არის გარკვეული ფაქტის შემსწრე ან პირველადი წყარო. მოცემულ შემთხვევაში, აღნიშნულ მოწმებს საკუთარი თვალით არ დაუნახავთ ან სხვაგვარად არ აღუქვამთ (არ მოუსმენიათ) გ.ა-ს მიერ განხორციელებული ქმედება. ამასთან, სასამართლო განმარტავს, რომ გამომძიებელთა ჩვენებების გარდა, საქმეში არ მოიპოვება სხვა მოწმის ჩვენება, რომლის მიერ სასამართლოსთვის მიცემული იქნებოდა ლირებული. ამასთან დაკავშირებით სასამართლო იშველიებს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას, რომლის თანახმადაც, პოლიციის თანამშრომლების ჩვენებებს მცირე მტკიცებულებითი ძალა აქვს, თუ ისინი არ არის გამყარებული სხვა მტკიცებულებით (ოჩელკოვი რუსეთის წინააღმდეგ (*Ochelkov v. Russia*), განაცხადი no. 17828/05, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 90)¹⁷⁵“.

აღსანიშნავია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლო (სხვა საქალაქო/რაიონული სასამართლოების მსგავსად¹⁷⁶) მტკიცებულებათა შეფასებისას ყველაზე აქტიურად მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს შემდეგ საქმეებზე: ბარბერა, მესაგე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (Barbera, Messeguer and Jabardo v. Spain), № 10590/93, § 68, 6 დეკემბერი, 1988, და ბულიჩევი რუსეთის წინააღმდეგ (Bulychev v. Russia), № 24086/04, § 32, 4 ოქტომბერი, 2010).

გორის რაიონული სასამართლო სანიმუშოდ ცდილობს განაჩენებში ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის შეფასებისას ასახოს საერთაშორისო სტანდარტები და სტრასბურგის სასამართლოს რელევანტური პრაქტიკა. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში¹⁷⁷ გორის რაიონულმა სასამართლომ სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებასთან (მოახდინოს ქალთა მიმართ ჩადენილ ძალადობაზე დროული და ეფექტური რეაგირება) დაკავშირებით მიზანშენონილად მიიჩნია მიმოეხილა ამ მიმართებით მოქმედი „საყოველთაოდ აღიარებული საერთაშორისო პრინციპები და ნორმები, სახელდობრ: გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაცია „ქალთა წინააღმდეგ ძალადობის აღკვეთის შესახებ“ (1993), მე-4(გ) მუხლში მოუწოდებს სახელმწიფოებს „განახორციელონ ჯეროვანი ქმედებები, რათა თავიდან აიცილონ, გამოიძიონ და ეროვნული კანონმდებლობის შესაბამისად, დასაჯონ ქალთა წინააღმდეგ ძალადობის განმახორციელებელი პირები, მიუხედავად იმისა თუ ვინ ჩაიდენს მოცემულ ქმედებებს, სახელმწიფო თუ კერძო პირი.

2002 წლის 30 აპრილის ქალთა ძალადობისაგან დაცვის რეკომენდაციაში (რეკ(2002)5), ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა აღნიშნა inter alia, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა შემოიღონ, განავითარონ ან/და გააუმჯობესონ, საჭიროების მიხედვით, ეროვნული პოლიტიკა ძალადობის წინააღმდეგ მსხვერპლთა მაქსიმალური უსაფრთხოებისა და დაცვის, მხარდაჭერისა და დახმარების, სისხლის და სამოქალაქო სამართალში ცვლილებების, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის სფეროში მომუშავე პროფესიონალების წვრთნისა და პრევენციის საშუალებით. მინისტრთა კომიტეტმა რეკომენდაცია გასცა მასზედ, რომ წევრმა

¹⁷⁵ იქვე.

¹⁷⁶ რუსთავის საქალაქო სასამართლო, ახალქალაქის რაიონული სასამართლო, გორის რაიონული სასამართლო.

¹⁷⁷ გორის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 მაისის განაჩენი, საქმე 1/176-17.

სახელმწიფოებმა დასჯადი გახადონ ქალების წინააღმდეგ ძალადობა, მათ შორის, ფეხ-მძიმეთა მოწყვლადობის პოროტად გამოყენება, დაცვის უნარის არმქონე, ავადმყოფი, უნარშეზღუდული და დამოკიდებული მსხვერპლების მიმართ სერიოზული ძალადობა, სექსუალური ძალადობა და გაუპატიურება, ისევე როგორც დამნაშავის მიერ უფლებამოსილების პოროტად გამოყენება. რეკომენდაცია ასევე მიუთითებს, რომ წევრმა სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ძალადობის ყველა მსხვერპლს შეეძლოს სამართალწარმოების დაწყება, უნდა არსებობდეს დებულებანი, რომლებიც უზრუნველყოფებ სისხლის სამართალწარმოების დაწყებას პროკურორის მიერ, მოუწოდებს პროკურორებს ქალთა წინააღმდეგ ძალადობა მიიჩნიონ გადამწყვეტ გარემოებად იმის განსაზღვრისას, თუ რამდენად საჭიროა საქმის აღმრა, უზრუნველყონ, რომ მსხვერპლთა დასაცავად მიღებულ იქნეს ეფექტური ზომები, მუქარისა და შურისძიების შესაძლო შემთხვევების წინააღმდეგ და გადადგმულ იქნეს კონკრეტული ნაბიჯები ბავშვთა დასაცავად სამართალწარმოების მიმდინარეობისას.

ოჯახში ძალადობასთან დაკავშირებით ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა ურჩია წევრ სახელმწიფოებს ოჯახში ძალადობის ყველა ფორმა სისხლისსამართლებრივ დანაშაულად დაეკვალიფიცირებინათ და გაეთვალისწინებინათ იმგვარი ზომების მიღება, *inter alia*, რომელიც სასამართლოს მისცემდა საშუალებას განესაზღვრა დროებითი ზომები მსხვერპლთა დასაცავად, დამნაშავისათვის კონტაქტის, მსხვერპლთან კომუნიკაციის დამყარებისა და მიახლოების, დაცულ ტერიტორიაზე ცხოვრების ან შევლის ასაკრძალად, დადგენილი ზომების ნებისმიერი დარღვევისათვის სასჯელის დაკისრება დამნაშავებელ და პოლიციის, სამედიცინო და სოციალური სერვისებისათვის სავალდებულო რეაგირების ოქმის შექმნა.

სასამართლო ასევე მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადამწყვეტილებებს, სადაც პირდაპირ არის მითითებული სახელმწიფოს პოზიტიურ ვალდებულებაზე, დროულად აამოქმედოს ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმები იჯახური ძალადობის ფაქტებზე მართლმსაჯულების ეფექტიანი განხორციელების მიზნით.

საქმეში ბეგანოვიჩი ხორვატიის წინააღმდეგ (*Beganovic v. Croatia, No. 46456/06, 25.6.09*) სასამართლომ აღნიშნა, რომ როდესაც კერძო პირების მიერ მიყენებული ძალადობა აღწევს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს იმისათვის, რომ გამოყენებულ იქნეს მე-3 მუხლი, ხელისუფლების ორგანოებს მოეთხოვებათ ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მოქმედების უზრუნველყოფა. სახელმწიფოს პოზიტიური ვალდებულებები არ იქნა შესრულებული განმცხადებელზე სერიოზული თავდასხმის პასუხად გატარებული ღონისძიებებით, განსაკუთრებით იმ მიზეზით, რომ ხელისუფლების ორგანოების მიერ გამოწვეული გაჭიანურების გამო, ხანდაზმულობის ვადა ამოიწურა სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.

საქმეში ა.თ. უნგრეთის წინააღმდეგ (A.T. v. Hungary, 2005) წლის 26 იანვრის განჩინება), CEDAW კომიტეტმა დაადგინა უნგრეთის მიერ პოზიტიური ვალდებულებების დარღვევა და გამოყენა ზოგადი რეკომენდაცია №19 ქალთა მიმართ ძალადობის შესახებ, რომელიც განმარტავს, რომ „...დისკრიმინაციის განმარტება მოიცავს გენდერის ნიშნით ძალადობას და რომ „გენდერის ნიშნით ძალადობამ შეიძლება დაარღვიოს კონკრეციის გარკვეული დებულებები, ისე რომ ნორმებში პირდაპირ არ იყოს ნახსენები ძალადობა“. კომიტეტმა ხაზი გაუსვა, რომ „ზოგად რეკომენდაცია №19-ში არსებულ დებულებებს ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ აქვს ძალიან დიდი მნიშვნელობა ქალებისთვის, რომ მიეცეთ შესაძლებლობა მამაკაცებთან თანასწორობაზე დაფუძნებით ისარგებლონ ადამიანის უფლებებითა და თავისუფლებებით“.

საქმეში კონფრონტაციული მინალდეგ (Kontrova v. Slovakia, No. 7510/04, 31.5.2007) პოლიციამ ვერ შეძლო ადეკვატურად ებასუხა განმცხადებლის სისხლისა-მართლებრივ საჩივრებსა და სატელეფონო ზარებზე გადაუდებელი დახმარების თხოვნით, რაც გამოწვეული იყო მისი ქმრის მიერ ფიზიკური ხელყოფით; მათ არ დაარეგისტრირეს საჩივარი, არ ჩაიწერეს ზარები, არ დაიწყეს გამოძიება და არ აღძრეს სისხლისამართლებრივი წარმოება. სასამართლომ შესაბამისად დადგინდა, რომ დაირღვა მე-2 მუხლი, მას შემდეგ, რაც ქმარმა სროლის შედეგად მოკლა მათი ორი შვილი.

კონვენციის მე-2 მუხლის დარღვევას ადგილი ჰქონდა აგრეთვე საქმეში ბრანკო ტომაშიცი და სხვები ხორვატიის ნინაალდეგ (Branko Tomazic and others v. Croatia, No. 46598/06, 15.1.2009), სადაც მამაკაცმა შეასრულა თავისი მუქარა და მოკლა თავისი პარტნიორი და თავიანთი ახალშობილი ქალიშვილი. ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ საფრთხის სერიოზულობის შესახებ, მაგრამ ვერ შეასრულეს თავიანთი პოზიტიური მოვალეობები...არავითარი რისკების შეფასება არ მომხდარა უშუალოდ მისი (მამაკაცის) გათავისუფლების წინ.

საქმეში ოპუზი თურქეთის ნინაალდეგ (Opuz v. Turkey, No. 33401/02, 9.06.2009), სასამართლომ ხაზი გაუსვა ოჯახური ძალადობის განსაკუთრებულ სიმძიმეს: ეს არის ზოგადი პრობლემა, რომ ელიც ეხება ყველა წევრ სახელმწიფოს და რომ ელიც ყოველ-თვის არ ჩანს ზედაპირზე, რადგან ის ხდება პირად ურთიერთობებში ან დახურულ წრე-ებში და ამის შედეგად მხოლოდ ქალები არ ზარალდებიან, რეალურად ამ ფენომენის შედეგად ხშირად ზარალდებიან ბავშვებიც, პირდაპირ თუ არაპირდაპირ. ოპუზის საქმეში განმცხადებელი და დედამისი განმცხადებლის ქმრის სისტემატური ძალადობრივი თავდასხმების მსხვერპლი იყვნენ, რაც დაგვირგვინდა დედამისის მოკვლით. განმცხადებლის ქმრის მხრიდან მუდმივად გამწვავებადი ძალადობის ისტორიის გათვალისწინებით, რის შესახებაც ხელისუფლების ორგანოებმა იცოდნენ, სასამართლომ დასკვნა, რომ მათ შეეძლოთ განეჭვრიტა სასიკვდილო თავდასხმა. სისხლის სამართლწარმოება იქამდე დაწყებული იქნა განმცხადებლის ქმრის მიმართ, მაგრამ მთავრობა ამტკიცებდა, რომ დევნის განმახორციელებელ ორგანოებს თითოეულ შემთხვევაში, როცა დაიწყეს დევნა, უწევდათ შიდა სამართლის თანახმად მისი შეწყვეტა, რადგან განმცხადებელსა და დედამისს გაპქონდათ თავიანთი საჩივრები. ისევე როგორც ამ სიტუაციაში, დევნის განმახორციელებელ ორგანოებს კანონი არ აძლევდა საშუალებას, გაეგრძელებინა სისხლის სამართლწარმოება, რადგან სადაც ქმედებები არ იწვევდა ავადმყოფობას ან შრომისუნარიანობის დაკარგვას 10 დღით ან მეტი ვადით. სასამართლომ დაასკვნა, რომ საკანონმდებლო ჩარჩო არ იყო საქმარისი სახელმწიფოს იმ პოზიტიური ვალდებულებების შესასრულებლად, რომ ელიც მოითხოვდა ოჯახური ძალადობის ყველა ფორმის დასასჯელად სისტემის შექმნას და ეფექტიან ამოქმედებას, აგრეთვე დადგინა, რომ სახელმწიფომ ვერ შეასრულა თავისი პოზიტიური ვალდებულება, გაეტარებინა პრევენციული ოპერატიული ღონისძიებები რისკის ქვეშ მყოფი ინდივიდის სიცოცხლის დასაცავად. ამას ერთვოდა ისიც, რომ გამოძიება იყო არასაკმარისად სწრაფი, შესაბამისად, განმცხადებლის დედის მიმართ დაირღვა მე-2 მუხლი და თავად განმცხადებლის მიმართ დაირღვა მე-3 მუხლი, აგრეთვე დაირღვა მე-14 მუხლი როგორც მე-2, ისე მე-3 მუხლთან მიმართებით.

სასამართლო ყურადღებას მიაქცევს გაეროს ქალთა წინაალდეგ დისკრიმინაციის კომიტეტის (CEDAW) 2015 წლის 13 ივლისის დასკვნას საქმეზე „X და Y საქართველოს ნინაალდეგ“, რომელშიც კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ დისკრიმინაციად უნდა შეფასდეს ქალების წინაალდეგ განხორციელებული სქესზე დაფუძნებული ძალადობა. აღნიშნულ საქმეზე კომიტეტმა დაადგინა „ქალთა წინაალდეგ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის დარღვევა და მიუთითა, რომ მოცე-

მულ შემთხვევაში, ძალადობის მსხვერპლი ქალის მიმართ სახელმწიფომ ვერ შეასრულა პოზიტიური ვალდებულებები, გაეტარებინა შესაბამისი ეფექტური ღონისძიებები, მათ შორის, სანქციები, რომლებიც აღკვეთდა ქალთა წინააღმდეგ ძალადობას, როგორც ქალთა წინააღმდეგ დისკრიმინაციის ერთ-ერთ ფორმას.

სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, სახელმწიფომ არასრულწლოვანი ქალის მიმართ შეუწყნარებლობის მოტივით განხორციელებული ფიზიური ძალადობის ფაქტზე დროული რეაგირება მოახდინა, რითაც შესასრულა პოზიტიური ვალდებულება ოჯახური ძალადობის აღსაკვეთად ადეკვატური სისხლისსამართლებრივი მექანიზმების მყისიერი ამოქმედების თვალსაზრისით. სამართლდამცავი ორგანოების ამგვარმა დროულმა რეაგირებამ, საბოლოო ჯამში, უზრუნველყო ძალადობის მსხვერპლი ქალის სათანადო დაცვა და საქმეზე დროული, ეფექტიანი მართლმსაჯულების განხორციელება“.¹⁷⁸

განხილული საქმე მნიშვნელოვანია, რადგან სასამართლო სიღრმისეულად მსჯელობს არა მარტო დაზარალებულ არასრულწლოვანზე, არამედ მოწმე არასრულწლოვანზეც: „სასამართლო ასევე ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ ჯ.მ-მა არასრულწლოვანი ქალიშვილის მიმართ ძალადობა განახორციელა მისივე არასრულწლოვანი ვაჟის თანდასწრებით. ბრალდებულის ძალადობრივ ქმედებას შედეგად მოჰყვა არა მარტო მ.მ-ს სხეულის დაზიანება, მისი ფიზიური და მორალური შეურაცხყოფა, არამედ დაირღვა მისი, როგორც არასრულწლოვნის და მისი ძმის, დანაშაულის თვითმხილველი არასრულწლოვნის – ა.მ-ს სოციალურად ჯანმრთელ, ნორმალურ გარემოსა და თავისუფალ და ღირსეულ პირობებში ფიზიური, გონებრივი, მორალური და სულიერი განვითარების ფუნდამენტური უფლება (გაეროს გენერალური ასამბლეის 1959 წლის №1386 რეზოლუცია (პრინციპი 2), რომელიც ცნობილია „ბავშვის უფლებათა დეკლარაციის“ სახელით)“. ასევე აღნიშნულ განაჩენში სასამართლომ არ ცნო ბრალდებულის ყოფილი მეუღლის სანოტარო ნესით დამოწმებული განცხადება ბრალდებულთან „შერიგებისა და მის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ“. მოსამართლემ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მსხვერპლი მ.მ. არასრულწლოვან ძმასთან ერთად ცხოვრობს ბებიასთან და უარს ამბობს ბრალდებულის კუთვნილ საცხოვრებელ სახლში დაბრუნებაზე, რადგან „დღემდე განიცდის შიშ მამის მიმართ“. ამდენად, სასამართლომ ბრალდებულთან „შერიგებისა და მის მიმართ პრეტენზიის არქონის შესახებ“ განცხადება მიიჩნია ფორმალური ხასიათის დოკუმენტად, რომელიც „მოტივირებულია, როგორც საერთო შვილების მამის მიმართ ყოფილი მეუღლის მხრიდან გამოხატულ მოჩვენებით შემწყნარებლურ პოზიციად, რადგან ის არ ასახავს რეალობას და არ გამომდინარეობს არასრულწლოვან მ.მ-ს საუკეთესო/ჭეშმარიტი ინტერესებიდან“.¹⁷⁹

აღსანიშნავია, რომ გორის რაიონული სასამართლო (სხვა სასამართლოების მსგავსად¹⁸⁰) განაჩენებში მტკიცებულებათა შეფასებისა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დროს აქტიურად ახდენს ციტირებას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან შემდეგ საქმეზე: **ბარბერა, მესაგე და ხაბარდო ესპანეთის ნინააღმდეგ** (Barbera, Messegué and Jabardo v. Spain), №10590/93, §68, 6 დეკემბერი, 1988, **ბულიხევი რუსეთის ნინააღმდეგ** (Bulychev v. Russia), №24086/04,

¹⁷⁸ იქვე.

¹⁷⁹ მსგავსი ციტირება გვხვდება გორის რაიონული სასამართლოს სხვა განაჩენებშიც №1/61-16 (2016 წლის 24 ივნისი); №3/382-16 (2017 წლის 11 ოქტომბერი); №1/68-17 (2017 წლის 10 მარტი) და №1/456-16 (2017 წლის 18 იანვარი).

¹⁸⁰ რუსთავის საქალაქო სასამართლო, ახალქალაქის რაიონული სასამართლო და თბილისის საქალაქო სასამართლო.

§32, 4 ოქტომბერი, 2010 და **ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ** (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), №9043/05, §96, 8 სექტემბერი, 2014.

რუსთავის საქალაქო სასამართლო ყველაზე აქტიურად მოიხმობს ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ („სტამბოლის კონვენცია“), აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას უდანაშაულობის პრეზუმაციასთან, მტკიცებულებათა შეფასებასა და საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან მიმართებით.

სასამართლო ერთ-ერთ საქმეში¹⁸¹ აღნიშნავს, რომ „საქართველოს კონსტიტუციის მე-40 მუხლის თანახმად, არავინ არის ვალდებული ამტკიცოს თავისი უდანაშაულობა. ბრალდების მტკიცების მოვალეობა ეკისრება ბრალმდებელს. ევროპული სასამართლოს განმარტებით (Allen v. The United Kingdom, N25424/09, 12/07/2013, §93), ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტი იცავს პირის უფლებას, მიჩნეულ იყოს უდანაშაულოდ, სანამ საპირისპირო არ დადგინდება კანონით დადგენილი წესით; სისხლის სამართლის საქმის სასამართლო განხილვის პროცედურული გარანტიის ჭრილში უდანაშაულობის პრეზუმაცია იმპერატიულ მოთხოვნებს აწესებს მტკიცების ტვირთან მიმართებაში.

ევროპის საბჭოს კონვენციით ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ (CETS No. 210, „სტამბოლის კონვენცია“) აღიარებულია, რომ ქალთა მიმართ ძალადობა, მათ შორის, ოჯახში ძალადობა, ევროპაში ადამიანის უფლებათა დარღვევის ერთერთ ყველაზე უფრო სერიოზულ ფორმას წარმოადგენს. კონვენცია ვრცელდება ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმაზე, მათ შორის, ოჯახურ ძალადობაზე. ევროპის საბჭოს კონვენცია ქალებზე ძალადობისა და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის შესახებ არის ყველაზე მრავლისმომცველი საერთაშორისო კონვენცია, რომელიც ებრძვის ადამიანის უფლებების ამ სერიოზულ დარღვევას. ეს კონვენცია მიზნად ისახავს ნულოვანი ტოლერანტობის მიღწევას ამგვარი ძალადობის მიმართ და მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს ევროპისა და მის ფარგლებს მიღმა მდებარე ქვეყნებს უფრო უსაფრთხო ადგილად ქცევისათვის. კონვენციის ქვაკუთხედია ისეთი საკითხები, როგორიცაა ძალადობის პრევენცია, მსხვერპლთა დაცვა და მოძალადებზე სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. კონვენცია მოუწოდებს საზოგადოების ყველა წევრს, განსაკუთრებით მამაკაცებსა და ბიჭებს, შეცვალონ მათი დამოკიდებულება ძალადობის მიმართ და ამგვარად სათანადო ცვლილებები გამოიწვიონ თითოეული ადამიანის გულსა და გონებაში. არსებითად, ეს არის ხელახალი მოწოდება ქალებსა და მამაკაცებს შორის მეტი თანასწორობისკენ, რამეთუ ქალთა მიმართ ძალადობას ღრმად აქვს გადგმული ფესვები საზოგადოებაში არსებულ ქალთა და მამაკაცთა უთანასწორობაში და საზრდოობს შეუწყნარებლობით, ან კიდევ პრობლემის არსებობის უარყოფის ჩვეულებით.

კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობას აღიარებს ადამიანის უფლებების დარღვევად და დისკრიმინაციის ფორმად. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოებს შესაბამისი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუ ისინი ამგვარ ძალადობაზე ადეკვატურ რეაგირებას არ მოახდენენ.

კონვენცია მკაფიოდ აცხადებს, რომ ქალთა მიმართ ძალადობა და ოჯახში ძალადობა არ არის პირადი საქმე. პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ოჯახის შიგნით მომ-

¹⁸¹ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 8 ნოემბრის განაჩენი, საქმე 1-524-17.

ხდარ დანაშაულს ბევრად უფრო ძლიერი ტრავმის გამოწვევა შეუძლია, ამიტომ ამგვარი დანაშაულის ჩამდენს უფრო მკაცრი სასჯელი უნდა მიესაჯოს, როდესაც მსხვერპლი მისი მეუღლე, პარტნიორი ან ოჯახის წევრია.

ქალთა მიმართ ძალადობა განმარტებულია, როგორც ადამიანის უფლებების დარღვევა და ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ფორმა და მოიცავს გენდერის საფუძველზე ჩადენილი ძალადობის ყველა აქტს, რომელსაც შედეგად მოჰყვება ან მოსალოდნელია, რომ მოჰყვეს ქალისათვის ფიზიკური, სქესობრივი, ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური ზიანის ან განსაცდელის მიყენება და მოიცავს ისეთი ქმედებებით მუქარას, როგორებიცაა იძულება ან თავისუფლების თვითნებური აღკვეთა, მიუხედავად იმისა, მოხდება ეს საზოგადოებრივ თუ პირად ცხოვრებაში“.¹⁸²

სხვა განაჩენში¹⁸³ მტკიცებულებათა შეფასებისას მოსამართლეს ქართულ კანონმდებლობასთან ერთად კონკრეტული საქმის ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით მიმოხილული აქვს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა: „სასამართლო მიუთითებს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აქვს აღნიშნული, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, აღნიშნული მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. ეს უკანასკნელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივაა, ხოლო ევროპული სასამართლოს ფუნქციაა მთლიანობაში სამართლწარმოების სამართლიანობის შეფასება (იხ. საქმე ფრამკინი რუსეთის წინააღმდეგ (Frumkin v. Russia), განაცხადი no.74568/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 159). ამასთან, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები, ან განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (ბულიჩევი რუსეთის წინააღმდეგ (Bulychevy v. Russia), განაცხადი no.24086/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 32).

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „გამამტყუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისთვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი თავის თავში გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას, ან წარდგენილ ბრალდებაში გამართლებას უტყუარი და საკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. მტკიცებულებათა შეფასების პროცესში სასამართლო „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით ხელმძღვანელობს (Ireland v. The United Kingdom, §161)¹⁸⁴.

სასამართლომ ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად შეისწავლა და გაანალიზა რა სასამართლოს მიერ გამოკვლევის გარეშე მიღებული, პრეიდუციული მნიშვნელობის

¹⁸² იქვე.

¹⁸³ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/569-17.

¹⁸⁴ სტრასბურგის სასამართლოს აღნიშნული გადაწყვეტილებების ციტირება გვხვდება ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განაჩენებშიც.

მქონე მტკიცებულებები, შეაფასა თითოეული მათგანი სისხლის სამართლის საქმეს-თან მათი რელევანტურობის, დასაშვებობისა და უტყუარობის თვალსაზრისით, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ აღნიშნული ეჭვის გამომრიცხავი, აშკარადა და დამაჯერებელი მტკიცებულებების ერთობლიობით სახეზეა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ, შეთანხმებულ მტკიცებულებათა (მოწმეების დაკითხვის ოქმები, გ.ლ-ს მიმართ გამოცემული შემაკავებელი ორდერი, 2017 წლის 23 სექტემბრის რეაგირების ოქმი და თავად გ.ლ-ს აღიარება) ერთობლიობა გ. ლ-ს დამნაშავედ ცნობისა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის¹⁸⁵.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენებში¹⁸⁶ სასჯელის შეფარდების შესახებ მსჯელობისას ხშირად გვხვდება ციტირება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან: „სასამართლომ საქმეში Olsson v. Sweden დაადგინა: „... აუცილებლობის ცნება გულისხმობს, რომ შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას და განსაკუთრებით კი პროპორციული უნდა იყოს დასახულ კანონიერ მიზანთან“.

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში Dudgeon v. the United Kingdom იმსჯელა შემწყნარებლობისა და ფართო აზროვნების შესახებ, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ორ ნიშან-თვისებაზე. მე-8 მუხლის კონტექსტში სასამართლომ ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მნიშვნელობას.

საქმეში Soering v. the United Kingdom სასამართლომ განაცხადა: „ის, რაც კონვენციას მუდმივად გასდევს, არის სამართლიანი ბალანსის ძიება საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის“.

იმის დადგენა კი რამდენად არის საჭიროება თავისუფლების შეზღუდვის და ასევე პროპორციული ჩადენილ ქმედებასთან, როგორც თავად ბრალდებულის პიროვნების, ისე საქმის ყველა სხვა ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, სახელმწიფოს სახელით განაჩენის დადგენისას სასამართლოს ეკისრება.

სასამართლო ითვალისწინებს დანაშაულის ჩადენის მოტივსა და მიზანს, მოვალეობათა დარღვევის ხასიათსა და ზომას, ბრალდებულის პიროვნებას და მიიჩნევს, რომ შესაძლოა ბრალდებულმა გააცნობიეროს მის მიერ ჩადენილი ქმედების მართლწინააღმდეგობა და დაადგეს გამოსწორების გზას, თუ მის მიმართ, სასამართლო სასჯელის სახედ გამოიყენებს საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას, რადგან იგი თავისი შინაარსით, მოცემულ შემთხვევაში, კერძო და ზოგადი პრევენციის მიზნის მიღწევის საშუალებაცაა და ხელს შეუწყობს ბრალდებულის სრულყოფილ ინტეგრაციას საზოგადოებაში, ამასთან მსჯავრდებულს ეძღვევა შესაძლებლობა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით გამოისყიდოს მის მიერ ჩადენილი დანაშაული. ასევე, ის გამართლებულია ახალი დანაშაულის თავიდან აცილებისა და გ. გ-ს რესოციალიზაციისათვის¹⁸⁷.

აღსანიშნავია, რომ სასამართლო ციტირებისას არ უთითებს სტრასბურგის სასამართლოს საქმის ნომერს, მიღების თარიღსა და შესაბამის პარაგრაფს, რაც გარკვეულ-

¹⁸⁵ რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/569-17.

¹⁸⁶ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 21 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/45-17 (მსგავსი ციტირება გხვდება ამბორლაურის რაიონული სასამართლოს განაჩენებშიც).

¹⁸⁷ იქვე.

ნილად ართულებს წყაროს მოძიების შესაძლებლობას.

ზესტაფონის რაიონული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ციტირებას ახდენს ძირითადად სამართლიანი სასამართლო განხილვის უფლებაზე მსჯელობისას:¹⁸⁸ „სასამართლოს მითითებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს მრავალჯერ აქვს აღნიშნული, რომ თუმცა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლი იცავს პირის უფლებას სამართლიან სასამართლო განხილვაზე, აღნიშნული მუხლი არ ადგენს მტკიცებულებათა დასაშვებობის წესებს. ეს უკანასკნელი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის პრეროგატივაა, ხოლო ევროპული სასამართლოს ფუნქციაა მთლიანობაში სამართალწარმოების სამართლიანობის შეფასება (იხ. საქმე ფრამკინი რუსეთის წინააღმდეგ (*Frumkin v. Russia*), განაცხადი no.74568/12, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2016 წლის 5 იანვრის გადაწყვეტილების პუნქტი 159). ამასთან, ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიციაშია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებით, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები, ან განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (ბულიჩევი რუსეთის წინააღმდეგ (*Bulychev v. Russia*), განაცხადი No.24086/04, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილების პუნქტი 32).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (პარ 91) განმარტება: იმისათვის, რომ უფლებაზე უარის თქმა კონვენციის მიზნებიდან გამომდინარე ეფუძნდება იყოს, აუცილებელია, აღნიშნული განხორციელდეს აშკარადა არაორაზროვანი ფორმით და, ასევე, უზრუნველყოფილი იყოს დაცვის მინიმალური გარანტიები. გარდა ამისა, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს საჯარო ინტერესს (აგრეთვე იხ.:სკოპოლა იტალიის წინააღმდეგ, პარ 135-136, *Scoppola v. Italy*, (no.2) [GC], no.10249/03, 17.09.09; პოტრიმოლი საფრანგეთის წინააღმდეგ, პარ 31, *Potrimol v. France*, 23 November 1993, Series A no.277-A; ჰერმი იტალიის წინააღმდეგ, პარ 73, *Hermi v. Italy* [GC], no.18114/02, ECHR 2006 XII).¹⁸⁹

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, ზესტაფონის რაიონული სასამართლო იმავე განაჩენში ბრალდების გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით დადასტურებაზე მსჯელობისას ეროვნული საპროცესო კანონმდებლობის შესაბამის ნორმასთან ერთად მოიხმობს ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას საქმეზე ირლანდია გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (*Ireland v. The United Kingdom*), №5310/71, §161, 18 იანვარი, 1978.

„საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, გამოკვლევის გარეშე მტკიცებულებად მიიღება ნებისმიერი გარემოება თუ ფაქტი, რომელზედაც მხარეები შეთანხმდებიან. ამავე კოდექსის 82-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, „გამამტკუნებელი განაჩენით პირის დამნაშავედ ცნობისთვის საჭიროა გონივრულ ეჭვს მიღმა არსებულ შეთანხმებულ მტკიცებულებათა ერთობლიობა“. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი თავის თავში გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას, ან წარდგენილ

¹⁸⁸ ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 28 ივნისის განაჩენი, საქმე №1/115-2016.

¹⁸⁹ იქვე.

პრალდებაში გამართლებას, უტყუარი და საქმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. მტკიცებულებათა შეფასების პროცესში სასამართლო „გონივრულ ეჭვს მიღმა“ სტანდარტით ხელმძღვანელობს (*Ireland v. The United Kingdom, §161*).

სასამართლოს მიაჩნია, რომ გ. გ-ს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126¹-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას, გარდა მისი აღიარებითი ჩვენებისა, უტყუარად ადასტურებს შემდეგ მტკიცებულებათა ერთობლიობას: დაზარალებულ რ. გ-ს დაკითხვის ოქმები; მოწმეების დაკითხვის ოქმები; სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნა; სხეულის გარეგნული დათვალიერების ოქმი და ფოტოსურათები; შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმი და ფოტოსურათები; საქმეში არსებული სხვა მასალები და მტკიცებულებები¹⁹⁰.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს რამდენიმე განაჩენში¹⁹¹ საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას მოკლედ მიმოხილულია (საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან მისადაგების გარეშე) ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), №9043/05, 8 სექტემბერი, 2014: „საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანისას სასამართლო ხელმძღვანელობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ გადაწყვეტილებაში ჩამოყალიბებული განმარტებით, საქმის „ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ“, რომლის თანახმად, საპროცესო შეთანხმებაზე თანხმობის განცხადებით, ბრალდებული ნებაყოფლობით თმობს თავის უფლებებს საქმის არსებითი განხილვისა და გადაწყვეტილების სააპელაციო წესით გადასინჯვის თაობაზე, რაც საპროცესო შეთანხმების ჩვეული შედეგია“.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განაჩენების სტრასბურგის სასამართლოს ზემოაღნიშნული საქმე შინაარსობრივად მართებულადაა მოხმობილი, თუმცა არ არის დაცული ციტირების სტანდარტი, კერძოდ, საქმის სახელწოდება მოცემულია ქართულ ენაზე, საქმის ორიგინალ ენაზე არსებული სახელწოდების, საქმის ნომრისა და შესაბამისი (§96) პარაგრაფის მითითების გარეშე.

ფოთის საქალაქო სასამართლო სხვა სასამართლოების¹⁹² მსგავსად ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს საქმეებს მოიხმობს საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე მსჯელობისას: „საქმის არსებითი განხილვის უფლებაზე ბრალდებულის მიერ უარის თქმას იცნობს ასევე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლი, რომლის თანახმად, იმ შემთხვევაში, როცა უფლებაზე უარის თქმა ხორციელდება აშკარა და არაორაზროვანი ფორმით, უზრუნველყოფილია დაცვის მინიმალური გარანტიები და უფლებაზე უარი არ ეწინააღმდეგება საჯარო ინტერესს, ასეთი ფორმით გამოხატული უარი უფლებაზე არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციის (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Natsvlishvili and Togonidze v. Georgia (08.09.2014); Scoppola v. Italy (17.09.2009); Poitrimol v. France (23.11.1993); Hermi v. Italy (18.10.2006)*).

¹⁹⁰ იქვე.

¹⁹¹ ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2017 წლის განაჩენები საქმეებზე: №1/67-17 (2017 წლის 20 თებერვალი); №1/302-17 (2017 წლის 27 სექტემბერი); №1/79-17 (2017 წლის 24 თებერვალი); №1/118-17 (2017 წლის 25 მარტი); №1/225-17 (2017 წლის 14 ივნისი) და №1/261-17 (2017 წლის 5 ოქტომბერი).

¹⁹² ოზურგეთის რაიონული სასამართლო; ზუგდიდის რაიონული სასამართლო.

მოცემულ შემთხვევაში ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებიც უდავოდ არის ცნობილი დაცვის მხარის მიერ, არ ტოვებს ეჭვს ბრალდებულის ქმედების არც ერთ ნიშანთან დაკავშირებით, რის გამოც კ.პ. ცნობილ უნდა იქნეს დამაშავედ სწორედ წარმოდგენილი კვალიფიკაციით (გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ბრალდების დადასტურების აუცილებლობის შესახებ იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებები საქმეებზე: *Barbera, Messegué and Jabardo v. Spain; Lavents v. Latvia; Melich and Beck v. the Czech Republic*)¹⁹³.

ფოთის საქალაქო სასამართლოს განაჩენიდან¹⁹⁴ ჩანს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებზე ზოგადი მითითება ხდება საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე მსჯელობისას სასამართლებრივი არგუმენტაციის გამყარების მიზნით. აღსანიშნავია, რომ სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებების მოხმობა ხდება საქმის ნომრისა და შესაბამისი პარაგრაფის მითითების გარეშე, რაც ართულებს წყაროს გადამოწმების შესაძლებლობას.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016-2017 წლების განაჩენთა უმრავლეს ნაწილში ფოთის საქალაქო სასამართლოს მსგავსად, საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისა და გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტზე მსჯელობისას მოხმობილია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებები ანალოგიურ ფორმატში. დამატებით გამოიკვეთა, რომ სასჯელის სახის განსაზღვრისას და პირობითი მსჯავრის გამოყენების დროს სასამართლო სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებს არარელევანტურად უთითებს¹⁹⁵: „ი.პ.-მ აღიარა და მოინანია ჩადენილი დანაშაული, არის შეზღუდული შერაცხადობის მქონე პირი, მეუღლესთან შერიცხებულია, ცხოვრობენ ერთად და ეწევიან ერთიან საოჯახო მეურნეობას, მონაწილეობს ბავშვების აღზრდასა და მატერიალურ უზრუნველყოფაში და სასამართლოს მიაჩნია, რომ მას სასჯელი უნდა დაენიშნოს იმ ზომით, რაც შეესაბამება მსჯავრდებულის ქმედების სიძიმეს, მის პიროვნებას და დანაშაულის შემდგომ ქცევას და რაც არ იქნება მკაცრი და უსამართლო, რაც სასამართლოს აზრით, უფრო მეტად შეუწყობს ხელს სამართლიანობის აღდგენას და მის საზოგადოებაში ინტეგრაციას, აღნიშნული მიღომა სრულ თანხვედრაშია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასთან, სასამართლომ საქმეზე *Olsson v. Sweden* სასჯელის სახედ თავისუფლების აღკვეთის გამოყენებასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას და პროპორციული უნდა იყოს დასახულ მიზანთან. საქმეზე *Dudgeon v. The United Kingdom* იმსჯელა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მნიშვნელობაზე და განმარტა, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას მუდმივად გასდევს სამართლიანი ბალანსის ძიება საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვას შორის.

პირობითი მსჯავრის გამოყენებასთან დაკავშირებით განსაკუთრებით მნიშვნელოვანია *stogmuller*-ის (1969 წლის 19 ნოემბერი) და *schiesser*-ის (1979 წლის 04 დეკემბერი) საქმეები, რომლის შესაბამისად, პირობით გათავისუფლება აუცილებელია, მაშინ როდესაც საჭირო არ არის თავისუფლების აღკვეთის დანიშვნა.¹⁹⁶

¹⁹³ ფოთის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/185-2017.

¹⁹⁴ იქვე.

¹⁹⁵ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 10 თებერვლის განაჩენი, საქმე №1/36-2017.

¹⁹⁶ იქვე.

აღსანიშნავია, რომ პირველ აბზაცში განაჩენში ციტირება საქმიდან ოლსონი შვედეთის წინააღმდეგ (Olsson v. Sweden), №13441/87, 17 აპრილი, 1991, არ არის მართებულად მოყვანილი. კერძოდ, მოცემული გადაწყვეტილება, რომელიც მიიღო ადამიანის უფლებათა ევროპულმა კომისიამ, ეხება განმცხადებელთა სამი შვილის მზრუნველობაში გადაცემის შესახებ შვედეთის ხელისუფლების გადაწყვეტილებას. შესაბამისად, კომისიამ სწორედ ამ გადაწყვეტილების აღსასრულებლად გამოყენებული ღონისძიების შეფასებისას აღნიშნა, რომ იგი არ იყო პროპორციული ლეგიტიმური მიზნის მისაღწევად და ეროვნული ხელისუფლების ორგანოების ფართო მიხედულების ფარგლების მიუხედავად, საჭირო დემოკრატიულ საზოგადოებაში (§81-83). რაც შეეხება, საქმეს დადჯენი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (Dudgeon v. The United Kingdom), №45, 22 ოქტომბერი, 1981, სერია A, აღნიშნული გადაწყვეტილება ეხებოდა ზრდასრულებს შორის ჰომოსექსუალური ურთიერთობისთვის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის აკრძალვას. გაერთიანებული სამეფოს მთავრობა ამტკიცებდა, რომ ჰომოსექსუალიზმის აკრძალვა აუცილებელი იყო დემოკრატიულ საზოგადოებაში ჯანმრთელობისა და ზნეობის დასაცავად, შესაბამისად, გაერთიანებულ სამეფოს შეეძლო კონვენციის მე-8 მუხლის მართლზომიერი შეზღუდვა, რომელიც იცავს პირადი ცხოვრების უფლებას. ევროპული სასამართლო დაეთანხმა გაერთიანებული სამეფოს მთავრობის შეხედულებას, რომ ჩრდილოეთ ირლანდიის საზოგადოება კონსერვატიულია ზნეობის საკითხებში, თუმცა არ გაიზიარა მოპასუხე მთავრობის მტკიცება იმის შესახებ, რომ ჰომოსექსუალიზმისათვის სისხლისამართლებრივი სასჯელის არსებობა მწვავე საზოგადოებრივი საჭიროებიდან გამომდინარეობდა და ასეთი სასჯელის არსებობა ჯანმრთელობისა და ზნეობის დაცვის მიზნის პროცესიული იყო.

მეორე აბზაცში მიზანშენონილია სტრასბურგის საქმეების სახელწოდებები შემდეგნაირად იყოს მითითებული: სტოგმიულერი ავსტრიის წინააღმდეგ (Stogmuller v. Austria), №1602/62, 10 ნოემბერი, 1969 და შეისერი შვეიცარიის წინააღმდეგ (შცჰიესერ ვ. შნიტზერლანდ), №7710/76, 4 დეკემბერი, 1979, ამასთან მითითებული გადაწყვეტილებები ეხება აღკვეთი ღონისძიების გამოყენების საკითხს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსგავსი ციტირება გვხვდება ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის განაჩენშიც¹⁹⁷.

ერთ-ერთ განაჩენში¹⁹⁸ კი ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ სასჯელის შეფარდებისას მართებულად აღნიშნა: „საგულისხმოა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიდგომა სასჯელის მიმართებაში, კერძოდ, „ვინტერი და სხვები გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ (2012 წლის 17 იანვრის გადაწყვეტილება); სასამართლომ განმარტა, რომ აშკარად არაპროპორციული სასჯელი დაარღვევდა ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის მოხვევებს; კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, არავინ არ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან ღირსების შემდახველ მოპყრობას ან დასჯას; ამდენად სასჯელი არ უნდა იყოს აშკარად არაგონივრული და არაპროპორციული საშუალება კანონმდებლის მიერ დასახული მიზნის მისაღწევად (სამართლიანობის აღდგენა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და დამნაშავის რესოციალიზაცია) და არ უნდა იწვევდეს პირის კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების დაუსაბუთებლად შეზღუდვას“¹⁹⁹.

¹⁹⁷ ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 2 ოქტომბერის განაჩენი, საქმე №1-226/17.

¹⁹⁸ ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 12 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/97-2017.

¹⁹⁹ იქვე.

საჩხერის რაიონული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკასა და ბავშვის უფლებათა კონვენციის აქტიურად იყენებს მტკიცებულება-თა შეფასებისა და ბავშვის საუკეთესო ინტერესის შესახებ მსჯელობისას იმ განაჩე-ნებში, სადაც ოჯახში ძალადობა ჩადენილია არასრულწლოვნის თანდასწრებით: „ადა-მიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *TANIS AND OTHERS v. TURKEY* განმარტაშემდეგი: წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამარ-თლო ითვალისწინებს უკვე დადგენილ სტანდარტს – კონვიციულ ეჭვს მიღმა. მსგავსი მტკიცება შეიძლება გამომდინარებდეს მხოლოდ საქმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნებიდან ან მსგავსი უდავო ფაქტების ვარაუდიდან; მოცემულ შემთხვევაში წარმოდგენილი მტკიცებულებები სრულად აკმაყოფილებენ აღნიშნულ სტანდარტს.

გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით ბრალდების დადასტურების ვალდებულება პრო-კურორს ეკისრება არა მხოლოდ საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კა-ნონმდებლობით, არამედ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციითაც, რაც ასევე განმტკიცებულია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სა-მართლით. კერძოდ, საყოველთაოდ აღიარებულია, რომ არ შეიძლება სასამართლომ პირი ცნოს დამნაშავედ, თუ მის ბრალეულობაში ეჭვის შეტანაა შესაძლებელი (*in dubio pro reo*- ეჭვის ბრალდებულის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი) (იხ. გადაწყვე-ტილებები საქმეებზე: *Barbera, Messegué and Jabardo v. Spain; Lavents v. Latvia; Melich and Beck v. the Czech Republic*)²⁰⁰.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე აბზაცებში ციტირების მოხმობისას არ არის მოცე-მული საქმეთა ნომრები და შესაბამისი პარაგრაფები, აგრეთვე, არასწორად არის წარ-მოდგენილი ორი საქმის სახელწოდება: *TANIS AND OTHERS v. TURKEY* ნაცვლად უნდა იყოს ტანიჩიდა სხვები თურქეთის წინააღმდეგ (*Tanis and Others v. Turkey*), №65899/01, §160 (a) 30 ნოემბერი, 2005, ხოლო *Barbera, Messegué and Jabardo v. Spain* ნაცვლად უნდა იყოს ბარბერა, მესეგუე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (*Barbera, Messegué and Jabardo v. Spain*), №10590/83, 6 დეკემბერი, 1988, იმავე განაჩენში აღნიშნულია: „მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ერთ-ერთი მოწმე არასრულწლოვანი ი. მ, რომლის მიმართაც მართლმსაჯულების მიზანია არ განხორციელდეს ხელახალი ან/და მეორეული ვიქტიმიზაცია; ამასთან დაკავშირებით, „ბავშვის უფლებათა კონვენ-ციის“ მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად მონაწილე სახელმწიფოები პატივს სცემენ და უზრუნველყოფენ მათი იურისდიქციის ფარგლებში მყოფი თითოეული ბავშვის ყვე-ლა უფლებას, რომელიც წინამდებარე კონვენცითაა გათვალისწინებული, ნებისმიერი სახის დისკრიმინაციის გარეშე, რასის, კანის ფერის, სქესის, ენის, რელიგიის, პოლიტი-კური თუ სხვა მრწამსის, ეროვნული, ეთნიკური თუ სოციალური წარმოშობის, ქონებ-რივი მდგომარეობის, ბავშვის, მისი მშობლებისა და კანონიერი მეურვეების ჯანმრთე-ლობისა და დაბადების მდგომარეობის ან სხვა რამ ვითარების განურჩევლად. მონაწი-ლე სახელმწიფოები ყოველგვარ აუცილებელ ზომას ღებულობებს დისკრიმინაციის ყველა იმ ფორმისა და სასჯელისაგან ბავშვის დაცვის უზრუნველსაყოფად, რომლე-ბიც უკავშირდება ბავშვის, ბავშვის მშობლების, კანონიერი მეურვეების ან ოჯახის სხვა წევრთა სტატუსს, საქმიანობას, მათ მიერ გამოთქმულ შეხედულებებს და მათ გამ-ულავნებულ მრწამსს.

ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, - სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომ-

²⁰⁰ საჩხერის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 17 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/74-2017.

ლებიც მუშაობენ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

მონაწილე სახელმწიფოები, ითვალისწინებენ რა ბავშვის მშობლის, ბავშვის მიმართ პასუხისმგებლობის მტვირთველი კანონიერი მეურვეებისა და სხვა პირების უფლებებსა და მოვალეობებს, ვალდებულებას იღებენ უზრუნველყონ ბავშვი ისეთი დაცვითა და მზრუნველობით, რომელიც აუცილებელია მისი კეთილდღეობისათვის და ამისათვის იღებენ ყველა საკანონმდებლო და ადმინისტრაციულ ზომას.

მონაწილე სახელმწიფოები უზრუნველყოფენ, რომ ბავშვისათვის ზრუნვაზე ან მის დაცვაზე პასუხისმგებელი დაწესებულებები, სამსახურები ან ორგანოები შეესაბამებოდნენ კომპეტენტური ორგანოების მიერ დაწესებულ ნორმებს, კერძოდ, უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მათი პერსონალის რიცხობრიობას და ვარგისიანობას, აგრეთვე კომპეტენტური ზედამხედველობის თვალსაზრისით²⁰¹.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მართებულად ცდილობს მოძალადის ქმედების შეფასებისას ყურადღების მიღმა არ დატოვოს არასრულწლოვანი მოწმის საუკეთესო ინტერესი.

ამბოლაურის რაიონული სასამართლო ბრალდებულისათვის სასჯელის სახის განსაზღვრისას (არასრულწლოვნის თანდასწრებით განხორციელებული ძალადობისას) აქტიურად მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკას პროპორციულობის ტესტისა და კანონის უზენაესობის განმარტებისას²⁰²: „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Olsson v. Sweden* დაადგინა: „... აუცილებლობის ცნება გულისხმობს, რომ შეზღუდვა უნდა წარმოადგენდეს მწვავე სოციალურ საჭიროებას და განსაკუთრებით კი, პროპორციული უნდა იყოს დასახულ კანონიერ მიზანთან“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Dudgeon v. the United Kingdom* იმსჯელა შემწყნარებლობისა და ფართო აზროვნების შესახებ, როგორც დემოკრატიული საზოგადოების ორ ნიშან-თვისებაზე. მე-8 მუხლის კონტექსტში სასამართლომ ხაზი გაუსვა დემოკრატიულ საზოგადოებაში კანონის უზენაესობის მნიშვნელობას.

საქმეში *Soering v. The United Kingdom* სასამართლომ განაცხადა: „ის, რაც კონვენციას მუდმივად გასდევს, არის სამართლიანი ბალანსის ძიება საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის.“

ქვეყნის შიდა გადაწყვეტილებების მე-8 მუხლთან შესაბამისობის საკითხის გადახედვის მიზნით, სასამართლო მიმართავს პროპორციულობის ტესტს და მისი როლი მდგომარეობს შემდეგში: მთლიანად საქმის გათვალისწინებით, ხელისუფლების ორგანოებს გააჩნდათ თუ არა „შესაბამისი და საქმის მიზეზები“ სადაცო ღონისძიებების გამოსაყენებლად (*Olsson v. Sweden*).

იმის დადგენა, რამდენად იყო ჩარევა პროპორციული, მოიცავს შემდეგ ფაქტორებზე მსჯელობას: ა) ინტერესი, რომელიც დაცული უნდა იქნეს შეზღუდვისგან, ბ) შეზღუდვის სიმკაცრე და გ) მწვავე სოციალური საჭიროება, რომელიც სახელმწიფო უნდა

²⁰¹ იქვე.

²⁰² ამბოლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ივნისის განაჩენი, საქმე №1-18/17.

დააკმაყოფილოს.

მითითებული გარემოებების გათვალისწინებით ე. ს-ს მიმართ პირობითი მსჯავრის გამოყენებით დაცული იქნება ბალანსი საზოგადოების ზოგადი ინტერესის მოთხოვნებსა და ინდივიდის ფუნდამენტური უფლებების დაცვის მოთხოვნებს შორის²⁰³.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო მართებულად ახდენს სტრასბურგის სასამართლო გადაწყვეტილებების ციტირებას და ზოგადად, მის მისადაგებას საქმის ფაქტობრივ გარემოებებთან, თუმცა მასალის წყაროს მარტივად მოძიების მიზნით, აუცილებელია მითითებული იყოს შესაბამისი საქმის ნომერი, მიღების თარიღი და რელევანტური პარაგრაფი.

ამბროლაურის რაიონული სასამართლო²⁰⁴ ბავშვის საუკეთესო ინტერესზე მსჯელობისას ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა კონვენციას, ამასთან, ვინაიდან საქმე²⁰⁵ შეეხებოდა არასრულწლოვან მოძალადეს, მოსამართლე დამატებით ციტირებას ახდენს არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ გაეროს მინიმალური სტანდარტული წესებიდან (პეკინური წესები).

„გაეროს ბავშვთა უფლებათა კონვენციის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად: ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას, მიუხედავად იმისა, თუ ვინ არის მათი განმახორციელებელი, – სახელმწიფო თუ კერძო დაწესებულებები, რომელიც მუშაობებ სოციალური უზრუნველყოფის საკითხებზე, სასამართლოები, ადმინისტრაციული თუ საკანონმდებლო ორგანოები – უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას.

„გაეროს მინიმალური სტანდარტული წესები არასრულწლოვანთა მიმართ მართლმსაჯულების განხორციელების შესახებ“ (პეკინური წესები) მე-17 მუხლის „ა“, „ბ“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტების თანახმად, რომელიც სახელმძღვანელო პრინციპია სასამართლო განხილვისას და გადაწყვეტილების გამოტანისას, ზემოქმედების ზომა ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო სამართალდარღვევის სიმძიმისა და გარემოებების პროპორციული, არამედ ასევე არასრულწლოვნის მდგომარეობის და მოთხოვნების, ასევე საზოგადოების მოთხოვნების პროპორციული, არასრულწლოვნის პირადი თავისუფლების შეზღუდვა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ დაწერილებით განხილვის შემდეგ და უნდა შემოიფარგლოს შესაძლო მინიმუმით, პირადი თავისუფლების შეზღუდვა არ გამოიყენება, თუ არასრულწლოვანს არ ასამართლებენ სერიოზული ქმედებისათვის სხვა პირის მიმართ ძალადობით ან სხვა სერიოზული სამართალდარღვევის არაერთჯერადი ჩადენისათვის და თუ არ არსებობს სხვა შესაბამისი ზემოქმედების ზომა, არასრულწლოვნის კეთილდღეობა არის გადამწყვეტი ფაქტორი მისი საქმის განხილვისას.

ბავშვის უფლებათა კონვენცია ითვალისწინებს, რომ ბავშვის მიმართ ნებისმიერ ქმედებათა განხორციელებისას უპირველესი ყურადღება ეთმობა ბავშვის საუკეთესო ინტერესების დაცვის უკეთ უზრუნველყოფას, პროპორციული პრინციპის შესაბამისად, არასრულწლოვნის მიერ ჩადენილ დანაშაულზე რეაგირება ყოველთვის უნდა იყოს არა მარტო დანაშაულის ვითარებისა და სიმძიმის პროპორციული, არამედ ბავშვის ასაკის, ნაკლები ბრალეულობის, ბავშვის მდგომარეობისა და საჭიროებებისას, ასევე საზოგადოების სხვადასხვა გრძელვადიანი საჭიროების პროპორციულიც, სასჯელის შეფარ-

²⁰³ იქვე.

²⁰⁴ საჩხერის რაიონული სასამართლოს მსგავსად.

²⁰⁵ ამბროლაურის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 8 დეკემბრის განაჩენი, საქმე №1/35-17.

დეპის მიზანი უნდა იყოს რეინტეგრაცია, იგი უნდა იყოს კონსტრუქციული და არა სა-დამსჯელო ხასიათის²⁰⁶.²⁰⁶

ბოლნისის რაიონული სასამართლოს განაჩენებში ხშირად გვხვდება ციტირება სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან საპროცესო შეთანხმების დამტკიცებასთან მიმართებით მსჯელობისას:²⁰⁷ „აქვე სასამართლო აღნიშნავს, რომ საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ბრალდებულს არ უზღუდავს ადამიანის უფლება-თა ევროპული კონვენციითა და მისი დამატებითი ოქმებით მინიჭებულ უფლებებს. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (საქმის სამართლიანი განხილვის უფლება) სულისკვეთებასთან შეუთავსებელი არაა, როდესაც ბრალდებული საკუთარი თავისუფლება ნების საფუძველზე უარს ამბობს ზოგიერთ საპროცესო უფლებაზე (იხ. *Kwiatkowska v. Italy*, განაცხადი no. 52868/99, 2000 წლის 30 ნოემბრის გადაწყვეტილება). ამასთან, იმისათვის რომ აღნიშნული ჩაითვალოს კონვენციის მოთხოვნების შესაბამისად, იგი გამოხატული უნდა იყოს ცხა-დად და არაორაზროვნად, გაცნობიერებულად, მისი თავისუფლების ნების საფუძველზე (*Colozza v. Italy*, 1985 წლის 12 თებერვლის გადაწყვეტილება). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – *Natsvlishvili and Togonidze v. Georgia*, 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, პუნქტები 90-91, აღნიშნა, რომ ევროპული სისხლის სა-მართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელია, ბრალდებულმა მიიღოს მსუბუქი სასჯელი ან გათავისუფლდეს სასჯელისაგან დანაშაულის აღიარების ან გამოძიებას-თან თანამშრომლობის გამო (იხ. აგრეთვე *Slavcho Kostov v. Bulgaria*, პ. 17, 2008 წლის 27 ნოემბრის გადაწყვეტილება; *Rucinski v. Poland*, პ.12, 2007 წლის 20 თებერვლის გა-დაწყვეტილება) და რომ ამ პროცესში არაფერია შეუსაბამო კონვენციის მოთხოვნებ-თან (იხ. აგრეთვე *Babar Ahmad and others v. The United Kingdom (dec.)*, nos 24027/07, 11949/08 and 36742/08, Echr 6.07.10). პირიქით, იგი ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ საპრო-ცესო შეთანხმება, მისი სწორად გამოყენების შემთხვევაში, გარდა სწრაფი მართლმსა-ჯულების განხორციელებისა და სასამართლოებისა და მხარეთა გადატვირთულობის შემცირებისა, შესაძლოა, აგრეთვე იყოს მსუბუქი სასჯელების გამოყენებისა და შესა-ბამისად, პატიმართა რაოდენობის შემცირების კარგი შესაძლებლობა. საპროცესო შე-თანხმების საფუძველზე ზოგიერთ საპროცესო უფლებაზე უარის თქმით სისხლის სა-მართალწარმოების შემცირება ხდება, მაგრამ აღნიშნული არ შეიძლება, დარღვევად ჩაითვალოს კონვენციის მე-6 მუხლის შესაბამისად (იხ. აგრეთვე *Scoppola v. Italy*, პ.135, 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, პ 135). უფლებაზე უარის თქმა უნდა გან-ხორციელდეს აშკარადა არაორაზროვნანი ფორმით და უზრუნველყოფილი უნდა იყოს დაცვის მინიმალური გარანტიები. ამასთან, უფლებებზე უარის თქმა არ უნდა ეწინააღ-მდეგებოდეს საჯარო ინტერესს (იხ. აგრეთვე *Scoppola v. Italy*, პ.135-136, 2009 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილება, *Poitrimol v. France*, პ.31, 1993 წლის 23 ნოემბრის გადაწყვეტილება; *Hermi v. Italy*, პ.73, 2006 წლის 18 ოქტომბრის გადაწყვეტილება). საპროცესო შეთანხმებისათვის აუცილებელია, რომ ბრალდებული სრულად აცნობიე-რებდეს საპროცესო შეთანხმების ფაქტობრივ საფუძველს და სამართლებრივ შედე-გებს და მისი თანხმობა საპროცესო შეთანხმების დამტკიცებაზე უნდა იყოს ჭეშმარი-ტად ნებაყოფლობითი. სასამართლო ჯეროვნად უნდა შეამოწმოს და გამოიკვლიოს საპროცესო შეთანხმების პირობები და იმ გარემოს სამართლიანობა, რომელშიც მხა-რეები შეთანხმდნენ. ამასთან, მნველოვანია სასამართლოს მიერ აღნიშნული გარე-მოებების საჯარო სასამართლო სხდომაზე გარკვევა (*Natsvlishvili and Togonidze v. Georgia*, 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, პ.92 და 95).

²⁰⁶ იქვე.

²⁰⁷ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 29 მარტის განაჩენი, საქმე №1/71-17.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლი სახელმწიფოს უფოვებს დისკრეციას, განსაზღვროს განაჩენის გასაჩივრების უფლების რეალიზების მოდალობები გასაჩივრების საფუძვლების ჩათვლით. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკის თანახმად, დისკრეციის აღნიშნული ფარგლები ფართოა. აღნიშნული უფლება, როგორც წესი, ირლვევა მაშინ, როდესაც შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა არ ითვალისწინებს გასაჩივრების შესაძლებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით ნებადართული სამი გამონაკლისიდან, თუნდაც ერთ-ერთს არ ემთხვევა (იხ. Zaicevs v. Latvia, 2007 წლის 3 ივლისის გადაწყვეტილება პ.53).

მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში – Natsvlishvili and Togonidze v. Georgia, 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, პ.96, აღნიშნა, რომ რადგან ბრალდებული უარს ამბობს საქმის არსებით განხილვაზე, ჩვეულებრივი წესით განხილულ საქმეებზე გამოტანილი განაჩენის გასაჩივრების საშუალებებთან შედარებით საპროცესო შეთანხმების დამტკიცების თაობაზე განაჩენის გასაჩივრების მექანიზმის შეზღუდულობა არ ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-7 დამატებითი ოქმის მე-2 მუხლის მოთხოვნებს (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia, 2014 წლის 24 აპრილის გადაწყვეტილება, პ.96).

ამდენად, სასამართლოს მიაჩნია, რომ პოლნისის რაიონული სასამართლოს პროკურატურის პროკურორ ლ.გ-ს შუამდგომლობა ბრალდებულ ა.ს-ს მიმართ საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის შესახებ საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს²⁰⁸.

აღნიშნულ შემთხვევაში სასამართლო საპროცესო შეთანხმების დამტკიცების დასაბუთებისას შეეცადა ვრცლად მიმოეხილა ევროპული სასამართლოს რელევანტური გადაწყვეტილებები, თუმცა იკვეთება ციტირების განსხვავებული სტილი. კერძოდ, რიგ შემთხვევაში, სასამართლო არგუმენტაციის გასამყარებლად მართებულად უთითებს სტრასბურგის საქმიდან შესაბამის პარაგრაფს, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში წარმოდგენილია ზოგადი მითითება.

ერთ-ერთ განაჩენში,²⁰⁹ სასამართლომ, რომელიც შეეხებოდა ოჯახში ძალადობას არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფ პირის მხრიდან, აღნიშნა: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენციის მე-8 მუხლი (პირადი და ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება) არ განასხვავებს „კანონიერ“ და „უკანონ“ ოჯახებს (მარქსი ბელგიის წინააღმდეგ (Marckx v. Belgium), №6833/74, ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პლენურის 1979 წლის 13 ივნისის გადაწყვეტილების პუნქტი 31). ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ ეს მიღებომა შემდგომ პრაქტიკაშიც შეინარჩუნა. კონვენციის მე-8 მუხლით გარანტირებული ოჯახური ცხოვრების დაცულობის უფლება მხოლოდ დაქორწინებულ პირებზე არ ვრცელდება და შეიძლება მოიცავდეს დე ფაქტო ოჯახსაც, რომლის მხარეები რეგისტრირებულ ქორწინებაში არ იმყოფებიან ალიმირუსეთის წინააღმდეგ (Alim v. Russia), №39417/07, გ. 69, 27 სექტემბრი, 2011“.²¹⁰

²⁰⁸ იქვე.

²⁰⁹ ბოლნისის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი, საქმე №1/157-17.

²¹⁰ იქვე.

თელავის რაიონული სასამართლო საპროცესო შეთანხმების დამტკიცებისას ბოლნისის რაიონული სასამართლოს მსგავსად, მოიხმობს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებებს საქმეებზე: ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia), №9043/05, §90, §91, §92, §95, 8 სექტემბერი, 2014; სლავჩო რუსეთის წინააღმდეგ (Slavcho Kostov v. Bulgaria), №28674/03, §17, 27 ნოემბერი, 2008; რუსინსკი პოლონეთის წინააღმდეგ (Rucinski v. Poland), №33198/04, §12, 9 ივლისი, 2007).

ზოგიერთ განაჩენში²¹¹ მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლო ზოგადად აღნიშნავს შემდეგს: „ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განმარტებულია, რომ მტკიცებულებათა შეფასება, მათ შორის, მათი რელევანტურობის განსაზღვრა, არის ეროვნული სასამართლოების პრეროგატივა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 1988 წლის 6 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე Barbera, Messegué and Jabardo v. Spain, no. 10590/93, 06/12/1988, პუნქტი 68). ევროპული სასამართლო მიიჩნევს, რომ შიდასახელმწიფოებრივი სასამართლო უკეთეს პოზიცია, ევროპულ სასამართლოსთან შედარებთ, რათა შეაფასოს მტკიცებულება, დაადგინოს ფაქტები და განმარტოს შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობა (იხ. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2010 წლის 8 აპრილის გადაწყვეტილება საქმეზე Bulychevy v. Russia, no.24086/04, 04/10/2010, პუნქტი 32)“. აქვე, აღსანიშნავია, რომ მსგავსი ციტირება გვხვდება ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2017 წლის ერთერთ განაჩენში²¹².

სამტრედის რაიონული სასამართლო დაცვის მხარის მოწმეების ჩვენების შეფასებისას ციტირებას ახდენს ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან და ცდილობს აღნიშნული მიუსადაცოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს²¹³: „სასამართლოს მიზანშეწონილად მიაჩნია აღნიშნოს, რომ ყოველი მტკიცებულება, მათ შორის, მოწმის ჩვენება, უნდა შეფასდეს მისირელევანტურობის და უტყუარობის თვალსაზრისით. დაუშვებელია ჩვენების, როგორც მტკიცებულების უტყუარობაში ეჭვის შეტანა და მისი უარყოფა მხოლოდ იმ მოგივით, რომ ის დაინტერესებულ მოწმეს ეკუთვნის, იქნება ეს ბრალდების თუ დაცვის მხარე. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განხილული საქმე პოპოვი რუსეთის წინააღმდეგ ((Popov v. Russia), no.26853/04), სადაც სასამართლომ არ გაიზიარა დაცვის მოწმეების: ბრალდებულის მეზობლისა და დურგლის ჩვენებები. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ ის არ არის მოწოდებული დაადგინოს ეროვნულ დონეზე საქმეში არსებული მტკიცებულების რელევანტურობა პირის ბრალეულობისთვის, მაგრამ ამ საქმეზე განაცხადა, რომ ეროვნულმა სასამართლომ პირის ბრალეულობა დააფუძნა წინააღმდეგობრივ მტკიცებულებებს და იმავდროულად, არ გაიზიარა დაცვის მოწმეთა ჩვენებები, რომლებსაც ბრალდებულის უდანაშაულობაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია შეეძლოთ მიეწოდებინათ, რამაც ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის (უფლება სამართლიან სასამართლო განხილვაზე) დარღვევა შეადგინა (ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2006 წლის 13 ივლისის გადაწყვეტილების პუნქტები: 184-189). გარდა ამისა, ზ.გ-ს მიერ სასამართლოსათვის მიცემული ჩვენების სანდოობის განსაზღვრის კუთხით სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ბრალდების მხარის მიერ დასკვნით სიტყვაში მითითებულ გარემოებას იმის

²¹¹ თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენები, საქმეებზე: №1/159-17 (2017 წლის 14 აგვისტო); №1/205-16 (2016 წლის 23 ოქტომბერი) და №1/307-16 (2017 წლის 18 მაისი).

²¹² ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 4 ივლისის განაჩენი, საქმე №1/37-17.

²¹³ სამტრედის რაიონული სასამართლოს 2017 წლის 25 ივლისის განაჩენი საქმეზე №1/74-17.

თაობაზე, რომ ი. ს. ზ.გ-ს არ აძლევდა სახლის დატოვების საშუალებას და გამოართვა ტელეფონი და განმარტავს, რომ ლოგიკურად ასეთი გარემოების არსებობის შემთხვევაში, ზ.გ-ს მობილური ტელეფონი ამოღებული უნდა ყოფილიყო ი. ს-ს გან, თუმცა ასეთი საქმის მასალებში არ მოიპოვება. საქმეში არსებული დათვალიერების ოქმის მიხედვით კი, ზ. გ-მ გამოძიებას წარუდგინა მისი კუთვნილი მობილური ტელეფონი. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლო არ იზიარებს დაზარალებულ ზ. გ-ს ჩვენებას, რომელიც მთლიანობაში წინააღმდეგობაში მოდის როგორც ბრალდების მხარის სხვა, ისე დაცვის მხარის მოწმეების ჩვენებებთან”.²¹⁴

ბათუმის საქალაქო სასამართლოს განაჩენებში სტრასბურგის სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მითითება გვხვდება მხოლოდ ბრალდებულის მიერ მტკიცებულებათა ავთენტურობისა და მისი გამოყენების შედავების შესაძლებლობაზე მსჯელობისას. კერძოდ, ორ განაჩენში²¹⁵ აღნიშნულია შემდეგი: „ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის თანახმად, ყოველი ადამიანი აღჭურვილია საქმის სამართლიანი განხილვის უფლებით. ადამიანის ამ ფუნდამენტური უფლების არსი გულისხმობს სასამართლოს მიერ პირის მსჯავრდებას მხოლოდ უტყუარი და საქმარისი მტკიცებულებების საფუძველზე. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ძირითადად ყურადღებას ამახვილებს ბრალდებულის უფლებაზე, მოახდინოს მტკიცებულების ავთენტურობისა და შინაარსის შედავება. ამის პარალელურად სასამართლო განსაკუთრებით უსვამს ხაზს მტკიცებულების შინაარსობრივ ხარისხს და მის სანდოობას (როგორც სამართლიანი განხილვის კომპონენტს), რადგან თუკი ეს არ იქნება უზრუნველყოფილი, დაირღვევა სამართლიანი უზენაესობის პრინციპი, რომელიც ევროპული კონვენციის პრეამბულაშია განმტკიცებული ძირითად ლირებულებად. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მიხედვით, უნდა შემოწმდეს კონკრეტულად მიეცა თუ არა განმცხადებელს შესაძლებლობა მოეხდინა მტკიცებულებათა ავთენტურობისა და მისი გამოყენების შედავების შანსი. დაამატებით, მტკიცებულებათა ხარისხი უნდა იქნეს მხედველობაში მიღებული, მათ შორის, ის გარემოებები, რომლებიც ქმნიან მისი სანდოობისა და სიზუსტის ეჭვებს (იარემენკო უკრაინის წინააღმდეგ (*Yaremenko v. Ukraine*), ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს 2008 წლის 12 ივნისის გადაწყვეტილება, პუნქტი 76). ევროპული სასამართლოს მიღებომა კონკრეტული მტკიცებულების უარყოფის (ავთენტურობა/შინაარსი) თვალსაზრისით გამომდინარეობს სამართლიანი განხილვის უფლებიდან. სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემული სისხლის საქმის განხილვის დროს ბრალდების მხარის მიერ წარმოდგენილი და მხარეების მიერ უდავოდ მიჩნეული მტკიცებულებები, ურთიერთშეთანხმებული და დამაჯერებელია”.²¹⁶

გურჯაანის რაიონული სასამართლო ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებას მოიხმობს მტკიცებულებათა შეფასების დროს.²¹⁷ „ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეში *TANIS AND OTHERS v. TURKEY*, განმარტა შემდეგი: „წერილობითი და ზეპირი მტკიცებულებების შეფასებისას სასამართლო ითვალისწინებს უკვე დადგენილ სტანდარტს – გონივრულ ეჭვს მიღმა. მსგავსი მტკიცება შეიძლება გამომდინარეობდეს მხოლოდ საკმარისად ძლიერი, ნათელი და შეთანხმებული დასკვნებიდან ან მსგავსი უდავო ფაქტების ვარაუდიდან. და-

²¹⁴ იქვე.

²¹⁵ ბათუმის რაიონული სასამართლოს 2017 წლის განაჩენები საქმეებზე №1-1043/17 (2017 წლის 21 დეკემბერი) და №1-429/17 (2017 წლის 27 ივნისი).

²¹⁶ იქვე.

²¹⁷ გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2016 წლის 4 ნოემბრის განაჩენი, საქმე №1/211-16.

მატებით უნდა აღინიშნოს, რომ მხარეთა ქცევა მტკიცებულებათა მოპოვებისას, შესაძლებელია იყოს მხედველობაში მიღებული²¹⁸.

აღსანიშნავია, რომ წინამდებარე აბზაცში ციტირების მოხმობისას არ არის მოცემული საქმის ნომერი, მისი მიღების თარიღი და შესაბამისი პარაგრაფი. ასევე, არასწორად არის წარმოდგენილი საქმის სახელწოდებაც: *TANIS AND OTHERS v. TURKEY* ნაცვლად უნდა იყოს ტანიჩი და სხვები თურქეთის წინააღმდეგ, (*Tanis and Others v. Turkey* no.65899/01, §160 (a) 30 ნოემბერი, 2005).

კვლევის წინამდებარე თავში განხილულ იქნა ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე პირველი ინსტანციის სასამართლოების პრაქტიკა, საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლს იყენებენ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთად, შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ძალზედ უმნიშვნელოა. როგორც წესი, სასამართლოები ციტირებას ახდენენ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკიდან, უმეტესწილად, ცდილობენ მიუსადაგონ ისინი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის შემდეგაც სასამართლო ასკვნის, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტითა და საერთაშორისო აქტით დადგენილი სტანდარტები მსგავსია და სასამართლო ამ ორი აქტის საფუძველზე იღებს განაჩენს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ განაჩენებში უმეტესწილად მეორდება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის ფარგლებში სტრასბურგის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები საქმეებზე: ბარბერა, მესაგე და ხაბარდო ესპანეთის წინააღმდეგ (Barbera, Messegue and Jabardo v. Spain), №10590/93, გ68, 6 დეკემბერი, 1988 და ბულიჩევი რუსეთის წინააღმდეგ (Bulychev v. Russia), №24086/04, გ32, 4 ოქტომბერი, 2010 და ნაცვლიშვილი და ტოგონიძე საქართველოს წინააღმდეგ (Natsvlishvili and Togonidze v. Georgia) №9043/05, გ96, 8 სექტემბერი, 2014). რაც შეეხება ოჯახში ძალადობის შესახებ რელევანტური საერთაშორისო აქტების ან/და ევროპული სასამართლოს პრეცედენტული გადაწყვეტილებების მოხმობის პრაქტიკას, ამ მხრივ, შეიძლება ითქვას, რომ მაჩვენებელი უმჯობესდება და ზოგიერთი სასამართლო (თბილისის საქალაქო და რუსთავის საქალაქო სასამართლოები, აგრეთვე, გორის რაიონული სასამართლო) მეტად გააქტიურდა და იყენებს ევროპის საბჭოს კონვენციას „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ“ („სტამბოლის კონვენცია“), ასევე სხვა რელევანტურ საერთაშორისო პრაქტიკას.

დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ თითქმის ყველა სასამართლო ძირითადად იყენებს მსგავს მასალას, შესაბამისად, სხვადასხვა სასამართლოს განაჩენებში ხშირად გვხვდება ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკიდან ციტირება ანალოგიურ ფორმატში. როგორც წესი, სასამართლოები ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილების მოხმობისას უთითებენ საქმის სახელწოდებას ორიგინალ ენაზე, მაგრამ არ უთითებენ საქმის ნომერს, მისი მიღების თარიღსა და შესაბამის პარაგრაფს. ზოგიერთ განაჩენში ციტირებულია შედარებით მოძვე-

²¹⁸ იქვე.

ლებული მასალაც, ასევე მეორდება საქმეების სახელწოდებაში შეცდომები.

კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უმჯობესი იქნება სასამართლოების პრაქტიკა განვითარდეს იმგვარად, რომ მოსამართლებმა ხშირად გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით, ადამიანის უფლებათა დაცვის უფრო მაღალ სტანდარტს ადგენს. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემაში ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის შესახებ საქმეებზე გენდერული სენსიტიურობის გაზრდას, დამნაშაულეთა სათანადო დასჯასა და ამგვარი კატეგორიის დანაშაულების პრევენციას. მნიშვნელოვანია აღვნიშნოთ, რომ „ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“ კონვენციის შესრულების შესახებ მიღებულ დასკვნით შეფასებებში, გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტმა შეშფოთება გამოთქვა კონვენციის შესახებ ინფორმირებულობისა და პირდაპირი მოქმედების ნაკლებობასთან დაკავშირებით და საქართველოს რეკომენდაციით მიმართა, უზრუნველყოს მოსამართლების (ასევე პროკურორებისა და ადვოკატების) ტრენინგები, რათა მათ საშუალება მიეცეთ პირდაპირ გამოიყენონ კონვენცია და ეროვნული საკანონმდებლო დებულებების ინტერპრეტაცია კონვენციის შესაბამისად მოახდინონ²¹⁹.

რეკომენდაცია:

- ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების განხილვისას მიზანშეწონილია სასამართლოებმა იხელმძღვანელონ რელევანტური საერთაშორისო აქტებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკით.

²¹⁹ [ob.<http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhslCrOlUTvLRFDjh6%2Fx1pWDqKYdAsZCi%2FpTG5mONu7rLEgGDzc4uYj4EX9q0OwgEtztAerYJ0NdpVEHSESZXwGVYxjsz8OaUw6uLeEqhG0qBpr7G2F1eAhw8U9lp5arMXA%3D%3D>](http://docstore.ohchr.org/SelfServices/FilesHandler.ashx?enc=6QkG1d%2FPPRiCAqhKb7yhslCrOlUTvLRFDjh6%2Fx1pWDqKYdAsZCi%2FpTG5mONu7rLEgGDzc4uYj4EX9q0OwgEtztAerYJ0NdpVEHSESZXwGVYxjsz8OaUw6uLeEqhG0qBpr7G2F1eAhw8U9lp5arMXA%3D%3D)

დასკვნა

საერთაშორისო სტანდარტების დანერგვა და მათი ეროვნულ სასამართლოთა გადაწყვეტილებებში გამოყენება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. აღნიშნული ხელს უწყობს ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის შემთხვევების აღკვეთას, დამნაშავეთა ადეკვატურად დასჯისა და მსხვერპლთა უსაფრთხოების სათანადოდ დაცვის გზით.

კვლევის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ ყოველწლიურად იზრდება ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების სასამართლოს მიერ განხილვის მაჩვენებელი, რაც გარკვეულწილად არის ოჯახში ძალადობისაგან დაცვის მექანიზმების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების მიზნით განხორციელებული ქმედითი ღონისძიებების შედეგი. თუმცა აღსანიშნავია, რომ საქმეთა ყველაზე მაღალი მაჩვენებლები ფიქსირდება თბილისა (სულ 256 საქმე) და ქუთაისში (სულ 164 საქმე), რაც სავარაუდოდ გამოწვეულია დიდ ქალაქებში მოსახლეობის არათანაბარი განაწილებით. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ასევე დაგინდება, რომ ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეთა განხილვის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა გურჯაანის რაიონული სასამართლო (სულ 94 საქმე) და რუსთავის საქალაქო სასამართლო (სულ 85 საქმე). აქვე მნიშვნელოვანია ითქვას, რომ საქმეთა ყველაზე დაბალი მაჩვენებლები გამოვლინდა საქართველოს დასავლეთ რეგიონში, კერძოდ, სენაკში (9 საქმე), ფოთსა (13 საქმე) და ამბროლაურში (8 საქმე). დამატებით, უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს ზოგიერთ ქალაქსა თუ რაიონში, მაგალითად, ოზურგეთში, რუსთავში, სამტრედიასა და თელავში, მკეთრად გაიზარდა განხილულ საქმეთა რაოდენობა. თუმცა ზოგადად, მზარდი ტენდენციის მიუხედავად, ბათუმში, ზესტაფონისა და მცხეთაში 2017 წელს დაფიქსირდა განხილულ საქმეთა მნიშვნელოვნად შემცირებული რაოდენობა.²²⁰

სასამართლო საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ ოჯახში ძალადობის მსხვერპლს უმეტესწილად ქალები წარმოადგენენ, ამასთან მსხვერპლის როლში ხშირ შემთხვევაში შეგვხვდენ მოწყვლადი პირები: ბავშვები, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები და მოხუცები, რომელთა უთანასწორო მდგომარეობა აადვილებს მათზე ძალადობის განხორციელებას. კერძოდ, სულ გაანალიზებულ 1236 განაჩენში არასრულწლოვან მსხვერპლთა რაოდენობამ შეადგინა 136, ხოლო ოჯახში ძალადობის ფაქტის მოწმე გახდა დაახლოებით 614 ბავშვი. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით კი ირკვევა, რომ 2017 წელს თითქმის გაორმაგდა წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილ ოჯახში ძალადობის ფაქტები (2016 წელს იყო 47 არასრულწლოვანი დაზარალებული, ხოლო 2017 წელს 89 მსხვერპლი ბავშვი). პოზიტიურ შეფასებას იმსახურებს ის ფაქტი, რომ ზოგიერთი სასამართლო (მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლო, საჩერის რაიონული სასამართლო და ამბროლაურის რაიონული სასამართლო) დაზარალებული ან/და მოწმე არასრულწლოვნის საუკეთესო ინტერესზე მსჯელობს სიღრმისეულად, საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით.

კვლევის შედეგების თანახმად, დაზარალებულთაგან დაახლოებით 7% იყო მოძალადის მხრიდან სისტემური შეურაცხყოფის მსხვერპლი. რაც შეეხება, ძალადობის ფორმებს, განაჩენთა უმრავლეს შემთხვევაში იდენტიფიცირებულია ფიზიკური ძალადობა, ყველაზე ნაკლებად გახვდება ფსიქოლოგიური და ეკონომიკური ძალადობის გამოვლენის ფაქტები. უნდა აღინიშნოს, რომ შესწავლილ საქმეებში არსად ფიგურირებდა ძალადობის ისეთი ფორმები, როგორებიცაა უგულებელყოფა და იძულება.

²²⁰ სტატისტიკური მონაცემების ანალიზი ეფუძნება საქართველოს მასშტაბით არსებული პირველი ინსტანციის სასამართლოებიდან მოწოდებულ ინფორმაციას.

სასამართლო საქმეთა შესწავლის შედეგად გამოვლინდა, რომ ძალადობის ყველაზე მეტი შემთხვევა (85%, სულ 468 საქმე) ჩადენილია ურთიერთშელაპარაკებისა და საყოფაცხოვრებო ნიადაგზე ნარმოქმნილი კონფლიქტის დროს, შემდგომ მოდის ეჭვიანობის ნიადაგზე განხორციელებული ძალადობის ფაქტების რაოდენობრივი მაჩვენებელი (სულ 38 საქმე). კვლევამ ასევე ცხადყო, რომ პოზიტიური ტენდენციის ფონზე კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება საქმეებში შესაძლო დისკრიმინაციული მოტივის გამოკვეთა. კერძოდ, 2017 წლის მონაცემების მიხედვით, 2016 წელთან შედარებით რაოდენობრივად უფრო მეტ საქმეში შეგვხვდა მსჯელობა გენდერული ნიშნით შესაძლო დისკრიმინაციულ მოტივთან დაკავშირებით (2016 წელს – 2 საქმეში, ხოლო 2017 წელს – 11 საქმეში). თუმცა, სასამართლომ სსკ-ს 53¹-ე მუხლზე მითითებით მხოლოდ 8 საქმეში მიიჩნია დამამძიმებელ გარემოებად სქესზე დაფუძნებული დისკრიმინაციის ნიშნით, შეუწყნარებლობის მოტივით ჩადენილი ძალადობის ფაქტი.

კვლევის ფარგლებში შესწავლილი განაჩენებიდან ირკვევა, რომ 2017 წელს, ნინა წელთან შედარებით შემცირებულია სსკ-ს 126¹-ე (მათ შორის, სსკ-ს მე-11¹, 126¹-ე) მუხლით დაკვალიფიცირებულ დანაშაულებზე საპროცესო შეთანხმებების გაფორმებისა და შემდგომში სასამართლოს მიერ მათი დამტკიცების რაოდენობრივი მაჩვენებელი, რაც დადებითად უნდა შეფასდეს. კერძოდ, 2016 წელს 495 საქმიდან საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა დაახლოებით 42% შემთხვევაში, აღნიშნული მაჩვენებელი შემცირდა 2017 წელს და სულ არსებული 741 საქმიდან საპროცესო შეთანხმება დამტკიცდა 28% შემთხვევაში. ამასთან, სტატისტიკური მონაცემების მიხედვით გამოიკვეთა, რომ ყველაზე ხშირად აღმოსავლეთ საქართველოს რაიონული (საქალაქო და მაგისტრატი) სასამართლოები იხილავენ პროკურატურის შუამდგომლობას საქმის არსებითი განხილვის გარეშე განაჩენის გამოტანის თაობაზე. კერძოდ, ყველაზე ხშირად 2016-2017 წლებში საპროცესო შეთანხმებები დამტკიცა რუსთავის საქალაქო სასამართლომ, ასევე გურჯაანისა და გორის რაიონულმა სასამართლოებმა. რაც შეება დასავლეთ საქართველოს, ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდება ბათუმის საქალაქო სასამართლოს, ოზურგეთისა და ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოების განაჩენებში.

კვლევის შედეგებით გამოვლინდა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე ყველაზე ხშირად აღკვეთის ღონისძიების სახედ იყენებენ გირაოს (სულ 1244 ბრალდებულიდან აღკვეთის ღონისძიების სახედ – გირაო შეეფარდა 507 ბრალდებულს). მონაცემები ცხადყოფს, რომ ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებულ პირებს ხშირად ეფარდებათ აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა (აღკვეთის ღონისძიების სახედ – პატიმრობა შეეფარდა 270 ბრალდებულს). ამგვარი კატეგორიის დანაშაულების აღკვეთისა და მსხვერპლთა უსაფრთხოების დაცვის თვალსაზრისით, დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ 2016 წელთან შედარებით 2017 წელს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობის გამოყენების მაჩვენებელი გაზრდილია დაახლოებით 19%-ით. აქვე უნდა ითქვას ისიც, რომ ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიების სახის – შეთანხმება გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ გამოყენების ხშირი პრაქტიკა გვხვდება გურჯაანის რაიონული სასამართლოსა და ქუთაისის საქალაქო სასამართლოს განაჩენებში.

საქმეთა შესწავლამ ცხადყო, რომ სასამართლოები ოჯახში ძალადობისთვის ბრალდებული პირების მიმართ სასჯელის სახედ ყველაზე ხშირად იყენებენ პირობით თავისუფლების აღკვეთასა და საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2017 წელს ამგვარი კატეგორიის დანაშაულებზე ბრალდებულთა საერთო რაოდენობის ზრდის პარალელურად გაიზარდა სასჯელის სახედ ვადიანი თავისუფლების აღკვეთის შეფარდების რაოდენობრივი მაჩვენებელიც (6%-ით). დამა-

ტებით, კვლევამ გამოავლინა, რომ სასამართლოები, როგორც წესი, მხედველობაში იღებენ მსხვერპლის მიმართ გამოყენებულ დამცავ ღონისძიებებს (შემაკავებელი და დამცავი ორდერების არსებობის ფაქტს), თუმცა ზოგიერთ შემთხვევაში მათ არ მიიჩნევენ ბრალდებულის პასუხისმგებლობის დამამდიმებელ გარემოებად.

სტატისტიკური მონაცემების თანახმად, 2017 წელს ბრალდებულთა გაზრდილი რაოდენობის ფონზე გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობრივი მაჩვენებელიც. მაგალითად, 2016 წელს სასამართლომ გამამართლებელი განაჩენი მიიღო 6 ბრალდებულის, ხოლო 2017 წელს – 26 ბრალდებულის მიმართ. შესწავლილმა განაჩენებმა ასევე ცხადყო, რომ უმეტეს შემთხვევაში (21 საქმეში) გამამართლებელი განაჩენის მიღების განმაპირობებელი საფუძველი იყო მსხვერპლის (მათ შორის, მოწმის) მხრიდან სსკ-ს 49-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით მინიჭებული უფლებით სარგებლობა, არ მისცეს ჩვენება, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ამხელს მას ან მის ახლო ნათესავს.

საქმეთა შესწავლამ აჩვენა, რომ 2017 წელს წინა, წელთან შედარებით სასამართლო პრაქტიკაში გაუმჯობესებულია ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის დანიშვნის რაოდენობრივი მაჩვენებელი. განსაკუთრებულად უნდა გამოვყოთ თბილისის საქალაქო სასამართლო, რომლის განაჩენებშიც ყველაზე ხშირად შეგვხვდა მსჯელობა ძალადობრივი დამოკიდებულებისა და ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სავალდებულო სწავლების კურსის გავლის აუცილებლობაზე. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ოჯახში სისტემატური ძალადობის ჩამდენ პირთა უმეტესობა ძალადობრივ ქმედებას ახორციელებს ალკოჰოლური თრობის ქვეშ, ნათლად წარმოჩნდება, რომ პრაქტიკაში გამოწვევად რჩება სასამართლოების მიერ სსკ-ს 65-ე მუხლით გათვალისწინებული უფლებამოსილების აქტიურად გამოყენების საკითხი, კერძოდ, სასჯელთან ერთად სათანადო სამკურნალო სავალდებულო კურსების დანიშვნა.

კვლევის ფარგლებში განაჩენთა გაანალიზებისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო საერთაშორისო სამართლებრივი აქტებისა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის პრაქტიკაში გამოყენების ძირითად ასპექტებს. კერძოდ, სტატისტიკური მონაცემების გათვალისწინებით, გამოვლინდა საერთაშორისო სტანდარტების გამოყენების რაოდენობრივი მაჩვენებლის ზრდის პოზიტიური ტენდენცია (2017 წელს წინა, წელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა საერთაშორისო სტანდარტების ციტირების პრაქტიკა). ამ მხრივ ყველაზე მაღალი მაჩვენებელი დაფიქსირდა თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის საქალაქო სასამართლოების, ასევე გორისა და ოზურგეთის რაიონული სასამართლოების განაჩენებში. დადებითად უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ „ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის პრევენციისა და ალკოვეთის შესახებ“ ევროპის საბჭოს კონვენციის საქართველოში ძალაში შესვლის შემდეგ თბილისისა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს, აგრეთვე, გორის რაიონული სასამართლოს განაჩენებში გახშირდა აღნიშნული საერთაშორისო სამართლებრივი აქტის მოხმობის შემთხვევები.

სასამართლო განაჩენების შესწავლამ აჩვენა, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოები იმართველი მიმართ განხილვისას საერთაშორისო აქტებს ან/და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტულ სამართლის იყენებენ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივ ნორმატიულ აქტთან (აქტებთან) ერთად, შესაბამისად, საერთაშორისო სტანდარტების გავლენა სასამართლო გადაწყვეტილებებზე ძალზედ უმნიშვნელოა. როგორც წესი, სასამართლოები ციტირებას ახდენენ შესაბამისი საერთაშორისო პრაქტიკიდან, უმეტესწილად ცდილობენ მიუსა-

დაგონ ისინი კონკრეტული საქმის ფაქტობრივ გარემოებებს, რის შემდეგაც სასა-მართლო ასკვნის, რომ საქართველოს შიდასახელმწიფოებრივი ნორმატიული აქტი-თა და საერთაშორისო აქტით დადგენილი სტანდარტები მსგავსია და სასამართლო ამ ორი აქტის საფუძველზე იღებს განაჩენს. კვლევის შედეგების გათვალისწინებით, უმ-ჯობესი იქნება სასამართლოების პრაქტიკა განვითარდეს იმგვარად, რომ მოსამარ-თლებმა ხშირად გამოიყენონ საერთაშორისო სტანდარტები, რომლებიც შიდასახელ-მწიფოებრივ ნორმატიულ აქტებთან შედარებით, ადამიანის უფლებათა დაცვის უფ-რო მაღალ სტანდარტს ადგენს. აღნიშნული კი ხელს შეუწყობს მართლმსაჯულების სისტემაში ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ჩადენილი ძალადობის შესა-ხებ საქმეებზე გენდერული სენსიტიურობის გაზრდას, დამნაშავეთა სათანადო დას-ჯასა და ამგვარი კატეგორიის დანაშაულების პრევენციას.

ზემოაღნიშნული პოზიტიური ტენდენციებისა და იდენტიფიცირებული გამოწვევების გათვალისწინებით, ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე სამართალწარმოების სრულყოფისა და გაუმჯობესების მიზნით წარმოგიდენთ შესაბამის რეკომენდაცი-ებს, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო სტანდარტებსა და სხვადასხვა საერთაშო-რისო სახელმძღვანელო დოკუმენტებს.

რეკომენდაციები

- ოჯახში ძალადობის დანაშაულებზე საქართველოს პირველი ინსტანციის სა-სამართლოების მიდგომა ხშირ შემთხვევაში შეესაბამება საერთაშორისო სტან-დარტებს. შესაბამისად, მიზანშეწონილია ყოველწლიურად მოხდეს საუკეთე-სო პრაქტიკის განზოგადება;
- განმეორებითი ძალადობის პრევენციის თვალსაზრისით და მსხვერპლის უსაფ-რთხოების მიზნით, სასურველია სასამართლოებმა სიღრმისეულად შეისწავ-ლონ ბრალდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბურებელი და დამამძიმებე-ლი გარემოებები, მათ შორის, ბრალდებულის კრიმინალური წარსული და სხვა პიროვნული მახასიათებლები. დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის წინაპირო-ბების შეფასებისას კი, ყურადღება გაამახვილონ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ შემაკავებელ და დამცავ ორდერებზე;
- დანაშაულის პრევენციის მიზნით, მნიშვნელოვანია, სასამართლოებმა სწორად შეაფასონ ბრალდებულის ქცევის შეცვლაზე ორიენტირებული სათანადო სამ-კურნალო კურსის გავლის საჭიროება;²²¹
- ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეებზე მართლმსაჯულება უნდა განხორცი-ელდეს გენდერული ხედვით და დისკრიმინაციული მოტივით დანაშაულის ჩა-დენა უნდა იქნეს პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად მიჩნეული (სსკ-ის 53¹-ე მუხლი);
- ოჯახში ძალადობის შესახებ საქმეების განხილვისას მიზანშეწონილია სასა-მართლოებმა იხელმძღვანელონ რელევანტური საერთაშორისო აქტებითა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს უახლესი პრაქტიკით.²²²

²²¹ Handbook for Legislation on Violence against Women, United Nations, 2010, p53.

²²² იხ.ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახში ძალადობის საკითხებზე სტრასბურგის სასამართლოს უახლესი პრაქტიკა <http://www.supremecourt.ge/news/id/1555>.

- ოჯახში ძალადობისა და ქალთა წინააღმდეგ ძალადობის საქმეებზე სამართალ-ნარმოების სწრაფად და სრულყოფილად განხორციელების მიზნით, სასურველია ამგვარი კატეგორიის დანაშაულები განიხილოს სპეციალიზებულმა მო-სამართლემ (როგორც ეს ხდება არასრუნლოვანთა მართლმსაჯულების შემ-თხვევაში), რომელსაც ექნება სპეციალური ცოდნა შესაბამისი ეროვნული კა-ნონმდებლობისა თუ საერთაშორისო სტანდარტების;²²³
- გაიზარდოს სატრენინგო აქტივობები მოსამართლეებისა და თანაშემწების-თვის „ქალთა მიმართ ძალადობის ყველა ფორმის აღმოფხვრის კონვენციის“ და მისი ფაკულტატური ოქმის, ზოგადი რეკომენდაციების, „სტამბოლის კონ-ვენციისა“ და ეროვნული კანონმდებლობის შესახებ.²²⁴

²²³ UN Handbook for Legislation on Violence against Women, 2010, p.19.

²²⁴ Recommendation Rec(2002)5 of the Committee of Ministers to member States on the protection of women against violence adopted on 30 April 2002 and Explanatory Memorandum, §11.

შენიშვნებისთვის

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №32
ტელ.: (995 32) 298 20 77
www.supremecourt.ge